# ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი

„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный рецензируемый и реферируемый научный журнал

“ECONOMICS ” - Monthly International reviewed and refereed scientific journal

**№ 3-4, 2015**

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან

Journal published since 1918

Რ. ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ (ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე ე. ბარათაშვილი; რ. გოგოხია; ვ. დათაშვილი; ზ. ვაშაკიძე; მ. კაკულია; დ. კარბონი (**იტალია**); პ. კოღუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ი. მესხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (**აშშ**); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (**რუსეთი**); ო. ფაჩულია; დ. ქავთარაძე (**რუსეთი**); რ. ქუთათელაძე; კ. ღურწკაია; გ. ღავთაძე; გ. ყუფუნია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; ლ. ჩიქავა; მ. ჯიბუტი, რ. ჯაბნიძე.

**ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)**

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бараташвили Е., Вашакидзе З., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джабнидзе, Т., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (**Италия**), Когуашвили П., Купуния Г., Курaташвили А,. Кутателадзе Р., Липартия З., Малашхия Г. Меквабишвили Э., Маршава К., Месхия Я., Папава В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (**США**) Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О., Схиртладзе А., (**Украина**); Самадашвили У., Федорова Т. (**Россия**), Фачулия О., Чикава Л., Читанава Н., Шубладзе Г., Шенгелия Т., Циклаури Ж.

**REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)**

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; E. BARATASHVILI; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; Z. VASHAKIDZE; M. KAKULIA; D. KARBON (**ITALY**); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z.LIPARTIA; G.MALASHKHIA; I.MESKHIA; E.MEKVABISHVILI; K.MARSHAVA; S.PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M.ROKETLISHVILI (**USA**); U.SAMADASHVILI; A.SILAGADZE; A.SICHINAVA; O.SOLDATENKO (**UKRAINE**); A. SKHIRTLADZE O. FACHULIA; T. FEDOROVA (**RUSSIA**); D. QAVTARADZE (**RUSSIA**); R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLAURI; N. CHITANAVA; L. CHIKAVA; M. JIBUTI; R. JABNIDZE.

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ** - 2015

# შინაარსი

## ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

**ბექა კობერიძე -** მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაციის თეორიული პრობლემები და ინსტიტუციური პროგრამები ------------------------------------4
**რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური, ნათია შენგელია -** ინვესტიცია ხალხისთვის და არა მხოლოდ ინვესტორისა და „ელიტისთვის“ ------------------------------------ 16
**ეთერ თაკალანძე -** ადამიანური გონის ევოლუციური განვითარების სოციალურ-ეკონომიკური გზა--------------------- 31

## ფინანსები, ბანკები, ბირჟები

**დავით პიტიურიშვილი-**რისკების მართვა კომერციულ ბანკებში -- 50
**ნინო გრიგალაშვილი-**საგადასახდელო ბალანსი ------------------ 59

## დარგობრივი ეკონომიკა

**გურამ ჯოლია -** ეკოპოლისური ურბსოციუმი: წარსული, აწმყო, მომავალი ----------------------------------------- 68
**A.I. Knyaz -** MODELLING OF ELECTROMAGNETIC FIELDS OF POLARIZED STRUCTURE OF RADAR SIGNALS OF SHIPBOARD RADAR -------------------- 106

## ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

**Димитри Кавтарадзе -** Управление сложными системами ---------- 112
**ევგენი ბარათაშვილი, ირმა მახარაშვილი, მანანა მარიდაშვილი -** გადაწყვეტილების მიღების პრობლემებისადმი მეთოდოლოგიური მიდგომები თანამედროვე პირობებში --------- **125**

**სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი** --- 140

# CONTENT

## MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

**Beka Koberidze -** The Theoretical Problems and Institutional
Programs for the Internationalization of SMEs---------------------------------- 4
**Revaz Shengelia, Zhuzhuna Tsiklauri, Natia Shengelia -**
Investment for People and not only for the Investor and the "Elite" --------16
**Eter Takalandze** - The Socio-economic
Way of Human Intelligence Evolution-----------------------------------------31

## FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

**Davit Pitiurishvili -** Risk Management in Commercial Banks --------------50
**Nino Grigalashvili -** Balance of Payments ------------------------------------59

## SECTORAL ECONOMY

**Guram Jolia -** Ecopolis Urbsocium: Past, Present & Future-----------------68
**A.I. Knyaz -** MODELLING OF ELECTROMAGNETIC
FIELDS OF POLARIZED STRUCTURE
OF RADAR SIGNALS OF SHIPBOARD RADAR ----------------------- 106

## BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

**Dimitry Kavtaradze -** Complex Systems Management ------------------- 112
**Evgeni Baratashvili, Irma Makharashvili, Manana Maridashvili -**
The Methodological Approaches to the Problem
of Decision-making in Modern Conditions ---------------------------------- 125

**Publication and Representation
Requirements for a Scientific Article** ------------------------------------- 140

# მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაციის თეორიული პრობლემები და ინსტიტუციური პროგრამები

**ბექა კობერიძე**
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

**რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაციის ძირითადი ბარიერები და განვითარების მიმართულებები. ავტორის აზრით, ინტერნაციონალიზაციის თეორიული მიმართულებები არის კომპლექსური და იგი სხვადასხვა კონცეფციების სისტემას წარმოადგენს, სადაც აქცენტი გაკეთებულია, როგორც საწარმოების ურთიერთობების ფუნქციონალურ სტრუქტურებზე, ასევე მათ ქცევებზე და რესურსებზე. დახასიათებულია ევროპის ქვეყნებში ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების თავისებურებები და დამტკიცებულია, რომ ისინი ორიენტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის დამახასიათებელი სუსტი მხარეების შერბილებაზე და საერთაშორისი ბაზარზე ინტეგრაციის განვითარებაზე.

**ძირითადი ნაწილი**

ინტერნაციონალიზაცია არის ეკონომიკური და ქცევითი კომპონენტების ერთობლიობა და გულისხმობს საერთაშორისო საქმიანობაში ჩართვას, ადაპტაციას და გაფართოებას. შეზღუდული ფინანსური რესურსების ქვეყანაში საწარმოები მცირე გეოგრაფიულ არაელში საქმიანობენ და მათი ინტერნაციონალ-

იზაცია არის მნიშვნელოვანი პირობა საქმიანობის გაფართოებისაკენ, რომელიც განხორციელდება როგორც ორგანიზაციული სტრუქტურის, ტექნოლოგიების და ინფორმაციული შესაძლებლობების გაზრდით, ასევე საექსპორტო/საიმპორტო საქმიანობით, ალიანსებში გაწევრიანებით და სხვა საწარმოებთან შერწყმით ან გაერთიანების გზით.

ინტერნაციონალიზაცია ხორციელდება რამდენიმე ფორმით: 1. პირდაპირი ექსპორტ/იმპორტი; 2. ექსპორტ/იმპორტი საექსპორტო აგენტების მეშვეობით; 3. საზღვარგარეთ ცოდნის გაყიდვები (ლიცენზირება, ფრანჩაიზინგი და სხვ); 4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ამ ფორმების განხორციელებით ინტერნაციონალიზაციას შედეგად მოყვება საწარმოს მენეჯმენტის ცვლილებები, დანახარჯების ეკონომია და შრომის მწარმოებლურობის ზრდა, ისეთ სტრატეგიულ ფაქტორების ეფექტიანად ამოქმედება, როგორიცაა ადგილობრივ ბაზარზე კონკურენციის თავიდან აცილება, ადგილობრივი ბაზრის გაფართოება და სხვ. იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ინოვაციების დაერგვას, ზრდის ბაზრების მიმზდველობას (მაგალითად, კონკურენციის შედეგად ახალი ფასების ფორმირებით, საქონლის დიფერენციაციით და სხვ.). მისი განხორციელებით რესურსები მნიშვნელოვნად იზოგება და წარმოება კი ფართოვდება.

ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი განსაზღვრავს ინტერნაციონალიზაციას: 1. სავაჭრო გარემო და 2. მცირე და საშუალო ბიზნესის მახასიათებლები. სავაჭრო გარემო გავლენას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესის საერთაშორისო ურთიერთიბებზე რამდენიმე თვალსაზრისით: მაკროგარემოთი, ვალუტის გაცვლითი კურსით, ეკონომიკურ კონტექსტით (როგორიცაა განვითარების, აღმავლობის, რეცესიის, კრისიზის და გამოცოცხლების სტადიები) და სხვ. ისინი ბაზრის მგრძნობიარე ფაქტორებია და განსაზღვრავენ კონკურენციის უნარს. მათ შეუძლიათ შეამცირონ ან გაზარდონ მცირე და საშუალო ბიზნესის წილი საგარეო ბაზრებზე.

მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო მეწარმეობა ძირითადი პრობლემაა როგორც რეგიონალური, ისე გლობალური მასშტაბით. ამ პრობლემის კვლ-

ევას მიეძღვნა მრავალი ნაშრომი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) კვლევები[1]. ეს კვლევები აჩვენებენ, რომ ექსპორტისკენ მისწრაფება ზრდადი ტენდენციაა იმ რეგიონებში, სადაც ადგილობრივი გარემო, სტიმული და საექსპორტო ინფრასტრუქტურა ნაკლებად მიმზიდველია. შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ დაბალგანვითარებულ ქვეყნებს სჭირდებათ ინტერნაციონალიზაცია და მოტივაციაც უფრო მეტი აქვთ, ვიდრე იმ ქვეყნებს, სადაც განვითარებულია ბაზარი და ინფრასტრუქტურა.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესი სულ უფრო ზრდის თავის წილს ექსპორტში, მაგრამ საკითხი იმის შესახებ, თუ რა საერთაშორისო სამეწარმეო ორიენტაცია აქვთ მათ, რა სპეციფიკურ სტრატეგიას ანხორციელებენ და რა ბარიერებს აწყდებიან ისინი, კვლევის აქტუალური საგანია.

საქართველოში საერთაშორისო განვითარების სტრატეგია მხოლოდ მსხვილ ფირმებს გააჩნიათ. ამის შედეგია ის, რომ საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, მცირე და საშუალო ბიზნესის წვლილი ექსპორტში დაბალია. მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიები ორიენტირებულია ძირითადად იმპორტზე და უგულებელყოფს ინტერნაციონალიზაციის სხვა მოდელებს. ეს შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ, როგორც მრავალრიცხოვანი კვლევები აჩვენებს, მსხვილ კორპორაციებთან შედარებით, მცირე და საშუალო ბიზნესის წინაშე უფრო მეტი ბარიერებია, რომლებიც ხელს უშლის ან ანელებს მათი ინტერნაციონალიზაციის პროცესს[2]. მცირე და საშუალო ბიზნესი მრავალრიცხოვან დაბრკოლებას ხვდება.

ამასთან, მკვლევარები თვლიან, რომ არსებობს უშუალო კავშირი ინოვაციასა და ექსპორტს შორის და დიდი კომპანიები მეტად არიან ნოვატორები და ექსპორტიორები, ვიდრე პატარა ფირმები [3].

ინტერნაციონალიზაციის თეორიებისადმი არსებობს განსხვავებული მიდგომები: ავტორთა ერთი ნაწილი აერთიანებს თეორიებს ოთხ ჯგუფად: 1. ინტერნაციონალიზაციის კლასიკური

თეორიები (აბსოლუტური და შედარებითი უპირატესობების თეორიები, და ჰეკშერ-ოლინის თეორია); 2. ბაზრებზე არასრულყოფილი შეღწევის თეორიები (პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორია და საერთაშორისო პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია); 3. ბაზარზე არასრულყოფილი განმტკიცების თეორიები (პორტფელის თეორია; ინტერნალიზაციის (internalisation) თეორია; ეკლექტიკური თეორია და რესურსების უპირატესობა თეორია); 4. ინტერნაციონალიზაციის თეორიები; (ქსელური თეორია და საერთაშორისო მეწარმეობის თეორია) [4].

მკლევართა მეორე ნაწილი საერთაშორისო ბიზნეს თეორიების ორი მიმართულებით კლასიფიცირებას ახდენს. კერძოდ: 1. დიდი მრავალეროვნული საწარმოების თეორიები (მონოპოლიური უპირატესობა თეორია) და 2. მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის თეორიები (სტადიების თეორია; ქსელის თეორია; რესურსზე დაფუძნებული ხედვა და საერთაშორისო მეწარმეობის თეორია) [5].

ზოგიერთი ავტორი ინტერნაციონალიზაციის თეორიებს ორი მიმართულებით გასაზღვრავს: 1. ეკონომიკური თეორიები და 2. ქცევითი თეორიები[6]. სხვები აქცენტს აკეთებენ შემდეგ თეორიებზე: 1. სამრეწველო ორგანიზაციის თეორია; 2. ინტერნალიზაციის თეორია; 3. კონტრაქტების ღირებულება თეორია და 4.) ეკლექტიკური თეორია, როგორც ტრადიციული თეორიები და იმ თეორიების ერთობლიობა, რომლებიც ფოკუსირებულია მრავალეროვნულ საწარმოებზე[7]

ამ კლასიფიკაციებიდან გამომდინარე, ინტერნაციონალიზაციის თეორიები შეიძლება შემდეგი კლასიფიკაციით განასაზღვროს:

1. კლასიკური თეორიები, რომლებიც ეროვნულ დონეზე განსაზღვრავენ ინტერნაციონალურ ურთიერთობებს (ა. სმიტი დ, რიკარდო, ჰეკშერ-ოლინი) აბსოლუტური და შედარებით უპირატესობის თეორიები).

2. თეორიები, რომლებიც ახასიათებენ საწარმოს როგორც ანალიზის ობიექტს. (პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია, მონოპოლიური უპირატესობა თეორია, ინტერნალიზაციის თეო-

რია, ოლიგოპოლიური თეორია, სტადიების თეორია, ქსელის თეორია, რესურსებზე დაფუძნებული თეორია, ინოვაციებთან დაკავშირებული მოდელები)

3. თეორიები, რომლებიც ძირითადად ფოკუსირდება ინტერნაციონალიზაციაზე (ქცევის თეორია, პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის თეორია, მონოპოლიური უპირატესობა თეორია, ინტერნალიზაციის თეორია, ოლიგოპოლიური რეაქცია თეორია, სტადიების თეორია).

4. თეორიები, რომელიც ძირითადად ეხება მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციასა და ქცევებს (რესურსზე დაფუძნებული ხედვა, საერთაშორისო მეწარმეობა, სტადიების თეორია, გრადუალური მიდგომა, ქსელის თეორია)

გრადუალური მიდგომა თავისი შინაარით ახლოს დგას სტადიების თეორიასთან და გულისხმობს საწარმოების მიერ ინტერნაციონალიზაციის შემდეგი ეტაპების თანმიმდევრულ გავლას: 1. თავდაპირველად საწარმოებს არ გააჩნიათ არანაირი ინტერესი ექსპორტისადმი; 2. შემდგომ შესაძებელია ექსპორტის წარმოება განხორციელდეს დამოუკიდებელი წარმომადგენელის მეშვეობით; 3. უფრო განვითარებულ ეტაპზე ექსპორტის წარმოება ხდება უცხოური შვილობილი კომპანიის მეშვეობით; 4. ბოლოს კი, პირდაპირ უცხოეთში წარმოება.

გრადუალური თეორიის თანახმად, ფირმის საექსპორტო ქცევა თანდათანობით ხორციელდება; ფირმის ინტერნაციონალიზაცია ხდება მხოლოდ ახლომდებარე ქვეყანაში; ინტერნაციონალიზაცია დაკავშირებულია ფირმის რესურსების მობილიზებაზე და იგი მიიღწევა საკუთარი ძალებით; საექსპორტო საქმიანობის გავლენა ფირმაზე დამოკიდებულია მის შიდა გარემოზე, ისე, რომ შეიძლება არ გავითვალისწინოთ საგარეო გავლენა.

რესურსზე დაფუძნებული მიდგომა ძირითადად პროდუქციის წარმოების ხარჯებს განსაზღვრავს და ქმნის შეფარდებით უპირატესობას ვაჭრობაში, რაც ფრიად მნიშვნელოვანია უცხო ბაზრებზე შეღწევისათვის. რესურსებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს ტექნოლოგიური, ფინანსური, ორგანიზაციული საკითხების ანალიზს, ეს მიდგომა ასევე დაკავშირებულია იმას-

თან, თუ რა ბალანსია არსებულ რესურსებსა და ახალი რესურსებს შორის.

რესურსულ მიდგომაზე (RBV- Resource bases view) დაფუძნებული კვლევები მოითხოვენ ფაქტორების კლასიფიკაციას ბიზნეს-გარემოდან გამომდინარე და მის ანალიზს. რესურსული ფაქტორებს მიეკუთვნებათ: სამუშაო ძალა, შენობა-ნაგებობი, აღჭურვილობა და აპარატურა, ფინანსური კაპიტალი, ადამიანური რესურსების სტიმული, მაღალკვალიფიციური კადრი სხვ.

RBV ფაქტორები შეიძლება გამოვყოთ ქსელის და ინტერნაციონალური პროცესების განხორციელების თვალსაზრისით. ქსელის პოზიციებიდან RBV ფაქტორებია: ქსელში გაერთიანებული ბიზნეს-ასოციაციები, ქსელი საქმიან ადამიანებთან, ბიზნეს-პარტნიორებთან ურთიერთქმედების სიხშირე დ სხვ. ხოლო ინტერნაციონალზიაციის თვალსაზრისით RBV ფაქტორებია: გრძელვადიანი ბიზნესის წარმოების უნარი, საექსპორტო ბაზარზე შესვლის შესაძლებლობები, მენეჯერების საერთაშორისო ორიენტაციის უნარი, დამწყები ბიზნესი საექსპორტო ხედვა, საექსპორტო ბაზრების აღქმა, საერთაშორისო რისკებთან გამკლავების უნარი, და სხვ.

რესურსებზე დაფუძნებული მიდგომა მოიცავს ასევე ცოდნის ელემენტებსაც, ამიტომ იგი ცოდნაზე დაფუძნებული მიდგომასთან (KBV-Knowledge bases view) ერთად საწარმოების ინტერნაციონალიზაციის ახსნის პირობაა. ცოდნაზე დაფუძნებული მიდგომა არის რესურსებზე დაფუძნებული მიდგომის გაფართოება და გულისხმობს ცოდნის და სამეწარმეო უნარების განვითარებას და ეფუძნება იმ ცოდნის ტრანსფერტს, რომელიც სხვა ქვეყნებშია ფორმირებული.

დღეს საქართველო ევროკავშირთან ახალი ურთიერთობების ფორმირების პროცესში იმით გამიირჩევა, რომ არსებული რესურსები სრულებით არასაკმარისია ინტრნაციონალიზაციისათვის, ხოლო ახალი რესურსების ფორმირება კი საკმაოდ პერსპექტიულია. ევროკავშირის პროგრამაში მონაწილეობა გულისხმობს სწორედ ახალი რესურსების ფორმირებას. ევროპულ ბაზარზე დივერსიფიკაციია ახალი რესურსების შექმნასთან არის

დაკავშირებული. ახალი რესურსების ფორმირება კი არის ინტერნაციონალიზაციის დეტერმინანტი.

საქართველოში რესურსების ფორნმირება ევროპული გამოცდილების საფუძველზე არის ასევე ახალი ცოდნის გადმოდენის პროცესიც და იგი აისახება ისეთ საქმიანობებზე, როგორიცაა ევროპულ სტანდარტების ცოდნა და იმ მოთხოვნების დაკმაყოფილება, რომელიც არასატარიფო ბარიერებით არის განსაზღვრული (ფიტოსანიტარია, სასურსათო უსაფრთხოება და სხვ,). იგი აგრეთვე ტექნოლოგიების შემოღებასაც გულისხმობს საწარმოებში. ამდენად ინტერნაციონალიზაციის პროცესი ამ რესურსების ტრანსაქციაა საქართველოში.

საერთაშორისო მეწარმეობის თეორია არის საკუთრივ მეწარმეობის თეორია და გრადუალური სტადიურ-ევოლუციური თეორიის გაგრძელება[8]. იგი სხვა ტერმინებითაც გამოიხატება, როგორიცაა ახლადდაფუძნებული გლობალური წარმოება, სარისკო ინიოვაციური საქმიანობა საერთაშორისო მასშტაბით, ინოვაციები, რისკების ინტერნაციონალიზაცია და სხვ. [9]

ერთ-ერთი თეორია, რომელიც დღეს ფართოდ გავრცელდა და მრავალი გამოკვლევა დაეფუძნა, არის ეკლექტიკური პარადგიმის თეორია. იგი სხვანაირად ჯონ დანინგის OLI-მოდელ-ის ან OLI-Framework-ის სახელწოდებითაც არის ცნობილი. ეს თეორია ემყარება სამ ძირითად პარამეტრს, რომლებიც ქმნიან საწარმოების ბაზრებზე საქმიანობის უპირატესობებს. ეს პარამეტრებია: ადგილმდებარეობა, საკუთრება და თვით ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში საწარმოების ინტერნაციონალიზაციის კვლევა სხვადასხვა მიმართულებით წარმოებს. აქცენტი აღებულია იმაზე, თუ:

1. საწარმოებს აქვთ თუ არა ინტერნაციონალიზაციის მოტივაცია და რამდენად აისახება ეს მათ სტრატეგიულ გეგმებში;

2. დიდი ყურადღება ეთმობა ბაზრების კვლევას, მათ შორის, თუ როგორ ხდება ბაზრების შერჩევა და ბაზრებზე შესვლის ინიცირება;

3. ბაზარზე შესვლის შემდგომ პრობლემების გამოვლენა და რისკების დაგეგმვა;

4. კვლევები მიმდინარეობს აგრეთვე საწარმოების ინტერნაციონალიზაციისათვის რესურსების განსაზღვრის მიზნით.

ყოველივე ამ მიმართულებების შესაბამისად დგება ძირითადი საკვლევი კითხვები. ყველაზე ხშირად კი იბადება კითხვები თუ რა არის ის ფაქტორები, რომლებიც წარმატებულს ხდის ბიზნესის ინტერნაციონალიზაციას და რა არის ის რესურსები, რომლებიც ზემოქმედებენ ინტერნაციონალიზაციაზე. ამის შესაბამისად ხდება მსს ინტერნციონალიზაციის ხელშემწყობი ღიონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

ყველა ქვეყანას ინტერნაციონალიზაციის წახალისების განსხვავებული ფორმა სჭირდება. იგი განსაზღვრულია იმის მიხედვით, თუ რა არის მათი ძირითადი მამოძრავებელი ძალები და რა ბარიერები აქვთ მათ. ევროპის ქვეყნებში ჩატარებული კვლევების მიხედვით, ბელგია, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, იტალია, ნიდერლანდები, პოლონეთი, ესპანეთი, შვედეთი და ბრიტანეთს სჭირდება დახმარება ბაზრის მდებარეობის, ცოდნისა და პარტნიორების მოძიებში, პორტუგალიას - სოციალური ბიზნეს კავშირების დამყარებაში, ესპანეთს - მენეჯერების საერთაშორისო გამოცდილება და ა.შ. [10]

ევროპული სახელმწიფოები ანვითარებენ მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალზიაციის აქტივობების ხელშემწყობ პროგრამებს იმ ბარიერების აღმოსაფხვრელად, რომელიც ზემოთ არის აღნიშნული. ევროკავშირის პროგრამებიდან ცნობილია“Joint European Resources for Micro and Medium Enterprises” (JEREMIE), რომელიც უზრუნველყოფს სესხების გარანტიას და დაბალგანვითარებულ რეგიონებში აფინანსებს მცირე და საშუალო საწარმოებს.

ყველა ქვეყნის ხელისუფლებაც აქტიურად არის ჩართული ამ სფეროში და თითქმის ანალოგიურ საქმიანობას ეწევა. მაგალითად, გერმანიაში გერმანიის ფედერალური მთავრობა იძლევა მცირე და საშუალო საწარმოების ექსპორტისთვის- საკრედიტო გარანტიას. საბერძნეთში საექსპორტო საკრედიტო ორგანიზაცია იცავს ბერძნულ ექსპორტიორებს და უცხოურ მყიდველებს ვალდებულებების ჩავარდნასთან დაკავშირებული

კომერციული და პოლიტიკური რისკებისგან. იტალიაში საგარეო ვაჭრობის სამინისტრო გასცემს საექსპორტო საქმიანობისათვის დაფინანსებას და დაზღვევას. ნორვეგიაში ნორვეგიული საექსპორტო გარანტიის ინსტიტუტი (GIEK) სთავაზობს მეწარმეებს გამარტივებულ საექსპორტო საკრედიტო პროცედურებს. ბრიტანეთში საექსპორტო საკრედიტო გარანტიის დეპარტამენტი უზრუნველყოფს ბრიტანული ექსპორტიორების დაზღვევას ოკეანის გადაღმა მყიდველების დაგაუხდელობისგან და იძლევა საბანკო სესხის გარატიას, რათა წაახალისოს უცხოური მყიდველები ბრიტანული საქონლისა და მომსახურების ყიდვაში. ესტონეთში საკრედიტო და ექსპორტის საგარანტიო ფონდი, KredEx, უზრუნველყოფს მცირე და საშუალო საწარმოების ექსპორტის დაფინანსებას და აზღვევს მათ ექსპორტთან დაკავშირებული რისკებისგან;

მრავალი პროგრამა მიმართულია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ბარიერების გადალახვაზე, ბიზნეს შესაძლებლობების განსაზღვრაზე, ბაზრების ადგილმდებარეობის ანალიზზე და პოტენციურ უცხოურ კლიენტებთან და პარტიონრებთან კონტაქტის დამყარებაზე.

ასეთი პროგრამებია ბრიტანეთში ვაჭრობისა და ინვესტიციის დაცვის პროგრამა, უცხოური ბაზრის გაცნობის მომსახურება (OMIS), რომელიც ინტერნეტით უზრუნველყოფს ახალბედა ექსპორტიორთა ინდივიდუალურ მომსახურებას.

შეერთებული შტატებში მცირე ბიზნესის ადმინისტრაცია (SBA) და ექსპორტ-იმპორტის ბანკი უზრუნველყოფენ სესხის დაფარვას, რომელიც მიზნად ისახავს მცირე ბიზნეს ექსპორტიორების მიერ საექსპორტო კონტრაქტების შესრულებას. იგი ასევე სთავაზობს კრედიტს ამერიკული საქონლის უცხოურ მყიდველებს, რაც იცავს მცირე და საშუალო საწარმოს ექსპორტიორებს გადაუხდელობის რისკებისგან და უზრუნველყოფს სტრუქტურულ და ფინანსურ გადაწყვეტილებებს რისკების შესამცირებლად უცხოურ ბაზრებზე.

ჩეხეთის რესპუბლიკაში ექსპორტის გარანტიისა და დაზღვევის კორპორაცია (EGAP) სთავაზობს მცირე და საშუალო

ბიზნესის მხარდაჭერას, განსაკუთრებით სავაჭრო პარტნიორების იდენტიფიცირებისას და საექსპორტო ალიანსებში მონაწილეობის მიღებაში. იგი ასევე იძლევა საბაზარო ინფორმაციებს და უცხო ქვეყნებში პოტენციური პარტნიორების შესახებ კონტაქტებს. მთავრობა სთავაზობს მეწარმეებს გრძელვადიან სესხებს ექსპორტისათვის.

ზოგიერთ ქვეყანაში სპეციალური პროგრამები ხორციელდება მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაციის ისეთი ბარიერების შესამცირებლად, როგორიც არის მმართველობითი უნარ-ჩვევების და ცოდნის ნაკლებობა. ძირითადად ეს ტრეინიგების გზით ხორციელდება.

მცირე და საშუალო საწარმოების საერთაშორისო საქმიანობის წახალისებისთვის ძირითადი ზომებია მოტივაციის გაზრდა, ცოდნაზე დაფუძნებული მოტივაციის შექმნა, სოციალური და ადგილობრივი/რეგიონალური გარემო ფაქტორები. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი პროგრამა, რომელიც მიზანდ ისახავს მცირე და საშუალო საწარმოების ინტერნაციონალიზაციის ბარიერების შემცირებას, ასევე ემსახურება საწარმეობის საერთაშორისო საქმინობის წახალისებასაც. პროგრამები, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა ქვეყანაში, ორიენტირებულია მცირე და საშუალო ბიზნესისთვის დამახასიათებელი სუსტი მხარეების შერბილებისაკენ საერთაშორისი ბაზარზე ინტეგრაციას კონტაქტების დამყარებითა და პარტნიორების მოპოვების გზით. ამდენად პარტნიორიობა და თანამშრომლობა ხდება ევროპული გზა, რომელიც უზრუნველყოფს ღირებულების ზრდაში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართვას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. Top Barriers and Drivers to SME Internationalization. (2009). OECD. Report by the OECD Working Party on SME and Enterprenuership. http://www.oecd.org/industry/smes/43357832.pdf;

2. OECD (2009): Top Barriers and Drivers to SME Internationalization," Report by the OECDWorking Party on SMEs and Entrepreneurship, OECD.

3. O'Cass, A. and J. Weerawardena (2009): "Examining the Role of International Entrepreneurship, Innovation and International Market Performance in SMEInternationalization," European Journal of Marketing, 43 (11): 1325-49.

4. Mtigwe, B. (2006), "Theoretical Milestones in International Business: The Journey to International Entrepreneurship Theory", Journal of International Entrepreneurship, 4, 1, 5-

5. Ruzzier, M., Hisrich, R. D. & Antoncic, B. (2006), "SME Internationalisation Research: Past, Present and Future", Journal of Small Business and Enterprise Development, 13, 4, 476-497.

6. Andersson, S. (2000), "The internationalization of the firm from an entrepreneurial perspective", International Studies of Management & Organization, 30, 63-92.

7. Rialp, A., Rialp, J. & Knight, G.A. (2005), "The Phenomenon of Early Internationalizing Firms: What do we know after a Decade (1993-2003) of scientific inquiry?" International Business Review, 14, 147-166.

8. Svensson, G. (2006), "A quest for common terminology: the Concept of Born Globals", Management Decision, 44, 9, 1311-1317

9. Axinn, C. N & Matthyssens, P. (2002), "Limits of Internationalisation Theories in an Unlimited World", International Marketing Review, 19, 4/5, 436-449.

10. Top Barriers and Drivers to SME Internationalization. (2009). OECD. Report by the OECD Working Party on SME and Enterprenuership. http://www.oecd.org/industry/smes/43357832.pdf;

# THE THEORETICAL PROBLEMS AND INSTITUTIONAL PROGRAMS FOR THE INTERNATIONALIZATION OF SMES

**Beka Koberidze**
The St. Andrew the First-Called Georgian University

**Summary**

The paper deals with the basic barriers of internationalization of SMEs. According to the author, theoretical trends of internationalization bases on a complex system of the different concepts which characterize the relationship between the functional structures of the enterprises, as well as their behavior and settings of resources. The features of Internationalization of the program in European countries are described and proved that they are focused on the small and medium businesses to mitigate the inherent weaknesses in the process of international market integration and development.

# ინვესტიცია ხალხისთვის და არა მხოლოდ ინვესტორისა და „ელიტისთვის"

**რევაზ შენგელია**
სტუ პროფესორი

**ჟუჟუნა წიკლაური**
სტუ პროფესორი

**ნათია შენგელია**
სტუ ას. პროფესორი

რეზიუმე

*ცნობილია, რომ უცხოელი ინვესტორი კაპიტალს არ დააბანდებს ისეთ ქვეყანაში, სადაც შიდა ინვესტიციური პრაქტიკა მოშლილია. გამომდინარე აქედან, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინვესტიციური კრიზისის დაძლევის, და, მაშასადამე, უცხოური ინვესტიციების გადიდების კატალიზატორად შეიძლება მივიჩნიოთ* ***შიდა საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურება, გამოცოცხლება.*** *ამისათვის კი საჭიროა მოგვარდეს როგორც უცხოელი ინვესტორის პრობლემები (ქვეყნის რეგიონისა და კომპანიის დონეზე სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნა), ისე რეციპიენტი ქვეყნის, ე.ი. ინვესტიციის მიმღები მხარის პრობლემები (საქართველოს კომპანიების მზადყოფნა უცხოური კაპიტალის მიღებისა და მისი ეფექტიანად გამოყენებისათვის; ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შესაბამისად რისკების შემცირება). ამ პრობლემების გადაჭრის პარალელურად თუ არ მოხდა ინვესტორებისა და რეციპიენტის, და, რაც მთავარია, საზოგადოების ინტერესთა თანხვედრა, დაბალანსება, ისე ვერ დაჩქარდება ინვესტიციური საქმიანობა. საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურების მიზნით ინვესტორებს (როგორც უცხოური ისე ადგილობრივი) შეღავათი უნდა მიეცეს საბაჟო, საგადასახადო სფეროში, თუ*

*იგი თავის ინვესტიციებს ჩადებს: რეციპიენტი ქვეყნისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში (მაგალითად, ძირითად კაპიტალში); მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის მწარმოებელ პრიორიტეტულ დარგებში; ჩამორჩენილ დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფ რეგიონებში და ა.შ.*

საკვანძო სიტყვები: *უცხოური ინვესტიცია, ადგილობრივი ინვესტიცია, ინვესტიცია ინვესტორისთვის ან „ელიტისთვის", ინვესტორის, რეციფიენტის და საზოგადოების ინტერესთა თანხვედრა.*

შესავალი

დღეს, როდესაც საქართველოს ეკონომიკაში შემცირებულია ფულადი გზავნილები, ასევე ექსპორტი, გარკვეულწილად გაუფასურებულია ლარი, გამკაცრებულია მონეტარული პოლიტიკა და საქართველოს მთავრობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულებას გადასახადების ზრდასთან დაკავშირებით არ აპირებს (ე.ი. ეკონომიკური ვითარების გაჯანსაღება სავალუტო ფონდის ტრანშის გარეშე უნდა მოახერხოს), ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალი უმთავრესად ინვესტიციებში(განსაკუთრებით უცხოურ ინვესტიციებში) უნდა ვეძიოთ, რომელიც საქართველოს ეკონომიკური აღორძინების ერთ-ერთი ძირითადი გასაღები უნდა გახდეს უახლოესი წლების განმავლობაში, როგორც მთავრობის მიერ წარმოდგენილი მოკლევადიანი გეგმის(მოიცავს 2015 წლის მარტი-მაისის პერიოდს), ისე საშუალოვადიანი ( 2015 წლის ბოლომდე ) და გრძელვადიანი(მოიცავს 2015-2017 წლებს) გეგმის მიხედვით.

ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში უაღრესად დიდია. მიუხედავად ამ ეკონომიკური კატეგორიისადმი მეცნიერ ეკონომისტთა განსაკუთრებული ყურადღებისა, ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი მისი შედეგობრივი მხარე, კერძოდ, რა სარგებლობა მოაქვს მას ინვესტიციის მიმღები ქვეყნისათვის, თვით ადგი-

ლობრივი თუ უცხოელი ინვესტორისათვის, და, რაც მთავარია, საზოგადოებისათვის. ჩვენი მიზანი ხომ მარტო ლამაზი შენობა-ნაგეგობათა აშენება(თუნდაც უცხოური ინვესტიციის ხარჯზე), ზოგიერთი ადგილობრივი ჩინოვნიკის გამდიდრება არ არის. მთავარია მოხდეს ინვესტირების პროცესში მონაწილე ყველა მხარის ინტერესთა თანხვედრა და ხალხმა რეალურად იგრძნოს ინვესტიციის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.

ძირითადი ნაწილი

ცნობილია, რომ წლების განმავლობაში საქართველოსთვის მთავარი ამოცანა იყო არა ის, თუ როგორ გაეზარდა უცხოური ინვესტიციებისგან მისაღები შედეგები, არამედ ის, თუ როგორ მოეზიდა რაც შეიძლება მეტი ოდენობით ინვესტიციები. ე.ი. ფაქტიურად, უცხოური ინვესტიციები, ჩვენი აზრით, განიხილებოდა ეკონომიკური პოლიტიკისგან მოწყვეტილად[1,გვ.39.], მხოლოდ როგორც პროცესის (ზოგადად როგორც მისი მოზიდვა, შემოსვლა, რაოდენობრივი მხარე) და არა შედეგის თვალსაზრისით (მისი წარმართვა პრიორიტეტულ დარგებში, სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად, ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად და ა.შ.). არადა სახელმწიფოს მხრიდან ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება მარტო ინვესტიციის მოზიდვას არ გულისხმობს. ეს მხოლოდ მისი ერთი ფაზაა. ამასთან ერთად მთავარია ინვესტიციის მიმდინარეობის პროცესი და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებაზე სახელმწიფოებრივი  მონიტორინგის პროცესი. საინვესტიციო  პოლიტიკა წარმატებულია ამ სამივე ფაქტორის წარმატებულობის შემთხვევაში.სინამდვილეში დღეს  კი მხოლოდ პირველი ფაქტორი განიხილება და სხვა ფაქტორები პრიორიტეტული არაა.[1]

1 ამის შედეგია ის, რომ გაიყიდა მრავალი მსხვილი საინვესტიციო ობიექტი, მაგრამ მათი ამუშავების მხრივ პროგრესი არ შეინიშნება. მაგ., თბილისის ცენტრში უკვე რამდენიმე წელია ჯერ კიდევ არ დაწყებულა „შეპირებული" მრავალვარსკვლავიანი სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა-ყოფილი „აგროპრომის" შენობა, „იმელის" შენობა, სასტუმრო „ჰაიატი". გამოდის რომ ხელისუფლებამ და მთლიანად საზოგადოებამ, საბოლოო

1995 წლიდან საქართველოს მთავრობა აქტიურად ცდილობდა წაეხალისებინა უცხოური ინვესტიციები სხვადასხვა ღონისძიებების ერთობლიობით (საპრივატიზაციო პროგრამები, ახალი პროექტები, ერთობლივი საწარმოები და ა.შ.). ამ მიზნით მიიღო პროგრესული კანონების მთელი პაკეტი, რომელიც შეესაბამებოდა ლიბერალური, საბაზრო ეკონომიის პრინციპებს (კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, მესაკუთრეთა უფლებების დაცვა, უცხოური, საკუთრების დაცვის გარანტია, შემზღუდავი პირობების უარყოფა, კაპიტალის რეპატრიაციის შეუზღუდავი შესაძლებლობა და ა.შ.). დამატებით არსებობდა სხვა ხელშემწყობი ფაქტორები უცხოური ინვესტიციების დასაინტერესებლად (საქართველოს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა, უმნიშვნელოვანესი ნავთობისა და გაზის პროექტების დამტკიცება რეგიონში, ჯანსაღი მონეტარული პოლიტიკის მიმდევრობა, კარგად გამართული საბანკო სექტორი, იაფი მაღალკვალიფიციური ტექნიკური მუშაკები, მაღალი და საშუალო სტანდარტის უნარ-ჩვევების მქონე მუშახელის დიდი რაოდენობა, მდიდარი სასოფლო-სამეურნეო ნიადაგი, უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური პირობები და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრობა).

მიუხედავად ერთი შეხედვით ასეთი უპირატესობებისა, სასურველი შედეგი ინვესტიციურ საქმიანობაში ვერ მივიღეთ. მართალია, ზოგიერთი ტრანსნაციონალური და მრავალეროვნული კომპანიები და გარკვეული უცხოური ბიზნეს სუბიექტები (მეტრომედია, მაგთი, სს თელასი, მერიოტი, თიბისი ჯგუფი, ბრითიშ პეტროლეუმი) შემოვიდნენ სამამულო ბაზარზე, მაგრამ უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობა მაინც არც თუ ისე წარმატებულად გამოიყურებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირსა და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანასთან შედარებით. გარდა ამისა, ინვესტიციები ძირითადად თავს იყრიდა ენერგეტიკის, ნავთობისა და გაზის, ტელეკომუ-

---

**ჯამში ვერ მიიღო ის ეფექტი, რაც ამ ობიექტების განსახელმწიფოებრიობას უნდა მოჰყოლოდა-სამუშაო ადგილები, ინფრასტრუქტურა, სერვისების განვითარება, შემოსავლები ბიუჯეტში და ა.შ.**

ნიკაციების, ტურიზმის და დისტრიბუციის სფეროში. უმთავრესი მიზეზი უცხოური ინვესტიციების დაბალი მაჩვენებლებისა საქართველოში იყო: მწირი ინფრასტრუქტურა, მზარდი და მოუთოკავი კორუფცია, საინვესტიციო კანონმდებლობასა და სამთავრობო პოლიტიკაში შემორჩენილი ხარვეზები. ამ უკანასკნელის შედეგად ყველაზე მნიშვნელოვანი შეცდომები მდგომარეობდა შემდეგში:

ა) მთავრობა ინარჩუნებდა უპირატესობას წილობრივ მფლობელობაში (მხოლოდ მოგვიანებით მისი წილობრივი მფლობელობის მინიმუმი 25%-ით დადგინდა) ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ სექტორებში (ტელეკომუნიკაციები, ტრანსპორტი, გზები, რკინიგზა, პორტები, აეროპორტები, ელექტროენერგიის გადამცემი ხაზები და ა.შ.);

ბ) სახელმწიფო აჭიანურებდა არარენტაბელური, წამგებიანი საწარმოების პრივატიზაციის პროცესს;

გ) ხშირად იცვლებოდა საგადასახადო კანონმდებლობა და ასევე არ იყო სასურველი პოლიტიკური სტაბილურობა;

დ) არ ტარდებოდა აქტიური ექსპორტის წამახალისებელი, იმპორტის ჩამნაცვლებელი ღონისძიებები, როგორც ეს განხორციელდა ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ზოგიერთ ქვეყნებში;

ე) საქართველოს მთავრობამ ვერ შესძლო საკუთარი ინვესტორებისთვის შეექმნა ხელშემწყობი გარემო, რაც გამოიწვია კაბალურმა საგადასახადო სისტემამ, რის შედეგადაც ადგილობრივი მეწარმეები ვერ გახდნენ კონკურენტუნარიანნი და ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულნი.

ბუნებრივია, ზემოაღნიშნული შეცდომების გამო ხელი არ ეწყობოდა სამამულო და უცხოურ კომპანიებს შორის ეფექტიანი კავშირების განვითარებას და მაშასადამე, საკუთარ და უცხოურ ინვესტორებს, ინვესტორებსა (როგორც ადგილობრივ ისე უცხოურ) და რეციპიენტთა ინტერესების დაბალანსებულობას, თანხვედრას.

საქართველოში 2003 წლის დასასრულიდან ბევრი რამ შეიცვალა. ცნობილი ,,ვარდების რევოლუციის“ შემდეგ უცხოური

ინვესტიციებისათვის გაიხსნა დახურული ბაზრის სეგმენტები, დაიწყო საინვესტიციო გარემოს ლიბერალიზაციის შემდგომი პროცესი, იხვეწება საგადასახადო კოდექსი, დაჩქარდა პრივატიზაციის პროცესი. ყოველივე ეს გახდა ახალი მთავრობის დღის წესრიგის მთავარი პრიორიტეტები. პირველი დადებითი შედეგები აღინიშნა უკვე 2003 წელს. კერძოდ, დაფიქსირდა ქვეყნის მშპ-ის 7%-ნი ზრდა, რასაც მომდევნო წლებში მოჰყვა 5%-ნი ზრდა სასტარტო წელთან შედარებით. ეს არის უდავოდ სასურველი პროგრესი. მთლიანობაში აღებულმა ტენდენციებმა იმედი გააჩინა, რომ მოლოდინი უცხოური ინვესტიციების დიდი ნაკადით შემოდინებისა არის საფუძვლიანი, რასაც თან უნდა მოჰყვეს დიდი დადებითი შედეგები[2,გვ.17.]. არადა მთავრობის ლიბერალურ, მაგრამ ამავდროულად პრაქტიკულ და ინოვაციურ პოლიტიკას შეუძლია მნიშვნელოვნად დააჩქაროს აღნიშნული პროცესი[1].

1 გარდამავალი ეკონომიკის თითქმის უმრავლესობაში ინვესტიციები ძირითადად მიემართება ინოვაციური საქმიანობის დასაფინანსებლად, ეს ტენდენცია არც საქართველოში უნდა დარჩეს ყურადღების გარეშე. მიმართულება, ვექტორი სწორად არ იქნება შერჩეული, თუ ახალი წარმოებების, ინოვაციური, ცოდნაზე დაფუძნებული დარგების ჩამოყალიბებაში მხოლოდ უცხოური ინვესტიციების იმედზე ვიქნებით. ისევე როგორც ნებისმიერი ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნისთვის, ასევე საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების გამოყენება. სასარგებლოა ამა თუ იმ ქვეყნის საინვესტიციო გამოცდილების ადგილობრივი თვისებების გათვალისწინებით გაზიარება როგორც განვითარების ფაქტორის - ბუნებრივი, საწარმოო და შრომითი პოტენციალის მობილიზებაში, მაგრამ მისი მთავარი აქცენტი იმპორტშემცვლელი წარმოების ზრდასა და საექსპორტო კონკურენტუნარიანი ინოვაციური, კრეატიულ ცოდნაზე დაფუძნებული კრეატიული პროდუქციის წარმოებაზე უნდა გაკეთდეს. უცხოური ინვესტიციის გამოყენება განსაკუთრებით უნდა წარიმართოს ეროვნული ეკონომიკის იმ სფეროებში, რომელთა გააქტიურებას შეუძლია არსებითი წვლილი შეიტანოს აღნიშნულ სფეროებში ტრანსფორმაციული კრიზისის დაძლევაში, არსებული სოციალური დაძაბულობის შემცირებაში და დასაქმების ზრდაში. ასეთ დარგებად, უწინარეს ყოვლისა, უნდა მივიჩნიოთ ფართო მოხმარების საგნების და ფარმაცევტული საქონლის წარმოება, რომლის უხვი საკუთარი ნედლეული საქართველოს გააჩნია. ასევე მეტი უცხოური ინვეტიციები უნდა იქნას მოზიდული სოფლის მეურნეობის

უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ საფინანსო ბაზარი არ არის ჩამოყალიბებული, რაც ვერ აძლევს უცხოელ ინვესტორს საპორტფელო არჩევანის ფართო შესაძლებლობას. ამიტომ უცხოელები სრულიად უცნობ საქმეში ინვესტირებას თავს არიდებენ და პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებას ამჯობინებენ ხოლმე, რითაც მეტი გაკონტროლების საშუალება ეძლევათ. წარმოებაში ფულის დაბანდებას ინვესტორები სარისკოდ მიიჩნევენ, რადგან კონტრაქტები ბევრჯერ არ სრულდება და, სამწუხაროდ, ხშირად ადგილი ჰქონდა და ახლაც ადგილი აქვს საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებას.

საერთოდ ცნობილი ფაქტია, რომ უცხოელი ინვესტორი კაპიტალს არ დააბანდებს ისეთ ქვეყანაში, სადაც შიდა ინვესტიციური პრაქტიკა მოშლილია. გამომდინარე აქედან, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინვესტიციური კრიზისის დაძლევის, და, მაშასადამე, უცხოური ინვესტიციების გადიდების კატალიზატო-

დარგების გამოსაცოცხლებლად და შეზღუდვა ან ლიმიტი დაწესდეს უძრავი ქონების სფეროში. 2010 წელს უცხოურმა ინვესტიციებმა აგრარულ სექტორში მხოლოდ 8 632 000 ( 1,9 %) შეადგინა, ტურიზმის სფეროში 3 450 000 დოლარი, ( 0,6%) მაშინ როცა უძრავი ქონებაში დაბანდებული იყო 119 253 000 (15%) დოლარი. სწორედ აქ უნდა ჩაერიოს სახელმწიფო, რათა ეს მაჩვენებლები ერთმანეთს მიუახლოვოს: მაგ. სოფლის მეურნეობის 1,5% -გაიზარდოს 15 % მდე თუ არა, 10 %-მდე მაინც, ასევე ტურიზმშიც. მაგ. მექსიკაში ნავთობში ინვეტიციები აკრძალულია, ხოლო ისლანდიაში ენერგეტიკაში. ჩვენთვის გარდამავალ ეტაპზე არ არი საჭირო აკრძალვა საერთოდ, მაგრამ მნიშვნელოვანია უცხოელებზე გაყიდული საწარმოების პროფილის შენარჩუნება. ასეთ დროს უცხოური ინვესტიციების დახმარებით რეკომენდაციას და ტექნოლოგიურ გაუმჯობესებას საჭიროებენ აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოები. საქართველოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე კონკრეტული ამოცანაა შეიცვალოს წარმოებითი ურთიერთობები, რაც უპირველესად სოფლის მეურნეობის თანამედროვე ცივილიზებულ დარგად გადაქცევას გულისხმობს. ამ უკანასკნელის გარეშე ვერც ტურიზმი განვითარდება სასურველი პარამეტრებით. აღნიშნული ამოცანების პრაქტიკული რეალიზაცია გამოათავისუფლებს სავალუტო რესურსებს, ხელს შეუწყობს იმპორტშემცვლელი წარმოების განვითარებას და, საბოლოო ჯამში, მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ამაღლებას, რომლის გარეშეც ინვესტიცია მხოლოდ თვითმიზანი იქნება და არც საზოგადოების განვითარების, ეკონომიკური ზრდის წყარო.

რად შეიძლება მივიჩნიოთ **შიდა საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურება, გამოცოცხლება.** ამისათვის კი საჭიროა მოგვარდეს როგორც უცხოელი ინვესტორის პრობლემები (ქვეყნის რეგიონისა და კომპანიის დონეზე სასურველი საინვესტიციო გარემოს შექმნა), ისე რეციპიენტი ქვეყნის, ე.ი. ინვესტიციის მიმღები მხარის პრობლემები (საქართველოს კომპანიების მზადყოფნა უცხოური კაპიტალის მიღებისა და მისი ეფექტიანად გამოყენებისათვის; ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და შესაბამისად რისკების შემცირება). ამ პრობლემების გადაჭრის პარალელურად თუ არ მოხდა ინვესტორებისა და რეციპიენტის ინტერესთა თანხვედრა, დაბალანსება, ისე ვერ დაჩქარდება ინვესტიციური საქმიანობა. საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურების მიზნით ინვესტორებს (როგორც უცხოური ისე ადგილობრივი) შეღავათი უნდა მიეცეს საბაჟო, საგადასახადო სფეროში, თუ იგი თავის ინვესტიციებს ჩადებს: რეციპიენტი ქვეყნისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში (მაგალითად, ძირითად კაპიტალში); მატერიალური დოვლათისა და სოციალური სიკეთის მწარმოებელ პრიორიტეტულ დარგებში; ჩამორჩენილ დეპრესიულ მდგომარეობაში მყოფ რეგიონებში და ა.შ. განა შეიძლება ერთნაირი საგადასახადო და საბაჟო რეჟიმით იმუშაოს ინვესტორმა, რომელიც კაპიტალს აბანდებს, მაგალითად, თბილისსა და რაჭა-ლეჩხუმში, ქვემო სვანეთის ან სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ინვესტორებისა და რეციპიენტის ინტერესთა თანხვედრა არ მოხდება, თუ, მაგალითად არ იქნა გათვალისწინებული ამა თუ იმ დარგის რენტაბელობის დონეც, დაბანდებული სახსრების ანაზღაურების ვადა და ა.შ. სადაც ეს მაჩვენებლები დაბალია და რისკიც მეტია, იქ შეღავათები უფრო მეტი უნდა იყოს. ასევე განსხვავებული უნდა იყოს საინვესტიციო პირობები, სამთომომპოვებელ მრეწველობაში და მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, ხელოვნებაში, კულტურაში, სპორტსა და სხვა ნაკლებად რენტაბელურ, მაგრამ რეციპიენტისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ დარგებში. ასეთ არარენტაბელურ სფეროში დაბანდებული კაპიტალის

მიმართ უნდა დაწესდეს ,,თბილი“ რეჟიმი და კანონი უნდა ითვალისწინებდეს ინვესტიციების ხელშეწყობისა და ხელშეუხებლობის, მისი რეგისტრაციის, დაცვის, დაბეგვრის და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ასპექტების ლიბერალურ პირობებს. ამასთან კანონი ერთმნიშვნელოვნად უნდა ავალებდეს ინვესტორებს თავიანთი საქმიანობით არ დაარღვიონ რეცეპიენტთა ეკონომიკური და ეკოლოგიური უსაფრთხოება; წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უნდა იცოდნენ, რომ სასამართლოს წესით ჩამოერთმევათ საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების უფლება და ვერ მიიღებენ კომპენსაციას. სასამართლო სისტემა კი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ მან შეასრულოს საინვესტიციო პროცესების დაჩქარების ფუნქცია. დასახვეწია სასამართლო განჩინებათა აღსრულების პრაქტიკა, გასატარებელია მასტიმულირებელი ღონისძიებები საარბიტრაჟო სფეროშიც, რომელმაც ყველაზე უკეთესად უნდა დაიცვას ინვესტორთა და კომპანიების ინტერესები.

ინტერესთა თანხვედრა უნდა მოხდეს არა მარტო ინვესტორებსა და რეციპიენტს შორის, არამედ ინვესტორებს, რეციპიენტსა და საზოგადოების ინტერესებს შორის. კანონი უნდა იცავდეს და ითვალისწინებდეს ინვესტიციის შედეგად დასაქმებული მუშაკებისა და საერთოდ ხალხის ინტერესებს.თუ ჩვენ აქცენტს ავიღებთ მხოლოდ უცხოურ ინვესტიციებზე, უცხოელ ინვესტორებზე და ამით მიიღწევა ეროვნული ეკონომიკის ზრდა, შედეგად მივიღებთ იმას, რომ ყველგან რენტაბელურ დარგებს დაეპატრონება უცხოელები (მათ შორის შიძლება იყოს არაკეთილსინდისიერი ინვესტორებიც).უცხოელი ინვესტორები კი უნდა შემოვიდეს, მაგრამ საკითხავია ვისი ფული შემოდის, რაში იდება შემოსული ინვესტიცია და რა სარგებლობა მოაქვს მას რეციფიენტისათვის, თვით ინვესტორისათვის(საკითხავია მოგების რადენი პროცენტი მიაქვს მას თავის ქვეყანაში) და , რაც მთავარია, ხალხისათვის(დაცულია კი მათი ეკონომიკური და ეროვნული ინტერესები?). ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ინვესტიციების მოზიდვის ისეთი მეთოდები, რომელიც მისაღები აღმოჩნდება არამარტო უცხოელი თუ სამა-

მულო ინვესტორისათვის, არამედ ადილობრივი მაცხოვრებელთათვისაც. მარტო უცხოური ინვესტიციები და მათ მიერ ახალი საწარმოების,ლამაზი ნაგებობბის მშენებლობა არ უნდა იყოს თვითმიზანი. საკითხავია რა ფასად გვიჯდება ჩვენ ეს „ინვესტიცია“, რა სარგებლობას ხედავს უცხოელი და რა სარგებლობას ხედავს ადგილობრივი? შევადაროთ , გავაანალიზოთ ეს მომენტები და თუ ჩვენთვის უკეთესი პირობებია, მხოლოდ მაშინ დავრთოთ ნება უცხოურ ინვესტიციებს და არა ნებისმიერს.ამ კუთხით მხარდასაჭერია მოსაზრება, რომლის მიხედვით ეჭვს იწვევს დამკვიდრებული პრაქტიკა , როცა უცხოელ ბიზნესმენებს ხშირად ხვდებიან მთავრობის წარმომადგენლები. სახელმწიფო მოხელე ხომ პოლიტიკის გამტარებელია. მისი ვალია შეიმუშავოს პოლიტიკა მეცნიერებისა და სპეციალისტების, დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობით, ხოლო ინვესტორი თვითონ მოძებნის გზას ინვესტიციების ჩასადებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩნდება ეჭვი, რომ ხელისუფლების მაღალი ჩინოვნიკი ფარულ გარიგებაში შედის უცხოელ ინვესტორთან და ხელსაყრელ პირობებს უქმნის აქ ბიზნესის მოსაწყობად[3,გვ.47.].მოსალოდნელია უცხოელებს წილში ჩაუჯდეს ადგილობრივი მაღალი დონის ჩინოვნიკი(ამ ცდუნების ალბათობა ძალიან დიდია ნებისმიერ ქვეყანაში და ხელისუფლებაში). თუ წინა ხელისუფლების მსგავსად განვითარდა მოვლენები, ადგილობრივ მოსახლეობას დაასაქმებენ იაფ მუშახელად, დროებით მუშად, რომელსაც შრომითი ხელშეკრულებით ექნება მხოლოდ მოსამსახურის ფუნქცია და მეტი არანაირი უფლება. უფრო მეტიც, ტოპ-მენეჯერები ხომ უცხოელები იქნებიან, ძალიან დიდი ალბათობით, რიგითი თანამშრომლების უმრავლესობაც (ამის მაგალითია ჩინელების ჩამოყვანა უსტიციის სახლის მშენებლობისას თბილისში) ადგილობრივები კი (თუნდაც დიპლომიანები)-შეიძლება იყვნენ დამლაგებლები, მიწის მთხრელები,მძღოლები, მიმტანები და ა.შ.[3,გვ.45.] ამის მაგალითია ის, რომ საქართველოში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების პროცესში ქვეყანაში განვითარდა კაპიტალიზმის ადრეული სტადიებისათვის დამახასიათებელი ურთიერთო-

ბები. ეკონომიკაში ჩამორჩენილობის დაძლევისათვის ინვესტიციების მოზიდვის სწორი ლოზუნგის ქვეშ ქვეყანა მოექცა საეჭვო, ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კორპორაციების ირიბი დამოკიდებულების ქვეშ. ქვეყანას ასეთმა კორპორაციებმა მმართველი ელიტის მეშვეობით მიაღწიეს არათანასწორუფლებიან, საქართველოსათვის არა სასარგებლო ხელშეკრულებებს, რაც უზრუნველყოფს ამ კორპორაციებისათვის მონოპოლიურ მოგებას , მაშინ როდესაც მოსახლეობის ინტერესები მომხმარებლების უფლებების დონეზეც არაა დაცული. ასეთი სიტუაციაა ენერგეტიკის სფეროში, სადაც სახელმწიფო მონოპოლიის დაშლისა და კონკურენციის განვითარების რეფორმა დასრულდა კერძო კომპანიების მონოპოლიზმით. ნეოკოლონიალიზმის სახეს იღებს პრივატიზების დროს ობიექტებისა და აქტივების სხვა ქვეყნების სახელმწიფო კომპანიებზე გადაცემის შემდეგ წარმოშობილი ურთიერთობები. დასავლეთის მეგობარი ქვეყნების მთავრობები ხაზს უსვამენ, რომ ინვესტიცია ხორციელდება ხალხისთვის და არა ელიტისთვის. შერჩევა უნდა მიმდინარეობდეს ისე, რომ ინვესტორის ინტერესები შეესაბამებოდეს ქვეყნის ინტერესებს. განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა ისტორიულად „კოლონიურ" სამთო მოპოვებით სფეროში. რესურსების გატანა, თანაც მუშა-ხელის შრომის ანაზღაურების უმდაბლესი დონისა და ჩამორჩენილი ტექნოლოგიების გამოყენებით, შრომის პირობებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების ნორმების უხეში დარღვევით- მეცხრამეტე საუკუნის აფრიკული კოლონიური სინამდვილის განმეორებაა საქართველოში. ასეთი მაგალითია 2005 წელს გაყიდული მადნეულის სახელმწიფო საწარმოები, რომელთა საქმიანობა შეიძლებოდა გაგრძელებულიყო სახელმწიფო საწარმოების სახით, ან მომხდარიყო ტრანსნაციონალური ცნობილი ინვესტორის შემოყვანა, ისე როგორც ეს განახორციელა თუნდაც მეზობელმა აზერბაიჯანმა სტრატეგიული რესურსების მოპოვების სფეროში. წარმოდგენისათვის შეიძლება დავასახელოთ ასეთი ინვესტორის მაგალითად , საქართველოში მოღვაწეობით ცნობილი „ბრიტიშ პეტროლიუმი".

[4,გვ.161]. გამოდინარე აქედან, ჩვენ გვჭირდება არა უუფლებო მოსამსახურე, არამედ ისეთი ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც იქნება პარტნიორი, გარკვეული გაგებით მეწილემესაკუთრეც.ამის რეზერვები საქართველოში გამოიძებნება, თუკი ხელსყრელ პირობებს შევუქმნით ემიგრანტ ბიზნესმენ ქართველებს სამშობლოში დასაბრუნებლად.მათ იმ ქვეყანაში, სადაც ბინესი აქვთ აწყობილი, „...ადვილად შეუძლიათ განსაზღვრონ რა პროდუქციაზეა იქ მეტი მოთხოვნილება. აქედან გამომდინარე, ბევრი მათგანი აქცენტს გააკეთებს სოფლის მეურნეობის საექსპორტო პროდუქციაზე, გადამამუშავებელ ქარხნებზე და ა.შ. ზოგიერთებს სხვა სფეროში აქვს გამოცდილება, თუნდაც მოძებნოს გასაღების ბაზარი, ეს ხომ უმნიშვნელოვანესი საკითხია“[3,გვ.48.].

ინვესტორები არ უნდა იწვევდეს დამზადებული პროდუქციის (მომსახურების) გაძვირებას, რასაც სამწუხაროდ, საქართველოს პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი. მაგ. კომპანია ,,ეი-ეს თელასის“ მოღვაწეობა საქართველოს მძიმე ტვირთად დააწვა. იგი ზოგჯერ ცვლის ელექტროენერგიის საფასურს იმ მოტივით, რომ მის მიერ ვალდებულებად აღებულ საქმიანობას ესაჭიროება დამატებითი ინვესტიციები. ჯერ ერთი, კომპანია კი არ აწარმოებს ელექტროენერგიას, არამედ მხოლოდ სხვის მიერ გამოშვებული ენერგიის დისტრიბუციას ახორციელებს, რომელსაც დამატებითი ინვესტიციები, წესით, არ უნდა სჭირდებოდეს ასე ყოველწლიურად და მეორე, თუკი ასეთი ინვესტიციები სჭირდება, მაშინ ხელმეორედ უნდა ფორმდებოდეს ხელშეკრულებები დამატებითი ინვესტიციების შესახებ და ის არ უნდა სრულდებოდეს მოსახლეობის ხარჯზე. გამოდის, რომ უცხოურმა ინვესტორმა ისარგებლა საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილებით, მენეჯმენტის დაბალი დონით და შესამჩნევი ზიანი მიაყენა რეციპიენტ ქვეყანასაც და მოსახლეობასაც.

ამრიგად, ,,ეი-ეს-თელასის“ მაგალითიც კი საკმარისია იმისათვის, რომ კატეგორიულად იქნას დაცული ინვესტორების, რეციპიენტისა და საზოგადოების ინტერესები. წინააღმდეგ

შემთხვევაში ვერ მოიგებს ვერც ინვესტორი, რეციპიენტი ქვეყანა და საზოგადოება. შესაბამისად, ასეთი ინტერესების გაუთვალისწინებლად წარმართული უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტიცია ვერ ჩაითვლება დადებით მოვლენად, განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის წყაროდ.

აზიის ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც მოხდა ეგრეთწოდებული ,,ეკონომიკური სასწაული", სახელმწიფო, საჭიროების შემთხვევაში, ინვესტიციის მონაწილე მხარეთა ინტერესების დასაბალანსებლად, აქტიურად ერეოდა ეკონომიკურ პროცესებში. ყოველივე ამის გამო შესაძლებელი გახდა უცხო კაპიტალის ჩაყენება რეციპიენტი ქვეყნის სამსახურში და მინუმამდე იქნა დაყვანილი უარყოფითი შედეგები. ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ტაივანი, ჰონკონგი, სინგაპური და სხვ. რეფორმის სასტარტო მდგომარეობაში წარმოადგენდნენ სოფლის ტიპის დასახლებებს. იქ არ არსებობდა არც ინფრასტრუქტურა, არც კვალიფიციური მუშახელი, არც მეწარმეობის უნარის მქონე პირები, არც საწარმოო ბაზა. ასეთ ვითარებაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გახდა მათი ეკონომიკური აღმავლობის ერთადერთი პირობა.

განსხვავებით აღნიშნული ქვეყნებისაგან, სადაც მოხდა ეკონომიკური სასწაული, საქართველო გაცილებით უკეთეს სასტარტო მდგომარეობაშია. გაგვაჩნია ინფრასტრუქტურაც, საწარმოთა ბაზაც, კვალიფიციური მუშახელი და მეწარმეები, რაც ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში იშვიათია. გამომდინარე აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზემოაღნიშნულ ქვეყნებთან შედარებით არ გვჭირდება იმდენი უცხო კაპიტალი. კიდევ უფრო ნაკლებად დაგვჭირდება უცხოელი სპეციალისტები, ბიზნესმენები. შესაბამისად, უნდა გაითვალოს საინვესტიციო სტრატეგიაც, კერძოდ, უცხოური ინვესტიციების და უცხოელი ინვესტორების ლოდინის პასიური სტრატეგია უნდა შეიცვალოს აქტიური საკუთარი რესურსების ამოქმედების, ეროვნული რეზერვების მაქსიმალურად მობილიზაციის სტრატეგიით. თუკი მოხერხდა, კარგი იქნება უცხოური საკრედიტო რესურსების მეშვეობით დავასაქმოთ ადგილობრივი მეწარმე-

ები, წავახალისოთ საკუთარი ინვესტიციები, ავამაღლოთ მოსახლეობის დანაზოგების წილი საინვესტიციო საქმიანობაში (რაც დღესდღეობით უმნიშვნელოა, მითუმეტეს ბოლო პერიოდში ლარის გაუფასურებისას). ამ მხრივ ადგილობრივი წარმოების განვითარების თვალსაზრისით დიდი რეზერვებია მაგალითად, ფარმაცევტული ბიზნესის სფეროში. საქართველოში, ჩვენი აზრით, ფარმაციის დარგში არსებობს იმდენი ადგილობრივი რესურსები, საკუთარი მდიდარი სანედლეულო ბაზა, რომ მოხდეს უპირველესად სამამულო ფარმაცევტული ბიზნესის აღორძინება, რასაკვირველია, როგორც ინვესტორების, ისე სახელმწიფოს აქტიური დახმარებით.

დასკვნა

უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობა საქართველოში დიდად არის დამოკიდებული როგორც ინვესტიციების, ისე ინვესტორების ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ქვეყნის სასტარტო მდგომარეობის რიგი უპირატესობების დროულად ამოქმედებაზე, უცხოელი ინვესტორების, რეციპიენტისა და საზოგადოების ინტერესთა დაცულობაზე, თანხვედრაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1.ჟურნ. ,,ბიზნესი და კანონმდებლობა“, დეკემბერი, 2010წ.
2.Patsuria, N (2005), ,,The United States is the Biggest Foreign Investor in Georgia“, In Georgia Today. May, 2005.
3.ჟურნალი „ახალი ეკონომიკა„,#3-4, 2014 წ.
4.ჟურნალი „ეკონომიკა„,#1-2, 2015 წ.

References

1. Journal „ Business and Legislation“ , December, 2010 y. (In Georgian Language)
2. Patsuria, N (2005), ,,The United States is the Biggest Foreign Investor in Georgia“, In Georgia Today. May, 2005.
3. Journal „ New Economics“,#3-4, 2014 y. (In Georgian Language)
4. Journal „ Economics“, #1-2, 2015y. (In Georgian Language) .

# INVESTMENT FOR PEOPLE AND NOT ONLY FOR THE INVESTOR AND THE "ELITE"

**Revaz Shengelia**
Doctor of Economics, GTU, Professor
**Zhuzhuna Tsiklauri**
Doctor of Economics, GTU, Professor
**Natia Shengelia**
PHD in Economics, GTU, As. Professor

**Resume**

Overcoming an investment crisis, and, consequently, increasing the volume of foreign investments is impossible without the recovery and activation of the domestic investment activity. Therefore, we need to deal with the problems not just of foreign investors (to create a desired investment environment at the regional and company's level), but also of a recipient country, (the readiness of Georgian companies to accept foreign capital and its effective usage; Provision of the country's economic security and correspondingly a reduction of risks). At the same time while solving these problems, it is necessary to coincide, balance the interests of investors, the recipient, and, most importantly, of the society. Furthermore, we should develop such kind of methods that will be acceptable not only for both foreign and domestic investors, but also for the local residents. For the activation of investment activities, investors (both foreign and local) should be given the benefit of customs, generally taxes, if they will make investments in: the prioritary fields of the recipient country (for example in fixed capital); Material wealth and social welfare producing priority areas ; in the depressed backward regions, etc.

**Key words:** *Foreign Investment, Local Investment, Investment for investors or the "Elite", Coincidence of interests of the investor, recipient and society.*

# ადამიანური გონის ევოლუციური განვითარების სოციალურ-ეკონომიკური გზა

**ეთერ თაკალანძე**
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

**საკვანძო ტერმინები:** გონი; ადამიანის (ერი, კაცობრიობა) საზოგადოებრივი თვითშეგნების დონე;. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია; ქრისტიანული წელთაღრიცხვის 2 ათასწლეული; ადამიანი (ერი, კაცობრიობა); დედამიწა.

ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიკური მოწყობა ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულ საზღვრებში, ჩვენი კვლევის მიხედვით[1], კონკრეტული სოციალური მოთხოვნაა ყოველი ერის მიმართ. ანუ, დამდეგ 2,0 ათასწლეულში საქართველოს სახელმწიფოებრიობა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ საზღვრებში რომ უნდა აღსდგეს, ქართულმა სახელმწიფომ, საქართველოს თორმეტი ისტორიული რეგიონი უნდა მოიცვას. სახელმწიფოებრიობისა თუ, მისი თვითგანვითარებისუნარიანობის მუდმივად შენარჩუნებისათვის სოციალურად განსაზღვრული, დამდეგი 2,0 ათასწლიანი ვადა უნდა დაყვანილიქნას საუკუნეებზე და, ამასთან, თავად საუკუნეშიც, - წინასწარ განსაზღვრულ ერთეულებზე; - უნდა გადანაწილდეს ქვეყნის რეგიონალური თვითგანვითარების საქმიანობა სისტემურად დროის დინებასთან, ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, და, ყოველ რეგიონში ამ ვადის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. ანუ, ამ ვადის დაცვის რეგიონული თვითგანვითარების საქმიანობასთან სისტემურად ორგანიზაცია-მართვის პოლიტიკურ-ეკონომიკური ფუნქცია უნდა დაყვანილიქნეს, ერთის მხრივ, დროის მიმდინარეობისა და, მეორის მხრივ, ქვეყნის თვითგანვითარების

---

**1 იხ.: ავტორისეული მოკვლევა აღნიშნულ პრობლემაზე ჩვენს ჟურნალში 2000-2012 წლებში. ამჯერად ავტორი გვთავაზობს წინამდებარე მოკვლევას და ჩვენს ჟურნალში ამ სტატიას ვაქვეყნებთ მისი - დაჟინებული მოითხოვნით, სტილის დაცვით.**

საქმიანობათა სისტემური აღრიცხვა-ანგარიშგების ორგანიზე-ბის ბაზაზე, ხუთწლიან (ე.ი. სახელისუფლო-საარჩევნო პერი-ოდულობით) პერსპექტიულ გეგმებზე; სხვა სიტყვებით, ყოველი მოცემული სახელისუფლო საარჩევნო პერიოდი, არის რა ხსენებ-ული, 2,0 ათასწლიანი ვადის შესრულების სისტემური აღრიცხვა-შეფასების საგანი, არის საპასუხისმგებლო - საგამოცდო ვადა, ხელისუფლებაში არჩეული პიროვნებების ეროვნული თვითშეგ-ნების დონის შეფასებისათვის; იგი არის ეროვნულ-საკაცობრიო სოციალური ფუნქცია-დანიშნულების აღსრულებისა და, მაშა-სადამე, ეროვნულ-საკაცობრიო ინტერესების დაცვის თვალ-საზრისით, სამართლიანი შეფასებისათვის; ამასთან, პიროვნების ამგვარი ფუნქცია-დანიშნულების აღსრულება ქვეყნის სახელმ-წიფოებრივ სისტემაში ადამიანის ეროვნული უფლებების მის ეროვნულ-საზოგადოებრივ მოვალეობებთან ბალანსირების პრინციპით, ეროვნული ენერგიის დადებითი ძალის პრიორიტეტ-ული ზრდის სახელმწიფოებრივად დაცვას გულისხმობს.

ახალ ერაში (მერწყული), ჩვენს პლანეტაზე, ურთიერთთან მიმდებარე ქვეყნებში თანმიმდევრულობით დროში განესაზ-ღვრებათ კანონზომიერება - „ლაზარეს" მიხედვით, პოლიტი-კურ-ეკონომიკური ურთიერთობების ორგანიზაციის ახლებური პირობები . აქ, ყოველ მოცემულ სახელისუფლო-საარჩევნო პე-რიოდში ეროვნული მისიის აღსრულების პოზიციიდან აღრიცხვა - შეფასების ძირითადი ობიექტი უნდა იყოს ქვეყნის რეგიონების მიხედვით თვითგანვითარების სოციალური შედეგი - ეროვნული ენერგიის დადებითი სალდო. ამგვარი შედეგი, რომელიც, ერთის მხრივ, დროის მსვლელობის, ე.ი. დედამიწის ბრუნვის, რიტმისა და, მეორეს მხრივ, ხსენებული ხუთწლიანი გეგმის მიხედვით განსაზღვრული ეროვნული ენერგიის წარმოება-განვითარების საქმიანობის მიმდინარეობას შორის შესაბამისობას გულისხ-მობს, ამგვარი შესაბამისობის სახელმწიფოებრივად დაცვის თანმიმდევრულობისა და უწყვეტობის, ამასთან, ხელისუფალთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის სისხლის სამართლებრივი გზით ორგანიზებას მოიცავს; რამე თუ, როგორც ეს ჩვენმა კვლ-ევამ ადრე დაგვანახა, რეგიონთაშორისი სოციალური პირობების

ცვალებადობა, სწორედ დედამიწის მოძრაობის რიტმის შესაბამისია და ამას, სხვა ასტრო-ფიზიკური სხეულების დედამიწასთან მიმართების რიგითობის შესაბამისად, ამ მიმართების ძალთა თანაფარდობა განსაზღვრავს.

ჩვენ ვსაუბრობთ ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობებში დროის ნორმირებისა და ხარჯვის საქმიანობათა სისტემური აღრიცხვის პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაციის აუცილებლობაზე; - იმაზე, რომ ახალ 2,0 ათასწლეულში ეროვნულ-დემოკრატიულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ თეორიაში უნდა გამოიკვეთოს ხსენებული, სისტემური აღრიცხვის საქმიანობა; - უნდა შეიქმნას ამ ბაზაზე, ადამიანის საზოგადოებრივი შრომის შედეგის (ეროვნული სოციალურ-ეკონომიკური პროდუქტი - ეროვნული სოციალური ენერგიის დადებითი ძალის მახასიათებელი) მაჩვენებლის (ზემოხსენებული სალდო), მიხედვით შეფასებისა და წახალისების შესაძლებლობა.

არამატერიალისტური ფასეულობის - ეროვნული სოციალური ენერგიის მოძრაობა-განვითარება, რაც უნდა დაიწყოს შესაბამისი იდეოლოგიის - არამატერიალისტური საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიის - შემოქმედებით საქართველოში, დედამიწაზე ამ უკანასკნელის ადგილმდებარეობისა გამო, ცხადია, ქვეყნის თვითგანვითარების პრაქტიკული საქმიანობის, სწორედ, ამ თეორიაზე აგებას გულისხმობს.

ცხადია, ზემოხსენებული ობიექტური (ასტრო-ფიზიკური) განსაზღვრულობა ნიშნავს იმას, რომ დღევანდელი საქართველოს საზოგადოებრივ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ურთიერთობებში უკვე უნდა უარყოფილიქნას კაპიტალისტური პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორია, რომელიც ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში დომინირებს, მეტადრე, „ეკონომიკსის“ სახელწოდებით [ 3; 4 და სხვა].

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში კრიტიკული დამოკიდებულება კაპიტალისტური პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიების მიმართ, ჩვენი მკითხველისათვის, გასული საუკუნის 90- ანი წლებიდან უკვე ცნობილია; კონკრეტულად „ეკონომიკსთან“ მიმართებაში კი, კრიტიკული დამოკიდებულება და მისი

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებების გამოაშკარავება ეკონომიკურ ლიტერატურაში, ქართველი ავტორის მიერ, 2008 წელს განხორციელდა.

პოლიტიკურ-ეკონომიკური სპეციალიზაციის პროფესორმა, ეკონომიკური მეცნიერების დოქტორმა გიორგი ჭინჭარაულმა, გამოიკვლია რა მრავალრიცხოვანი მეცნიერ-მკვლევარების მოსაზრებები „ეკონომიკსის" შესწავლის საგანთან დაკავშირებით, წარმოაჩინა ამ სახელმძღვანელო წიგნის შესწავლის საგანთან მიმართებით, ხსენებილ მეცნიერ-მკვლევართა უმრავლესობის აზრი; მან გამოიკვლია ის, რომ: ««экономикс» исследует вопросы рационального использования редких или ограниченных производственных ресурсов для произвоства различных товаров и распределения их с целях максимального удовлетворения потребностей челавека" [5.85].

აღნიშნულ წიგნში პროფესორმა გიორგი ჭინჭარაულმა ეკონომიკური მეცნიერული პოზიციიდან დაასაბუთა თავისი დასკვნები იმაზე, რომ „ეკონომიკსი", როგორც ეკონომიკური თეორია, გვერდს უვლის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის, სამ ძირითად მოთხოვნას :

1) ამ თეორიაში არ არის ასახული ზოგადი კანონზომიერების მოთხოვნები, საწარმოო რესურსების წარმოება- განვითარების ორგანიზაციის საქმეში, რომლებიც ქვეყანაში პოლიტიკურ-ეკონომიკურმა სისტემამ უნდა დაიცვას;

2) ეს თეორია, არ ცნობს რა ეკონომიკურ ურთიერთობებს, როგორც საწარმოო პირობების განმსაზღვრელს, იგნორირებულს ხდის იმ ფიზიკურ რეალობას, რომ დედამიწაზე ადამიანი არის ძირითადი საწარმოო ძალა და, რომ, თავად ადამიანი არის უპირველესი რესურსი ჩვენს პლანეტაზე საწარმოო პირობების შემოქმედების საქმეში. პროფესორი წერს: «Вследствые недостаточного изучения экомических отношения осложняется проявление их потенциала, в резултате чего, в практике возрастают трансакционерные затраты, создаются проблеми в сфере регулирования внешних ефектов и в целом нерационально исползуетсия ресурси производст" [5.87].

3) პროფესორი გ. ჭინჭარაულის განმარტებით, საწარმოო ურთიერთობები, როგორც პოლიტიკური ეკონომიკის შესწავლის საგანი, მოიცავს ამ ურთიერთობებში ნივთიერი რესურსების გადანაწილების პროცესს, რომელშიაც მთავარია სამუშაო ძალის (სულიერ-მატერიალური არსი!) გადანაწილება; - სწორედ ეს უკანასკნელი არის ის მთავარი სოციალური მოთხოვნა, რომელიც „ეკონომიკსში“ არის იგნორირებული და, რასაც არ ურიგდება პროფ. გ, ჭინჭარაული; იგი ხაზს უსვამს იმას, რომ სამუშაო ძალის გადანაწილება, რომელიც ყალიბდება ინდივიდებს შორის, ინდივიდებსა და კოლექტივებს შორის და, ა.შ., ხშირად გამოდის, როგორც ამ ძალის გადანაწილების ურთიერთობები; - რომ ეს ურთიერთობები იბადება არა მხოლოდ იმ ცვლილებებიდან გამომდინარე, რომლებიც ხდება წარმოებაში, არამედ, თავად ადამიანის მხრიდან შრომაზე მოთხოვნილების მიხედვით; მეცნიერი წერს: «...в ней (სამუშაო ძალა, ე.თ.) проявляется действия закона перемени труда, выражфющею экономического отношения между обществом, предпрятями и носителями способностей человека к труду и степени удовлетвореня его потребностией в труде» [6,60].

ანუ, ქვეყანაში თუ ქვეყნებს შორის სამუშაო ძალის გადანაწილების საქმის სახელმწიფოებრივ საქმიანობაში იგნორირება, რაც ამ ეკონომიკური თეორიის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი დემოკრატიული რეფორმების სახელწოდებით, ეროვნულ სახელმწიფოებში განხორციელდება და, რაც, თავისთავად, ადამიანების მხრიდან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შენარჩუნების სოციალურ მოთხოვნასა და, მაშასადამე, ერის თვითგანვითარების საარსებო დანიშნულების აღსრულებას უპირისპირდება, არის სახელმწიფოს მხრიდან ამ მთავარი საწარმოო ძალის - ადამიანის (ერი, კაცობრიობა) – თვითგანვითარების ორგანიზაცია-მართვის ფუნქციაზე უარის თქმა, - მისი თვითგანადგურების წინაპირობა; ამგვარი ეკონომიკური თეორია, გვერდს უვლის რა ადგილობრივი საზოგადოებრივობის (მოსახლეობის უმრავლესობა!) სოციალური უფლებების დაცვის ობიექტურ აუცილებლობას, განაპირობებს სოციალური და საზოგადოებრივი მეცნიერების, ზოგადად, მეცნიერების იგნორირებასა და მის უკუგანვითარებას;

ანუ, კაპიტალისტური თეორია უდევს საფუძვლად დღეისათვის ფორმირებად დისბალანსს, ჩვენი ქვეყნის, სხვა ქვეყნებისა თუ, მთლიანად დედამიწის, როგორც, სოციალურ-ეკონომიკური სხეულების, განვითარება-შენარჩუნების საქმიანობაში.

პროფესორი გ. ჭინჭარაულის ზემოხსენებულ წიგნში აღიარებულია ის, რომ „ეკონომიკსი" არის საზოგადოებრივი ურთიერთობების (ეკონომიკური მოვლენა), შემეცნების თეორია ამ ურთიერთობების ფუნქციონირების ასპექტში; ანუ, გამომდინარე ზემონათქვამიდან, ჩვენ შეიძლება დავასკვნათ ის, რომ „ეკონომიკსი", თავისი საარსებო დანიშნულებით, არის კაპიტალისტური საზოგადოებრივი ეკონომიკური თეორიის პრაქტიკულად (ე,ი, ფუნქციონირების ასპექტში), გამოცდის საგანი; მისი მიზანია ამგვარი გამოცდის საფუძველზე სახელმწიფოებრივობის აგების მაცდუნებელი, კაპიტალისტური ნების (ზრახვა) განხორციელება; ეს არის ცრუ, უფრო ზუსტად, სოციალური და საზოგადოებრივი მეცნიერების იგნორირებისა და, ადამიანების ნებაზე ძალადობრივი ზემოქმედების გზით, ე.ი. კაპიტალისტების მიერ ქვეყანაში არჩევნების გაყალბების მიზნით გაღებული ფულის ფასად, მოსახლეობის ეროვნულ-დემოკრატიული უფლებების მიტაცების, - ამ ვერაგი ზრახვის რეალიზების - მცდელობა.

კაპიტალისტური თეორიის სიცრუე გამოიხატება შემდეგში:

ა) სახელმწიფოს ორგანიზაციული საფუძველია სოციალური კანონზომიერების მოთხოვნები, რომლებიც ასტრო-ფიზიკურადაა განსაზღვრული ერის, როგორც სულიერ-მატერიალური, თვითგანვითარებადი სხეული-სუბიექტის, მიმართ; ანუ, მისთვის პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაცია-მართვის, ე.ი. აღრიცხვის, ძირითად ობიექტს წარმოადგენს ეროვნული საზოგადოებრიობა - ოჯახი, გვარი, ტომი, ერი; ეს საზოგადოებრიობა, თავისთავად, თითოეულ ამ დონეზე და, საბოლოო ჯამში, ერში, უმრავლესობის ნების სისხლის სამართლის ანუ მემკვიდრეობითობის წესით დამცველი ადამიანების ერთობებია; მაშასადამე, სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია-მართვის ძირითადი ობიექტი არ შეიძლება იყოს კაპიტალისტური საზოგადოება, რომელიც, თვითშენარჩუნებისათვის, ორიენტირებულია რა, უპირველე-

სად, პიროვნების საკუთარ კერძო მფლობელობაში კაპიტალის დაგროვებაზე, იგნორირებულს ხდის საერო თუ საკაცობრიო ეკონომიკურ ურთიერთობებში ადამიანის სოციალური წარმომავლობის – ზოგადად ადამიანის მხრიდან მემკვიდრეობითობის, ე.ი. ქვეყანაში სისხლის სამართლის დაცვის ანუ ადამიანთაშორის ურთიერთობებში სისხლით ნათესაობისა თუ, რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური ერთიანობის პრიორიტეტულად დაცვის, ხოლო ამ ნიადაგზე, ჩვენი პლანეტის სოციალურ- ეკონომიკური ბალანსირების მოთხოვნებს.

ადამიანი, წარმომავლობით ატარებს სისხლში (გენი) რეგიონული სოციუმისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს; ამასთან, არსებითია ის, რომ ამ თავისებურებებს, უპირველესად. ადგილობრივი წყლისა და ხმელეთის მინარევების თავისებურებები განაპირობებენ. ე,ი, ქვეყანაში ეროვნული სისხლის წარმოების სოციალური ბუნების ან/და, ასე ვთქვათ, სისხლით ნათესაობითა და ქვეყნის საზღვრებით შეკრული ადამიანების ერთობის - ერის შიდასახელმწიფოებრივი თვითშემოქმედებაა უარყოფილი კაპიტალისტურ თეორიაში.

სოციალური ბუნების (კანონზომიერება) უარყოფა, რაზედაც ზემოთ ვსაუბრობთ, თავისი არსით, სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულებაზე უარის თქმაა. აქედან გამომდინარე, კაპიტალისტურ იდეოლოგიაზე სახელმწიფოებრივი სისტემის აგება, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, ცბიერებაა, - გონის უკეთურად გამოყენების მცდელობაა; იგი ორიენტებულია იმაზე, რომ ერმა, ერებმა დაკარგონ ტრადიციული ეროვნული თვითგანვითარებისუნარიანობა და, ამ ნიადაგზე, მოიშალოს ქვეყანა, როგორც დედამიწის სოციალურ-ეკონომიკური ერთეული; გაუქმდეს მიკრო-სამყარო, რომელიც ერის ისტორიული სამკვიდროა და, რომელიც, თავისი ბუნებით, სწორედ, ერის თვითგანვითარებისათვის არის ასტრო-ფიზიკურად განსაზღვრული; ამგვარი, ზოგადსაკაცობრიო ბოროტების განზრხვის „ახლო“ მიზანი კი, რომელიც, მეტადრე, მონოპოლისტური ჟინის სახით, მძლავრობს მოსახლეობის მცირე ნაწილის წარმომადგენების ფსიქიკაში, არის თანამედროვე მსოფლიო კაპიტალისტურ- საზო-

გადოებრიობრივი ურთიერთობების არსებობა-ფუნქციონირების შენარჩუნება, რასაც, ამ განაზრახის მიხედვით, უნდა მოჰყვეს ეროვნული ბუნებრივი სიმდიდრის (ასტრო-ფიზიკური განსაზღვრულობის!) კაპიტალისტურ-მონოპოლისტურ საკუთრებაში მოქცევა; ეს, „ახლო" მიზანი, თავისთავად, კაცის (მამაკაცი, დედაკაცი) ადამიანურობის (სიყვარული, მემკვიდრეობითობა, მორალი ანუ კეთილგონიერება, იგივე, ასტო-ფიზიკური სამყაროს თვითშემოქმედებაში თანამონაწილეობა!), სიმაღლიდან დაცემაა. ეს უკანასკნელი დედამიწაზე მოაქვს ადამიანის აზროვნების კაპიტალისტური განვითარების, ე.ი. ოჯახური ბედნიერების სანაცვლოდ, პირადისა თუ შთამომავლების აზროვნების ნივთიერ სიმდიდრეზე ორიენტირებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის არჩევანს, - მოაქვს უფლის (რწმენის, მორალისა და სამყაროს შემოქმედი) ძალის ფულის ძალაში გაცვლის არჩევანს. ეს კი, თავისთავად, კაცის სულირი სიმდაბლის გამომხატველი ქმედებაა, მისი თვითგანადგურების წინაპირობაა.

ირკვევა ის, რომ კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური თეორია (ხსენებული ორიენტირება) არის, არც მეტი, არც ნაკლები, მიზანმიმართული, სოციალური კანონზომიერებით-"ლაზარე" გაპირობებული გამოცდა ადამიანებთან მიმართებაში. იგი, ამ ახალი 2,0 ათასწლეულის დასაწყისში ემსახურება ადამიანის საზოგადოებრივი თვითშეგნების განვითარების თვალსაზრისით, მოცემულ ქვეყანაში მიღწეული დონის წარმოჩინება-შეფაების საქმეს. ანუ, ამ გამოცდამ ადამიანის (ერი, კაცობრიობა) მიმართ, ახალი 2,0 ათასწლეულის დამდეგს უნდა ფიზიკურ ქმედებებში გამოავლინოს ქვეყანაში ადამიანების სულიერი ძალა; გამოავლინონ ადამიანებმა ურთიერთთან მიმართებების საზოგადოებრივ წესებზე დაყრდნობით, სულიერი სიმტკიცე რწმუნებულ რელიგიურ აღმსარებლობასთან, - გამოავლინონ გონივრული დამოკიდებულებები ეროვნულ ტრადიციებსა და ეროვნულ ცნობიერებასთან, ოჯახურ სიყვარულთან, მიმართებაში; - გამოაშკარავდეს ადამიანის სულიერი სიჯანსაღე, - მისი საზოგადოებრივი თვითშეგნების რეალური დონე.

ბ) „ეკონომიკსი", როგორც თეორია, უარჰყოფს იმ სოცი-

ალურ რეალობას (კანონზომიერი მოთხოვნა), რომ ადამიანის (ერი კაცობრიობა) ქმედებას მისივე აზროვნება (იდეა, იდეოლოგია) უსწრებს. ეს ბუნებრივი რეალობა, ცხადია არ გამორიცხავს იმ აზრს, რომ პრაქტიკული საქმიანობა ქმნის საფუძველს თეორიული კვლევის განვითარებისათვის. მაგრამ, რაც არსებითია, ქმედება, ე. ი. ადამიანური (იგივე, საზოგადოებრივი), საქმიანობა პროცესია, რომელიც გულისხმობს ყოველ კონკრეტულ მომენტში, კონკრეტული ადამიანის ან/და კონკრეტული საზოგადოების (ფიზიკური სხეული), მოძრაობას, - მის არსებობას კონკრეტული, ერთიანი დროისა და სივრცის პირობებში. ანუ, კონკრეტული სუბიექტის საქმიანობა უშუალოდ არ მოიცავს და, შესაბამისად, იგნორირებულს ხდის სხვა, მსგავსი სუბიექტებისათვის ამგვარივე საქმიანობათა შესრულებისათვის ასეთივე ერთიანი პირობების დაცვას; - იგი (პროცესი) არ მოიცავს, ვთქვათ, ერის, ერების, კაცობრიობის - ამ სოციალური ერთეულების , ან კიდევ, - ასტროფიზიკურ სივრცეში დედამიწის თვითმყოფადობის მუდმივად შენარჩუნების უზრუნველყოფის საერთო- ეროვნულ თუ, საერთო-საკაცობრიო პირობებს.

ასე, რომ ბუნების იმ ზოგადი და უზოგადესი [7, 84], (მაგ. :დროისა და სივრცის ერთიანობის, სხეულის ვარდნის, მიზიდულება-განზიდულების და სხ.) კანონების საზოგადოებრივი ურთიერთობების პოლიტიკურ-ეკონომიკურ თეორიაში იგნორირება და, ამგვარი თეორიის სწავლება ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, არსობრივად. ქვეყანაში ადაიანის მიერ ადამიანის განადგურების მიმართულების არჩევანია.

ბ) ცრუ - საზოგადოებრივი ანუ კაპიტალისტურ-საზოგადოებრივი იდეოლოგიით „გამართლებული" ცდუნებაა - ერის მოტყუებაა ის რეალობა, რომ მშობლიური, ოჯახური სიყვარულის - პატრიოტული სულისკვეთების ანუ კეთილგონივრულად მოაზროვნე ადამიანების ქვეყანაში, კაპიტალისტური იდეოლოგია საზოგადოებრივი იდეოლოგიის სახელითაა დაკანონებული.

ასტრო-ფიზიკური განსაზღვრულობით, მატერიალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ნიადაგზე მოეთხოვა ადამიანს (ერი, კაცობრიობა) გასული 2,0 ათასწლეულის მან-

ძილზე (ვადაში) თვითშემეცნება. ანუ ამ, გასულ, პერიოდში მან თავისი გარემომცველიდან, მხოლოდ მატერიალური (ნივთიერი) გარემო-სივრცის შემეცნება-ათვისება განახორციელა; მაგრამ, რაც რეალობაა, მისი გარემომცველია, ასევე, არამატერიალური, უხილავი სულიერი სასიცოცხლო ენერგია, განთავსებული მის გარშემო „ცარიელ" სივრცეში, - „ციური" თუ ადამიანური წარმომავლობის გონიერება ანუ სიკეთე და საამურობა, როგორც მოცემულობა; ეს უკანასკნელი, რომელიც, ასევე და, მეტადრეც, სასიცოცხლო დანიშნულების ფასეულობაა არა მხოლოდ ამ კონკრეტული ერისათვის და, რომელიც, შესაბამისად, არის პოლიტიკურ-ეკონომიკური დაცვის ობიექტი მთლიანად დედამიწაზე სოციალური გარემოს შენარჩუნების თვალსაზრისით, აღმოჩნდა, რომ იგივე კანონზომიერი განსაზღვრულობით არის დაცვის ობიექტი უკვე დამდეგი, ახალი 2,0 ათასწლეილის ადამიანისათვის (ერი, კაცობრიობა); ამასთან, ახალი დროის ამ სოციალური მოთხოვნის აღსრულება, კერძოდ, არამატერიალისტური ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიის შემუშავება მოითხოვება, პირველ რიგში, ქართული სახელმწიფოსაგან; ეს უკანასკნელი მოთხოვნა, რომელსაც დედამიწაზე, კავკასიის წყალგამყოფზე საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს, თავის მხრივ, გულისხმობს მოცემული 2,0 ათასწლეულების გასაყარზე საქართველო- სახელმწიფოს არსებობას, და, ამასთან, - ქართველი ერის თვითგანვითარებისუნარიანობის ფიზიკური ფორმით დადასტურებას (იურიდიული დასაბუთება); ანუ, ამგვარი უნარის გამოვლინება, რაც ქართული სახელმწიფოებრივობის ახალი ეტაპობრივი პერიოდით გახანგრძლივების გარდაუვალი პირობაა, ცხადია, შეუთავსებელია კაპიტალისტურ პოლიტიკასთან, რომელიც ეროვნული პოლიტიკურ-ეკონომიკური მეცნიერული აზროვნების იგნორირებაზე ხელისუფლების ნებართვითა და ხელისშეწყობით არის თავსმოხვეული ქვეყნის მოსახლეობაზე; - თავსმოხვეულია შეპარვით, სახელმწიფოებრიობის მოშლის მიზანი ცრუ სახელწოდებით - „სახელმწიფოებრივი რეფორმა". ეს პოლიტიკა, სართაშორისოდ წოდებული, კაპიტალისტური საზოგადოებრივი ორგანიზაციული

წარმონაქმნების მიერ არის ქვეყანაში ინიცირებული იმისათვის, რომ ამ ქვეყანაში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მოსყიდვა-გამოყენებისა (დასაქმება) გზით და ფარული ანუ სიყალბის, სიცრუისა თუ სხვა ეშმაკობებზე, ამასთან, შერჩევით სამართლიანობაზე დაყრდნობით, ქვეყანაში შენარჩუნებულიქნას კაპიტალისტური სისტემა - უარი ეთქვას სახელმწიფოს ეროვნულობას.

ზემოხსენებული მიზანი, როგორც რეალურად არსებული მიზეზი - ფაქტი, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თავისი ხალხისათვის, თუნდაც მხოლოდ, 2014 წლის 16 ნოემბერს მოწვეული, საგანგებო, სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილებების - პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შეცვლის შესახებ - დამალვისა (მასმედაში არგაშვება), ააშკარავებს ამ ხელისუფლების მიერ არჩეული პოლიტიკური კურსის სიცრუეს; ამგვარი მიზეზის არსებობა, თავისთავად ამხელს კაპიტალისტური პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის ანტი-ადამიანურ, ანტი-ეროვნულ ხასიათს; პარალელურად ამასთან, იგი ააშკარავებს მოქმედი სახელმწიფებრივი ხელისუფლების არაკომპეტენტურობას ან/და - არაგულწრფელობას მშობლიურ ერთან მიმართებაში.

ქვეყანაში ეროვნული უფლებების დაცვის პრინციპის, ე.ი. სისხლით „დათესილი“ მარადიული სიყვარულის უნარის, განმტკიცების სოციალური ბუნების (კანონზომიერება-„ლაზარე“), ათვისება და ამ ნიადაგზე, დამდეგი 2,0 ათასწლეულის ქართველი ერის თაობებში ადამიანის აზროვნების ორიენტირება ევოლუციური განვითარების მიმართულებით, დაწყებული საკუთარი ოჯახიდან, მთელს ეოვნულ საზოგადოებრიობაში, არის ამ ქვეყნის ყოველი მაცხოვრებლისა და, უპირველესად, სახელმწიფო ხელისუფლიბაში მოსული ადამიანების მოქალაქეობრივი ანუ დემოკრატიული მოვალეობა. რამე თუ, ადამიანის ეროვნულ-დემოკრატიული უფლებების სახელმწიფოებრივად დაცვა არის, თავად სახელმწიფოს თვითშენარჩუნების გარდაუვალი პირობა; მაგრამ, ამ და ამგვარი სხვა სოციალური მოთხოვნების შესახებ ახალ ინფორმაციულ წყაროსთან ქვეყნის კონკრეტოლი პოლი-

ტიკური სუბიექტის მხრიდან ზიარებისა, ხოლო ამჯერად, უკვე სრულიად საქართველოს ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილების არსებობის მიუხედავად, სამწუხაროდ, საქართველო-სახელმწიფოში, ბოლო სამი საარჩევნო პერიოდის ხელისუფლები, ერთად შეკრულად, უჭერენ რა მხარს კაპიტალისტურ იდეოლოგიას, გაურბიან ხსენებულ პასუხისმგებლობასაც და, ამასთან, თავისთავზე აღებულ, თანამდებობრივ მოვალეობასაც; ისინი ქვეყანაში ეროვნულ-დემოკრატიული უფლებების დაცვის სანაცვლოდ, არჩევანს აკეთებენ, (ე.ი. საკუთარი და მომავალი თაობების აზროვნებას წარმართავენ) დროებითი ფასეულობის (კერძო კაპიტალისტური სიმდიდრე) ზრდაზე ან/და, ასე ვთქვათ, - წარმართავენ პოლიტიკას ადამიანის ეროვნული უფლებების დათმობის ფასად, მსოფლიო კაპიტალისტურ კონკურენციაში ჩვენი ერთი-ორი მოქალაქისათვის მონაწილეობის უფლების მოძიებისაკენ; ცხადია, ხელისუფლებამ ამგვარი დათმობის ფორმით დააფიქსირა მხოლოდ თავისი (არა ეროვნული!) არჩევანი იმაზე, რომ საქართველოში სახელმწიფოებრიობა ახალ 2,0 ათასწლეულში აღარ გახანგრძლივდება ანუ ერის თვითშემეცნება-თვითგანვითარება ქვეყანაში დასრულდა; მაგრამ ეს სიცრუეა, - ასეთი არჩევანი ეროვნული სულაც არ არის [8,51].

გ) შექმნილი მიწიერი მატერიალური და სოციალური შედეგების მოქცევა კერძო მესაკუთრე კაპიტალისტების მფლობელობაში ქვეყნის მოსახლეობის სოციალური უფლებების „ერთი მუჭა“ მსოფლიო მონოპოლისტებისა და კერძო მესაკუთრე კაპიტალისტების ნება-სურვილზე დაქვემდებარებას ნიშნავს; ეს, რაც მთავარია, მოსახლეობის უმრავლესობაში აზროვნების თავისულების არდაცვაა, - აზროვნების კეთილგონივრული განვითარების სახელმწიფოებრივი ფუნქცია-დანიშნულების იგნორირებაა, - ამ უმრავლესობის მოტყუებაა [8, 86-108].

დ) ასტრო-ფიზიკური განსაზღვრულობით, დედამიწაზე კონკრეტული ერის თვითშემოქმედებისათვის შექმნილი მიკროსამყარო (ხმელეთი, წყალი, სოციუმი) არის ქვეყანა, რომელიც კონკრეტული ტერიტორიული სივრცის ფიზიკურ-გეოგრაფიულ შემოსაზღვრულობას გულისხმობს და, წარმოადგენს ბუნებრი-

ვი საწარმოო რესურსების ერთიანობას, მხოლოდ ამ ერთი, ერის - ამ ქვეყნის შემოქმედის - საერთო- ეროვნული კუთვნილებაა; ანუ, ერი, რომელიც, კანონზომიერება-„ლაზარეს" შემეცნება-გაცნობიერების ნიადაგზე აითვისებს და უპატრონებს ქვეყანას, ეროვნული სისხლის მემკვიდრეობითობის დაცვის თანმიმდევრულობითა და განუწყვეტლივად, 2,0 ათასწლიანი გახანგრძლივების გზით, არის თვითგანვითარებისუნარიანი; შესაბამისად, მას ამ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურად ბალანსირებული განვითარების უწყვეტობა მოეთხოვება; ქვეყანა, როგორც ეროვნული განკარგვის ტერიტორიული სივრცე, კონკრეტული ერისათვის არის განსაზღვრული საარსებოდ; განსაზღვრულია იგი კონკრეტული ერის სოციალური მისიის აღსრულების, - 2,0 ათასწლიანი პერიოდულობით გახანგრძლივების პირობით; კაპიტალისტური იდეოლოგია ჰქმნის ამ პირობის არშესრულების - ერის თვითგანადგურების პირობებს.

ირკვევა ის, რომ კაპიტალისტური საზოგადოებრივი პოლიტიკურ-ეკონომიკური თეორიის - „ეკონომიკსი", მისი შემკვეთებისა და ავტორების მეშვეობით, იდუმალ მიზანს ასრულებს; -განახორციელებს სოციალური კანონზომიერების-„ლაზარე" იმ კონკრეტულ მოთხოვნას, რომელსაც შორსგამიზნული, ადამიანისათვის არგამხელილი, კეთილგონივრული, - ადამიანის სულში კრიტიკული აზროვნების განვითარების მიზანი აქვს. კაპიტალისტური საზოგადოებრივი თეორია, რომელიც ადამიანის ორგანიზმში აზროვნების კონცენტრაციის ცენტრად ანუ ტვინის ამ ფუნქციის განვითარების საფუძვლად, ამ ახალ დროშიაც, მატერიალისტური (კაპიტალისტური) ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების მიმართულებას ირჩევს, ცხადია, ნებით თუ უნებლიედ, მალავს (ცრუობს, არ ამჟღავნებს) ამ ურთიერთობებში არამიწიერი თუ მიწიერი სოციალური მოთხოვნებისა და ეროვნულ-დემოკრატიული მოთხოვნილებების ამ თეორიაში იგნორირების ფაქტს.

აღნიშნული სოციალურ-ეკონომიკური გარემოება (ფაქტი), რაც ადამიანების კრიტიკული აზროვნების აუცილებლობას ჰქმნის, ააშკარავებს „ეკონომიკსისა" და, ზოგადად, კაპიტალისტური თეორიების ზემოხსენებულ, იდუმალ, (უფრო სწორად, კანონზო-

მიერებით-„ლაზარე"გაპირობებულ), კეთილგონივრულ სოციალურ დანიშნულებას. დედამიწაზე ამ იდუმალების არცოდნის პირობებში, ავტორები ამ თეორიას შეიმუშავებენ ქვეყანაში დამკვიდრებული საზოგადოებრივი ურთიერთობების პრაქტიკიდან გამომდინარე და, პარალელურად, - უშუალოდ მათს ფსიქიკაში „ზეციური გონით" ანუ არამიწიერი უარყოფითი სულიერი ძალის - ეშმაკური ანუ არაკეთილი რწმენის ძალის - „კარნახის" (დაუფლება), საფუძველზე; ამგვარი მტკიცე რწმენის ძალა, როგორც დადებითი ასევე, უარყოფითიც, მსოფლიო ბანკის გამოკვლევებით [9, 44], ობიექტურად, ე.ი. თავად სოციალური კნონზომიერებით, არის მთელს მოსახლეობაში თანაბარი რაოდენობის შემადგენლობის უმცირესობის (10–12 პროცენტის) ხვედრი; ამგვარი სოციალური ბუნება ჰქმნის ქვეყანაში ეროვნული სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მედია-საშუალებებზე საერთო ეროვნული საკუთრების დაკანონება-დაცვის აუცილებლობას (ფუნქციას); რამე თუ, სოციალურად აუცილებელი, დადებითი თანაფარდობა, ე.ი. მოსახლეობაში სულიერ ძალებს შორს დადებითი ბალანსის უზრუნველყოფა გულისხმობს, სწორედ, მოსახლეობის დიდი უმრავლესობის (88-90 პროცენტი - მედია-დამოკიდებული მოსახლეობა) ინფორმირებულობის, ე.ი. აზროვნების, უფლების სახელმწიფოებრივად დაცვას, - ინფორმაციის საშუალებების,( - ზოგადად, წარმოების საშუალებების) - საერთო ეროვნული დანიშნულებით, (არა მხოლოდ კაპიტალისტური), მომსახურების სახელმწიფოებრივად ორგანიზებას.

პიროვნების სულში ეშმაკური რწმენის ძალა ვლინდება მის ფიზიკურ ქმედებებში, - შურის ,ეგოიზმის, პატივმოყვარეობის, ამპარტავნობის თვისებებად; ადამიანის სულიერ ენერგიაში და, ასევე, ზოგადად, ერის, კაცობრიობის სოციალურ ენერგიაში, კანონზომიერება-„ლაზარედან" გამომდინარე ახალი ინფორმაციის მიხედვით, და ასევე, დღევანდელი რეალური მდგომარეობითაც, უარყოფითი ძალის ხვ. წილი, (რაც, თავისთავად, ჩვენი ერის ფუნქციონირება - ლეგიტიმურობაშია გამოხატული), 0,5 -ზე ნაკლებია; ამავე ინფორმაციით, ეს კოეფიციენტი დამდეგი 2.0 ათასწლეულის ბოლოსთვის, 0,6- მდე რომ უნდა ამაღლდეს, სწორედ ამით,

უკვე არის მინიშნებული ახალი სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ძირთად მიზანზე; - იმაზე რომ მთელს მოსახლეობაში დადებითი ენერგიის ძალის მატარებელთა ხვ. წილის ამაღლება 50-დან 60 პროცენტამდე, ე.ი. სახელმწიფოში (ქვეყანაში) დემოკრატიულობის ხარისხის 10-12 (0.6 . 100 : 0,5) პროცენტამდე აყვანა არის მთავარი სოციალური მოთხოვნა დედამიწასთან (ადამიანი) მიმართებაში, - რომ ამ მოთხოვნის აღსრულება განსაზღვრავს ქრისტიანული წელთააღრიცხვის 2,0 ათასწლების გასაყარზე ადამიანის (ერის, კაცობრიობის) თვითშენარჩუნების საკითხს [2].

მოკლედ, ზოდიაქოს ნიშნის 12 თანავარსკვლავედის სისტემებში თანმიმდევრულბით, ჩვენი პლანეტის „მოგზაურობის“ 14 ათასწლიანი ხანგრძლივობა, კანონზომიერება- „ლაზარეს“ სოციალური მოთხოვნებიდან გამომდინარე, გულისხმობს დამდეგსა (მერწყული) და მომდევნო (თხის რქა) ასტრო-ფიზიკურ გარემოცვაში ადამიანური გონის განვითარების 7 ეტაპობრივი საფეხურის (14 : 2 = 7) გავლას. ხოლო, განვითარების ამ გზაზე, დღევანდელ ანუ მერწყულის ერას კაცობრიობას განსაზღვრული აქვს მე-6 ეტაპობრივი საფეხურის მიღწევა; ეს- მაშინ, როცა, იგივე, კანონზომიერება-„ლაზარეს“ ინფორმაციით (მოთხოვნები), და, ასევე, რეალურადაც, ეს განსაზღვრულობა თანამედროვე კაცობრიობასთან მიმართებაში, გამოხატულია ამ მაჩვენებლის ისეთი ნიშნულით (მე-5 დონე), რომლითაც ქვეყნის მოსახლეობაში კეთილგონივრულად მოაზროვნეთა ზღვრული ხვედრი წილი, სულ ცოტა, 50 % + 1 კაცის რაოდენობითაა განსაზღვრული.

როგორც ირკვევა, კანონზომიერება- „ლაზარეში“, ზემოთ წარმოჩინებული ასტრო- ფიზიკური სოციალური მოთხოვნები, არსობრივად, არის ახალი სამეცნიერო-საინფორმაციო წყაროდან (ახალი სიტყვა), აღებული, ინფორმაციული ბაზა, ზოგადად, საბუნებისმეტყველო და, უპირველესად, საზოგადოებრივი მეცნიერების დამდეგ 2,0 ათასწლეულში განვითარების თვალსაზრისით. ეს მოთხოვნები, რომლებიც საფუძვლად უდევს ქვეყანაში ეროვნულ-დემოკრატიული პოლიტიკურ-ეკონომიკური კურსის არჩევანის შესახებ, ზემოხსენებული ეროვნული ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მოიცავს უახლოეს ხანებში ამ

ყრილობის პრეზიდიუმის მიერ, საგანგებო ხალხმრავალი აქციის დედაქალაქის „მოედანზე“ ორგანიზებას [9 ] . ამ საზოგადოებრივ ღონისძიებას, რომელსაც, ცხადია, აქვს ქართული ეროვნული პოლიტიკური ნების მსოფლიო საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში ლეგალიზების მიზანი, არის კანონზომიერება-„ლაზარეს“ კონკრეტული სოციალური მოთხოვნა, რომელსაც ადამიანის (ერი, კაცობრიობა) საარსებო მისია განსაზღვრავს: ხსენებული ლეგალიზება ასტრო-ფიზიკური პროცესია; ამომრჩეველმა ამ აქციაზე გამოსვლით, რომ უნდა გამოავლინოს გულწრფელობა ეროვნულ საზოგადოებრიობასთან, მშობელ ერთან მიმართებაში, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების პრიორიტეტულად დაცვაზე თანხმობასთან დაკავშირებით, მან ეს (გულწრფელობა, სიმართლე), სწორედ, ამ აქციაზე თავისი გამოცხადებით უნდა გამოხატოს; ანუ, ამ აქციაზე მოსულმა ამომრჩეველმა უნდა გამოავლინოს თავისი 1) სიტყვის (შეთანხმება პოლიტიკური კურსის არჩევანის შესახებ), 2) საქმისა (ხელმოწერა სიაში - „გადარჩენისათვის“) და, 3) ქმედების ( აქციაზე მოსვლა) ერთიანობა; მან უნდა დააფიქსიროს ამგვარი ერთიანობა, როგორც ამოსავალი (სისხლის სამართლებრივი დანიშნულების მქონე სოციალურ-ეკონომიკური) პრინციპი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საქმიანობაში.

აღნიშნული, ასტრო-ფიზიკური სოციალური მოთხოვნის აღსრულების ფიზიკური პროცესი, კანონზომიერება-„ლაზარეს“ მიხედვით, ასეთია: ქართულ „მოედანზე“ ზემოხსენებული პრინციპით შემდგარი ერთსულოვნება ეროვნული სოციალური ენერგიის დადებითი ძალაა; ეს სულიერი ძალა საქართველოს მიმდებარე „ცარიელი“ სივრციდან მის მიმდებარე ატმოსფეროში, მერწყულისეული ენერგიის ძალებთან რეაქციაში, სწორედ, სოციალური ენერგიის ქმნადობის კანონზომიერების (დადებითი ძალა ერთიანდება დადებითთან, უარყოფითი - უარყოფითთან) შესაბამისად, ქართული ენის-ლაზარე ბგერების მეშვეობით, მყისიერად, სინათლის სიჩქარით, დედამიწის გარემომცველი თანავარსკლავედის - მერწყულის სივრცეში ფიქსირდება. ანუ, ამ ასტრო-ფიზიკური პროცესის შედეგად მერწყულის თანავარსკვლავედიდან

დედამიწისაგან მომართული სულიერი ძალა (ე.ი. – არა მსოფლიო საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა) განსაზღვრავს დედამიწაზე ერის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის არჩევანის ლეგალიზების საკითხს საერთაშორისო ურთიერთობებში; ე.ი. დღეს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლება, როგორც ამას დემოკრატიული პრინციპი ითხოვს, ხელს უნდა უწყობდეს ზემოხსენებული ეროვნული ყრილობის პრეზიდიუმს, თუნდაც, მოსახლეობის სათანადო ინფორმაციით უზრუნველყოფაში; რამე თუ უზენაესი - ასტრო-ფიზიკური სოციალური განსაზღვრულობა ადამიანებმა უნდა აღვასრულოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯორჯაძე აკაკი, მოვლენისა და საკუთარი თავის შესამეცნებლად, გაზ. „მეტი სინათლე“, N 49, 1999.

2. თაკალანძე ე., მ. თაქთქიშვილი, გონისა და, ზოგადად, არსის განვითარების ობიექტური კანონზომიერება - სახელმწიფოში ეროვნული ეკონომიკური რეფორმის საფუძველი, ჟ. „ეკონომიკა“, 2004, N 7-8, გვ. 37-57.

3. სამუელსონი პ., „ეკონომიკსი“ (სახელმძღვანელო), თბილისი, „ეკონომიკა და სამართალი“, 1992

4. Менькю Грегори Н., Принципы экономикс, 2-е издание «Питер». 2007.

5. Чинчараули Г., методические проблемы исследования экономических явлении, Тб., 2008.

6. Чинчараули Г.Б., Политекономический аспект иследования воспроизвдодства рабочей силы, Тб., МГУ. 1984.

7. ჭინჭარაული გ., სოციალურ-ეკონომიკური ლექსიკონი, თბილისი, 2014.

8. ჭინჭარაული გ., ეროვნული პრობლემები, თბილისი, 2013.

9. თაკალანძე ე., ეკოლოგიური პრობლემა საზოგადოებრივ წარმოებით ურთიერთობებში, ოჯახის და ერის როლის იგნორირების შედეგი; ჟურნალი „მაკრო-მიკრო ეკონომიკა“, N 9, 2001.

10. ჯორჯაძე აკაკი, მარტივად და უბრალოდ, გაზ. „ძველი - ახალი სიტყვა“ N19 (173) 2015 .

**References**

1.Jorjadze Akaki, For the learning themselves and event, Journal "More Light", #49, 1999. (In Georgian Language) ;

2. Takalandze E., M. Taktakishvili, the objective pattern of the development of human intelligence and the essence - the basis for national economic reform in the country, journal "Economics", 2004, #7-8, pages 37-57. (In Georgian Language);

3. Samuelson P., "Economics" (text-book), Tbilisi, "Economics and Law", 1992.;

4. Gregory Mankiw N., Principles of Economics, 2nd edition "Peter" 2007; (In Russian Language);

5. Tchintcharauli G., Methodological problems in the study of economic phenomena, Tbilisi 2008. (In Russian Language);

6. Tchintcharauli G., Political-economical aspect of the research of the workforce reproduction, Tbilisi, MSU, 1984. (In Russian Language);

7. Tchintcharauli G., Socio-Economic dictionary, Tbilisi 2014. (In Georgian Language) ;

8. Tchintcharauli G., National problems, Tbilisi, 2013. (In Georgian Language) ;

9.Takalandze E., Ecological problems in the social and production relations ; the result of ignoring the role of the family and the nation; journal "Macro-Micro Economics", #9, 2001. (In Georgian Language) ;

10. Jorjadze Akaki, Easily and simply, journal "Old-New Word" N19 (173), 2015. (In Georgian Language) .

# THE SOCIO-ECONOMIC WAY OF HUMAN INTELLIGENCE EVOLUTION

**Eter Takalandze**
PHD Doctor

**Resume**

The astra-physical social requirements of continuous enhancement of the level of public consciousness on earth, are grounded on the author's research (which are consistently published in the journal "Economics", 2000-2012, and are consistent with the Christian-Orthodox religious consciousness, moral principles) of the function of gradual development patterns of intelligence and the general sense of the essence in Astra-physical space (pattern "Lazarus").

In the previous article, the Christian millennium AD2 is considered as the human lifetime, during the fulfillment term of social requirements of men (nation-humanity). There is explained the need to upgrade the socio-economic formation, it's obtained to advance the thinking direction, this means public consciousness, - the need to improve the way to upgrade the quality of democratization in society, firstly in Georgia; it's presented the need of change of the material (capitalistic) socio-economic formation into non-material one.

Furthermore, there are explained the determinants of Georgia's national-human mission, because of it's geographical and physical location (homeland of language "Lazarus") in the Caucasus (Watershed mountainous).

**Key words:** Mind ; The Consciousness level of Public, human (nation, humanity); Socio-economic formation; 2nd millennium AD; Human (nation, humanity); The earth.

# რისკების მართვა კომერციულ ბანკებში

**დავით პიტიურიშვილი**
სტუ დოქტორანტი

**რეზიუმე**

თანამედროვე ეპოქაში საბანკო ოპერაციების ზრდამ პირდაპირ პროპორციულად მოახდინა მასთან დაკავშირებული კომპლექსური რისკების მატება. აღნიშნული მდომარეობიდან გამომდინარე კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თემა ერთ - ერთ აქტუალრ საკითხად გადაიქცა.

სტატიაში განხილულია საქართველოში არსებული კომერციული ბანკების მიერ რისკების მარვთის პოლიტიკა. იგი იძლევა შემდეგ კითხვებზე პასუხებს: რას წარმოადგენს საბანკო რისკები და როგორია მათი კლასიფიკაცია? რა არის საბანკო რისკების ფუნქციონირების ძრითადი მექანიზმები? როგორია კომერციული ბანკების მიერ რისკების მართვის მეთოდოლოგია? რა მდგომარეობაა დღესდღეობით საქართველოს კომერციულ ბანკებში რისკების მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებით?

სტაატიის მიზანია შეისწავლოს საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებში რისკის მართვის კატეგორიები და ჩამოაყალიბოს რამდენიმე რეკომენდაცია ამ საკითხთან დაკავშირებით.

კომერციული ბანკების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ისინი არ ასაჯაროებენ რისკის მართვის კატეგორიების საკუთარ სტრუქტურას.

__საკვანძო სიტყვები:__ საკრედიტო რისკები, საოპერაციო რისკები, საბანკო რისკები.

**შესავალი**

საბანკო რისკების მართვის ძირითადი არსია, ბანკების მუშაობის მართვის უზრუნველყოფა მისაღები ლიმიტის ფარგლებში. მათი გაერთიანება შესაძლებელია შემდეგ სამ კატეგორიაში: საკრედიტო რისკები, საბაზრო რისკები და ოპერაციული რისკები. **საკრედიტო რისკი** გულისხმობს გაცემული კრედიტების დაუბრუნებლობის რისკს. მას განეკუთვნება „ასევე ბანკის კლიენტებისა და კონტრაგენტების მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად გამოწვეული დანაკარგების რისკები“. **საბაზრო რისკებს** განეკუთვნება საბაზრო პროდუქტების ფასის ცვლილებით და/ან მერყეობით გამოწვეული რისკები; **საოპერაციო რისკებს** განეკუთვენება იმ დანაკარგების ალბათობა, რომლებიც არაადეკვატური (როგორც შიდა, ასევე - გარე) მოვლენების შედეგად წარმოიქმნება.

კომერციული ბანკი რისკების მართვას ახორციელებს ეტაპობრივად, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული განრიგის მიხედვით. ამიტომ ბანკი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაატაროს ღონისძიებები რისკების მართვის მომზადებასთან დაკავშრებით და ამავდროულად დაადგინოს ბანკის შიდა მდგომარეობა, რომლის შედეგებიც უნდა იქნეს გამოყენებული ბანკის რისკების მართვის სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად.

**საბანკო რისკების კლასიფიკაცია და ზოგადი დახასიათება.** თანამედროვე ეპოქაში საბანკო ოპერაციების ზრდამ პირდაპირ პროპორციულად მოახდინა მასთან დაკავშირებული კომპლექსური რისკების მატება. ამ უკანასკნელმა კი განაპირობა გამართული კორპორაციული მართვის აუცილებლობა, რისთვისაც დაინერგა რისკების კონტროლის სისტემა. აღნიშნულმა პოლიტიკამ, შესაძლებლობა მისცა ბანკის მენეჯმენტს დროულად მოეხდინათ შესაძლო დანაკარგბის აღმოჩენა, შეესწავლათ ბანკის კაპიტალზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორები, მიეღოთ ინფორმაცია მომავალში ბანკის ზარალის შესახებ, შეეფასებინათ ბიზნესსაქმიანობისათვის დამახასიათებელი

რისკები და სხვ.[1]

კომერციული ბანკების მიერ რისკზე წასვლა ,თავისთავად ცხადია, არ უნდა გავიგოთ როგორც ნეგატიური შედეგი, რადგან იგი შესაძლებელია დამატებითი კაპიტალის მოტანასთან იყოს დაკავშირებული. ამიტომ თითოეულმა ბანკმა უნდა შექმნას რისკების მართვის სტრუქტურა, რათა დროულად იქნეს შესწავლილი ბანკის მოგებასა და კაპიტალზე ნეგატიურად მოქმედი ფაქტორები.[2]

რისკების მართვის ძირითადი არსია, ბანკების მუშაობის მართვის უზრუნველყოფა მისაღები ლიმიტის ფარგლებში. ბანკებმა, რომ განახორციელონ რისკების მართვის პროცესი, მნიშვნელოვანია თავდაპირველად მოხდეს ყველა იმ რისკის ზუსტად განსაზღვრა - აღიარება, რომელმაც კი შეიძლება თავი იჩინოს რაიმე ახალი საქმის განხორციელებისას. ამის შემდეგ ბანკმა უნდა მოახდინოს მათი შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი.[3]

„საბანკო რისკი არის მომავალში ფულად ნაკადებთან დაკავშირებული გაურკვევლობა, დანაკარგებისა და დაუგეგმავი ხარჯების გაწევის, ასევე დაგეგმილი შემოსავლების ვერმიღების ალბათობა, საბანკო ოპერაციების განხორციელებისას.“[4] საბანკო რისკების კლასიფიკაცია ხდება შემდეგი სახით: წარმოშობის წყაროების და დროის მიხედვით, საქმიანობის მიმართულების და სფეროს მიხედვით, ხარისხის და გაანგარიშების მეთოდის მიხედვით, ბანკის ტიპის და ოპერაციის აღრიცხვის მიხედვით და რეგულირების შესაძლებლობის მიხედვით. აღ-

1 დებულება კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე", საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება N71, 2008 წ. 17 მარტი, მუხლი 1.1, 1.4, www.nbg.gov.ge.

2 დებულება კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე", საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება N71, 2008 წ. 17 მარტი, მუხლი 1.1, 1.4, www.nbg.gov.ge.

3 დებულება კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე", საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება N71, 2008 წ. 17 მარტი, მუხლი 1.6, 1.7, www.nbg.gov.ge

4 კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ. 2014., გვ.486.

ნიშნული კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა, მკაფიოდ იქნეს განსაზღვრული საერთო სისტემაში თითოეული რისკის ადგილი და ეფექტიანად მოხდეს რისკების მართვის შესაბამისი მეთოდის გამოყენება. [1]

როგორც ზემოთ ითქვა, დღეისათის, გავრცელებულია სხვადასხვა კლასიფიკაცის საბანკო რისკები, თუმცა შესაძლებელია, მათი შემდეგ სამ კატეგორიაში გაერთიანება: საკრედიტო რისკები, საბაზრო რისკები და ოპერაციული რისკები. **საკრედიტო რისკი** გულისხმობს გაცემული კრედიტების დაუბრუნებლობის რისკს. მას განეკუთვნება „ასევე ბანკის კლიენტებისა და კონტრაგენტების მიერ ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად გამოწვეული დანაკარგების რისკები“.[2] **საბაზრო რისკებს** განეკუთვნება საბაზრო პროდუქტების ფასის ცვლილებით და/ან მერყეობით გამოწვეული რისკები; **საოპერაციო რისკებს** განეკუთვენება იმ დანაკარგების ალბათობა, რომლებიც არაადეკვატური (როგორც შიდა, ასევე - გარე) მოვლენების შედეგად წარმოიქმნება. [3]

**საბანკო რისკების ფუნქციები და მათი რეგულირების ძირითდი მექანიზმები.**

საბანკო რისკების მართვის დროს შესაძლებელია გამოვყოთ ისეთი ფუნქციები, როგორიცაა: ანალიტიკური, ინოვაციური, მარეგულირებელი და დაცვითი.

**ანალიტიკური რისკის** ფუნქციაა, ყველა იმ შესაძლო ვარიანტის ანალიზის გაკეთება, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლების მაქსიმიზაციას რისკების დასაშვები დონიდან გამომდინარე. **ინოვაციური რისკის** ფუნქცია გამოიხატება ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების გამომჟღავნებაში, არატრადიციული გადაწყვეტილებების მოძიებაში და ინოვაციების დანერგვის საშუალებაში. **მარგულირებელი რისკის** ფუნქციაში გამოყოფენ ორ ფორმას: პირველი ეს არის კონსტრუქციული,

1 კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ. 2014., გვ.486 – 487.

2 ნარმანია დ., საბანკო რისკების მართვის თავისებურებები პოსტკრიზისულ პერიოდში, თბილისი, თსუ, 2011., გვ.2

3 http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=11902

რომელიც სარისკო სიტუაციაში ორიენტირებულია მნიშვნელოვანი შედეგის მიღებაზე და მეორე - დესტრუქციული, იგი ვლინდება წინააღმდეგობრივი და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღებისას. **დაცვითი რისკის** ფუნქცია გამოიხატება ფინანსური, ეკონომიკური და ორგანიზაციული საქმიანობების მაქსიმალურ დაცვაში.[1]

საბანკო რისკების რეგულირების მექანიზმი, საბანკო სისტემის დონეზე, არის სახელმწიფო ორგანოები, როგორც წესი ცენტრალური ბანკი და კომერციული ბანკების რისკების მართვის სამსახურები. თუმცა აღსანიშნავია ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ბაზელის კომიტეტის მიერ შემოთავაზებული რეგულირების მექანიზმების მიმართ, რომლის შესრულებაც თავდაპირველად იწყება ცენტრალური ბანკით და შემდეგ პასუხისმგებლობა გადადის კომერციულ ბანკებზე. ბაზელის კომიტეტის მიხედვით საბანკო რისკების რეგულირების ძირითადი მექანიზმებია: ახლადშექმნილი ბანკებისთვის მინიმალური კაპიტალის დონის დაწესება; კაპიტალის საკამარისობის და მისი სტრუქტურისადმი მოთხოვნები; რისკების მართვის და შიდა კონტროლის სამსახურების საქმიანობის მოთხოვნები; ბანკის საერთო ფინანსური მდგომარეობისა და რისკების შესახებ ინფორმაციის საჯაროობის მოთხოვნები; რისკების რაოდენობრივი შეფასების ნორმატიული მოთხოვნები და სხვ.

კომერიცული ბანკების დონეზე გამოიყენება ასევე რისკების რეგულირების შიდა მექანიზმები, რომელთაც მიეკუთვნებათ: რისკების შეფასების მოდელები, მართვის შიდა მეთოდები, მოდელები და სხვ.[2]

**კომერციული ბანკების რისკების მართვის მეთოდოლოგია.** კომერციული ბანკი რისკების მართვას ახორციელებს ეტაპობ-

1 გოგოლაძე ს., მომატებული კონკურენციისა და ფინანსური კრიზისის ბანკის საქმიანობის მოდელების შემუშავება, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 2013., გვ. 115 – 116, http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000676/Dis.G.S.pdf

2 ნარმანია დ., საბანკო რისკების მართვის თავისებურებები პოსტკრიზისულ პერიოდში, თბილისი, თსუ, 2011., გვ.3-5

რივად, სამოქამედო გეგმით გათვალისწინებული განრიგის მიხედვით. ამიტომ ბანკი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაატაროს ღონისძიებები რისკების მართვის მომზადებასთან დაკავშრებით და ამავდროულად დაადგინოს ბანკის შიდა მდგომარეობა, რომლის შედეგებიც უნდა იქნეს გამოყენებული ბანკის რისკების მართვის სამოქმედო გეგმის მოსამზადებლად.[1]

„კომერციულ ბანკებში რისკის მართვის თაობაზე“ დებულების შესაბამისად, საქართველოს საბანკო სექტორში რისკების მართვის პროცესი მოიცავს შემდეგს:

1. **რისკების დადგენა:** ყველა იმ რისკის სახეობის დადგენა, რომელმაც კი შეიძლება ზარალი მოუტანოს ბანკს;
2. **რისკების შეფასება:** გამოიყენება ბანკის რისკის პროფილის შესაფასებლად;
3. **მონიტორინგი და ლიმიტები:** ბანკის რისკის ლიმიტებისა და მასშტაბების ზღვრების გათალისწინება;
4. **რისკის მართვის საინფორმაციო სისტემები:** ეს არის მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის ნაწილი, რომელიც გამოიყენება რისკების ეფექტიანად მართვისთის;
5. **რისკის კონტროლი:** რისკების კონტროლის დაწესება, რათა მოხდეს ყველა კონკრეტული რისკის მართვა;
6. **აქტივების და ვალდებულებების მართვა:** ეს პუნქტი საჭიროა საპროცენტო, სავალუტო და ლიკვიდობის რისკების კონტროლისთვის;
7. **სტრეს ტესტების გამოყენება:** რისკების შეფასების მოდელების გამოყენება.[2]

იმ შემთხვევაში, თუ ბანკის რისკების მართვა არაადეკვატურია, მაშინ მისი ზედამხედველობა ევალება ეროვნულ ბანკს.[3]

---

1 დებულება კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე”, საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება N71, 2008 წ. 17 მარტი, მუხლი 45, www.nbg.gov.ge.

2 ნარმანია დ., საბანკო რისკების მართვის თავისებურებები პოსტკრიზისულ პერიოდში, თბილისი, თსუ, 2011., გვ.6

3 ნარმანია დ., საბანკო რისკების მართვის თავისებურებები პოსტკრიზისულ პერიოდში, თბილისი, თსუ, 2011., გვ.6

**დასკვნა**

ქართული კომერციული ბანკების უმეტესობა საიდუმლოდ ტოვებს რისკების მართვის მეთოდოლოგიას. მათ საიტებზე საჯარო სახით გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ფაქტობრივად რისკების მართვის შესახებ მწირი ინფორმაციის გაცნობას თუ მოვახერხებთ. რამოდენიმე ლიდერ კომერციულ ბანკთან სატელეფონი დაკავშირების შედეგად დაფიქსირდა უარი მეტი ინფორმაციის მოწოდების თაობაზე.

თვალსაჩინოებისთვის შესაძლებელია შემოგთავაზოთ, თიბისი ბანკის რისკების მართვის კატეგორიები, რადგან მას სხვა კომერციულ ბანკებთან შედარებით მეტი ინფორმაცია აქვს გამოქვეყნებული საჯაროდ:

- კორპორატიული საკრედიტო რისკების მართვა;
- SME და საცალო საკრედიტო რისკების მართვა;
- საცალო საკრედიტო რისკების მართვა;
- საოპერაციო რისკების მართვა;
- ფინანსური რისკების მართვის განყოფილება.[1]

მნიშვნელოვანია, რომ კომერციულ ბანკებში რისკების მართვა განხორციელდეს განრიგის შესაბამისად, რა თქმა უნდა ,სამოქმედო გეგმის გათვალისწინებით. ამასთანავე ბანკი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაატაროს ის ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია რისკების მართვის მომზადებასთან.

ბანკების უმთავრეს ამოცანას უნდა წარმოადგენდეს რისკების შემცირება კრიზისული პერიოდის დროს, აქედან გამომდინარე რისკების მართვა კომერციულ ბანკებში უნდა იყოს უწყვეტი პროცესი, რადგან როდესაც რისკ - მენეჯმენტი მუშაობს გამართულად, ბანკში კრიზისული პერიოდის ალბათობის მაჩვენებელი ძალიან დაბალი ხდება.

- საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან უნდა შემუშავდეს ყველა ის პირობა, რაც საფუძველს შეუქმნის ბაზელის კომიტეტის წევრ ქვეყანად გახდომას;
- კომერციული ბანკების მხრიდან, უნდა მოხდეს სხვა ქვეყნის გამოცდილებების გაზიარება, რაც საშუალებას მის-

1 http://old.tbcbank.ge/ge/about/team_tbc/management_team/

ცემს მათ მეტი შეცდომის დაშვებიდან თავის არიდებაში;

- კომერციულ ბანკებმა უნდა შექმნან დამატებითი საბანკო პროდუქტები;
- მნიშვნელოვანია მეტი ყურადღების გამახვილება დეპოზიტების დაძლევასთან მიმართებაში, რაც საშუალებას მისცემს კომერციულ ბანკებს შეამცირონ რისკები;
- უნდა მოხდეს ყველა კომერციული ბანკის რისკის მართვის დეპარტამენტების და მათი საქმინობის ძირეული შესწავლა;

**გამოყენებული ლიტერატურა**


1. „დებულება კომერციულ ბანკებში რისკების მართვის თაობაზე", საქართველოს ეროვნული ბანკი, ბრძანება N71, 2008 წ. 17 მარტი.
2. კოვზანაძე ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, თბ. 2014.
3. გოგოლაძე ს., მომატებული კონკურენციისა და ფინანსური კრიზისის ბანკის საქმიანობის მოდელების შემუშავება, საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტი, 2013.
4. ნარმანია დ., საბანკო რისკების მართვის თავისებურებები პოსტკრიზისულ პერიოდში, თბილისი, თსუ, 2011.

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=11902

5. http://old.tbcbank.ge/ge/about/team_tbc/management_team/.


**References**


1. Order N27 of the President of National Bank of Georgia on Regulations about risk management in commercial banks; March 17, 2012.
2. Kovzanadze I, Kontridze G, „ Modern banking: theory and practice", 2014, Tbilisi.

3. Gogoladze S., Creating of banking models in the period of excessive competition and financial crisis, Georgian Technical University, 2013.

4. Narmania D., Banking Risk Management Features in the Post – Crises Period, Tbilisi, TSU, 2011.

http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=11902.

http://old.tbcbank.ge/ge/about/team_tbc/management_team/.

## RISK MANAGEMENT IN COMMERCIAL BANKS

**Davit Pitiurishvili**
PHD Student

**Resume**

Nowadays the growing number of banking operations cause proportionally a growth of the complex risks connected with such operations. Because of the above mentioned situation, risk management in commercial banks became a popular question. This article examines already the existing politics connected with risk management in Georgian commercial banks. Here are given the answers to the following questions: What kind of nature do the risks have? How do they classify? What kind of methodology should the banks use to manage risks? What is the main scheme for functioning the banking risks? What kind of situation do we have in Georgia in the field of managing commercial risks politics?

The main purpose of the article is to study the main risk management categories in Georgian commercial banks and to determine the several recommendations for improving their management.

As a result of examining commercial banks politics, it was cleared out that they don't make public their own structure of managing commercial risks.

**Key words**: *Credit risks, operation risks, banking risks.*

# საგადასახდელო ბალანსი

**ნინო გრიგალაშვილი**
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

**რეზიუმე**

საგადასახდელო ბალანსი არის სტატისტიკური ანგარიში, სადაც სისტემატიზებული სახითაა ასახული მოცემული ქვეყნის მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან საგარეო ეკონომიკური ოპერაციების ჯამობრივი მონაცემები დროის გარკვეული მონაკვეთისათვის.

შემთხვევას, როდესაც ქვეყნის ბიუჯეტი უზრუნველყოფს საერთაშორისო გადასახდელების გადახდას, უწოდებენ საგადასახდელო ბალანსის წონასწორობას. საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის ანალიზისათვის გამოიყენება გადახდების ბალანსი, საბაზო ბალანსი, ოფიციალური ანგარიშსწორების ბალანსი

სახელმწიფოს საგადასახდელო ბალანსზე მოქმედ ფაქტორებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს შემდეგი: ინფლაციის ტემპი, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა, საპროცენტო განაკვეთების ზრდა, სავალუტო კურსი.

**<u>საკვანძო სიტყვები:</u>** საგადასახდელო ბალანსი, კაპიტალის მოძრაობის ბალანსი, მიმდინარე ოპერაციების ბალანსი,სავაჭრო ბალანსი, საბაზისო ბალანსი, საბაზრო ფასი,სეზონური, ანუ შემთხვევითი დისბალანსი.

**ძირითადი ტექსტი**

საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურაში გამოიყენება 3 ძირითადი ნაწილი:

1) სავაჭრო ბალანსი ანუ საქონლის ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობა;

2) მომსახურებისა დ არაკომერციული გადახდების ბალანსი;

3) კაპიტალის და კრედიტების მოძრაობის ბალანსი.

დღეისათვის პრაქტიკულად გავრცელებულია საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურის კლასიფიკაციის შემდეგი სახე: მიმდინარე ოპერაციების ბალანსი და კაპიტალისა და კრედიტების ბალანსი. მიმდინარე ოპერაციების ბალანსი მოიცავს სავაჭრო ბალანსს და მომსახურებისა და არაკომერციული გადახდების ბალანსს. კაპიტალის მოძრაობის ბალანსი მოიცავს გრძელვადიანი პირდაპირი, პორტფელური ინვესტიციებისა და მოკლევადიანი კაპიტალის მოძრაობას. ამ ორი ბალანის საფუძველზე დგება და ქვეყნდება ერთიანი საგადასახდელო ბალანსი.

სავაჭრო ბალანსი არის მოცემული ქვეყნის ფარგლებში ექსპორტისა და იმპორტის თანაფარდობა.მომსახურებისა და არაკომერციული გადახდების ბალანსი მოიცავს:

1) გადახდებს და შემოსულობებს სატრანსპორტო გადაზიდვებზე, დაზღვევაზე, საერთაშორისო ტურიზმზე, საექსპორტო მომსახურებაზე, ლიცენზიებით ვაჭრობაზე, ლიზინგურ ოპერაციებზე და ა.შ.

2) მომსახურებაში შედის აგრეთვე გადასახდელები უცხოეთში ინვესტიციებიდან მოგებაზე და საერთაშორისო კრედიტებზე პროცენტები;

3) სახელმწიფო ოპერაციები - სახელმწიფო პენსიები, საერთაშორისო ორგანიზაციებში შენატანები;

4) კერძო გზავნილები - უცხოეთში მომუშავე უცხოელი მუშების, მოსამსახურეების, სპეციალისტების გზავნილები ნათესავებთან სამშობლოში

მიმდინარე ოპერაციების ბალანსი აისახება საგადასახდელო ბალანსში და არანაირ გავლენას არ ახდენს მასზე მომდევნო პერიოდებში. ამ ოპერაციებს მიმდინარეს უწოდებენ იმის გამო, რომ განაცალკევონ ერთმანეთისაგან საქონლით და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობა და კაპიტალითა და კრედიტის ფორმით ფინანსური რესურსების საერთაშორისო მოძრაობა. კაპიტალისა და კრედიტების მოძრაობის ბალანსი ასახავს სახელმწიფო და კერძო შეტანის და გატანის, მიწოდებული და

მიღებული საერთაშორისო კრედიტების თანაფარდობას. ეს არის მეწარმეობრივი კაპიტალის და ნასესხები კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა. სამეწარმეო კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა მოიცავს: კაპიტალის გატანას, რომელშიც შედის: ეროვნული ფირმების მიერ პირდაპირი ინვესტირება უცხოეთში, ეროვნული რეზიდენტების მიერ საბანკო დეპოზიტების შეძენა უცხოური ბანკებისგან. ნასესხები კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა მოიცავს: გრძელვადიან და საშუალოვადიან ოპერაციებს, რაც ნიშნავს სახელმწიფო და კერძო ნასესხობას და კრედიტებს, რომელიც მიეწოდებათ 1 წელზე მეტი ვადით; მოკლევადიან ოპერაციებს რაც მოიცავს 1 წლამდე საერთაშორისო კრედიტებს, ბანკებს შორის კაპიტალის გადაადგილებას.

საბაზისო ბალანსი ეწოდება ბალანსის მიმდინარე, ანგარიშებისა და კაპიტალის მოძრაობისა და კრედიტების გრძელვადიანი ანგარიშების ჯამს.

შეცდომები და გამოტოვებები არის საგადასახდელო ბალანსის სპეციალური მუხლი, რომელიც მოიცავს სტატისტიკურ ცდომილებებს და აღურიცხავ ოპერაციებს. საგადასახდელო ბალანსის შემუშავებას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები: ორმაგი ჩაწერის პრინციპი, რეზიდენტები და არარეზიდენტები, საბაზრო ფასი, რეგისტრაციის დრო, საანგარიშო ერთეული.

ორმაგი ჩაწერის პრინციპი - საგადასახდელო ბალანსი აიგება ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველზე და თითოეული ოპერაცია ერთდროულად აისახება ანგარიშის კრედიტში და დებეტში. თეორიულად სალდო უნდა გაუტოლდეს ნულს. საბალანსო სხვაობებს უწოდებენ შეცდომებს და გამოტოვებებს.

რეზიდენტები და არარეზიდენტები- ისინი გამოდიან სუბიექტებად საგადასახდელო ბალანსის შედგენის დროს. რეზიდენტებს განეკუთვნებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებიც მდებარეობენ მოცემულ ქვეყანაში, ხოლო არარეზიდენტებს განეკუთვნებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც მუდმივად ან დროებით საზღვარგარეთ ცხოვრობენ დ ფუნქციონირებენ.

საბაზრო ფასი- განისაზღვრება ფულადი თანხით, რომელიც გადახდილია საქონლის და მომსახურების შესაძენად კომერციული გარიგებებით.

რეგისტრაციის დრო-ჩანაწერები დებეტში და კრედიტში უნ და განხორციელდეს ერთდროულად ეკონომიკური ფასეულობების შექმნის, გარდაქმნის, გაცვლის, გადაცემისა და ლიკვიდაციის მომენტში.

საანგარიშო ერთეული- საგადასახდელო ბალანსის შედგენისას გამოიყენება საანგარიშო ერთეული, რომელიც მიღებულია ქვეყნის შიდა გაანგარიშებებში და აღრიცხვაში. საგადასახდელო ბალანსის უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებისას გამოიყენება ვალუტის საბაზრო კურსები.

საგადასახდელო ბალანსში თითოეული გარიგება შეიტანება პლუსი და მინუსი ნიშნით. თუ საგარეო-ეკონომიკური გარიგებებისგან სახელმწიფო მიიღებს დამატებით უცხოურ ვალუტას, მოცემული გარიგება კრედიტის განყოფილებაში შეიტანება პლუსი ნიშნით. თუ გარიგებას თან ახლავს უცხოური ვალუტის ხარჯვა, იგი შეიტანება დებეტის განყოფილებაში მინუსი ნიშნით.

სახელმწიფოს საგადასახდელო ბალანსზე მოქმედ ფაქტორებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს შემდეგი:

- ინფლაციის ტემპი;
- მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა;
- საპროცენტო განაკვეთების ზრდა;
- სავალუტო კურსი.

საგადასახდელო ბალანსზე ინფლაციის ზეგავლენა მდგომარეობს იმაში, რომ როდესაც ადგილი აქვს ფასების მნიშნელოვან ზრდას ეროვნულ საქონელზე და მომსახურებაზე, მაშინ მცირდება მათი კონკურენტუნარიანობა და რთულდება ექსპორტი.

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პირობებში იზრდება საქონლისა და მომსახურების იმპორტის მოცულობა. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის პირობებში ქვეყანაში ადგილი აქვს მოგების სიდიდის ზრდას,

რომლის ნაწილი შეიძლება გამოყენებულ იქნას იმპორტის გაზრდისათვის.

დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების დონე გავლენას ახდენს კაპიტალის ნაკადზე ფულად და ინვესტიციურ ბაზარზე. დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა იწვევს კაპიტალის ინვესტირების ზრდას, ხოლო საპროცენტო განაკვეთების შემცირებისას, ადგილი აქვს კაპიტალის გადინებას, რამდენადაც ინვესტორებს ბუნებრივია იზიდავს ის ქვეყნები, სადაც მაღალია საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე.

სავალუტო კურსის გავლენნა სახელმწიფოს საგადასახდელო ბალანსზე მდგომარეობს იმაში, რომ უცხოური ვალუტის მაღალი კურსი ხელს უშლის საიმპორტო ოპერაციებს და ხელს უწყობს საექსპორტო ოპერაციებს. ხოლო უცხოური ვალუტის დაბალი კურსი ქმნის ხელსაყრელ პირობებს იმპორტისათვის და აბრკოლებს ექსპორტს.

შემთხვევას, როდესაც ქვეყნის ბიუჯეტი უზრუნველყოფს საერთაშორისო გადასახდელების გადახდას, უწოდებენ საგადასახდელო ბალანსის წონასწორობას. საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის ანალიზისათვის გამოიყენება შემდეგი ელემენტები:

- მიმდინარე გადახდების ბალანსი;
- საბაზო ბალანსი;
- ოფიციალური ანგარიშსწორების ბალანსი

განასხვავებენ საგადასახდელო ბალანსის წონასწორობას: 1) გრძელვადიან პერიოდში, 2) საშუალოვადიან პერიოდში, 3) მოკლევადიან პერიოდში.

გრძელვადიანი წონასწორობა მიიღწევა საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობისას სალდოს არარსებობით დროის გრძელვადიანი პერიოდის განმავლობაში.

საშუალოვადიანი წონასწორობის შენარჩუნება ხდება გრძელვადიანი დაკრედიტების მექანიზმის გამოყენებით.

მოკლევადიან წონასწორობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც საანგარიშო პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს მოქმედებები ოფიციალური სარეზერვო აქტივების

გამოყენების მიმართულებით.

საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის დარღვევის მიზეზები შეიძლება იყოს:

- სეზონური, ანუ შემთხვევითი დისბალანსი - ექსპორტისა და იმპორტის სეზონური რყევა;
- სტრუქტურული დისბალანსი - ქვეყანა არასაკმარისად სწრაფად ეგუება ექსპორტზე და იმპორტზე მოთხოვნების ცვლილებას;
- დისბალანსი სხვა მიზეზებით: ეკონომიკაში გლობალური ტექნოლოგიური ცვლილებები, სავალუტო რეგულირების ღონისძიებები და ა.შ.

საგადასახდელო ბალანსის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრაქტიკაში გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

პირდაპირი კონტროლი - რომელიც მოიცავს იმპორტის რაოდენობრივ შეზღუდვას, უცხოურ ინვესტიციებზე შემოსავლების უცხოეთში გადაგზავნის აკრძალვას ან შეზღუდვას, მოკლევადიანი და გრძელვადიანი კაპიტალის ქვეყანაში უკან დაბრუნებას.

დეფლაციური პოლიტიკა, რომელიც მიმართულია შიდა მოთხოვნის შემცირების ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების გზით, რომლის თანმდევი ეფექტია საგადასახადელო ბალანსის გაუმჯობესება. დეფლაციური პოლიტიკის შედეგია წარმოების მოცულობის, ინვესტიციების და შემოსავლების შემცირება, რომლებიც საბოლოო ჯამში იწვევენ იმპორტის და სარეზერვო სიმძლავრეების ამოქმედებას ექსპორტის გაძლიერებისათვის.

ცენტრალური ბანკის საბაზისო განაკვეთების ცვლილება, რომელიც მიმართულია, ერთი მხრივ, სავალუტო კურსისა და საგადასახდელო ბალანსის რეგულირებისაკენ საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობაზე ზემოქმედების გზით, ხოლო, მეორე მხრივ, შიდა კრედიტების დინამიკის, ფულადი მასის, ფასების და ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების გზით.

სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაცია წარმოადგენს სახელმწიფოს, ბანკების პოლიტიკას, მიმართულს სავალუტო რეზერვების სტრუქტურის რეგულირებისაკენ მის შემადგენ-

ლობაში სხვადასხვა ვალუტების შეყვანით. მისი მიზანია უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო ანგარიშსწორებები, განხორციელდეს სავალუტო ინტერვენციები. ეს პოლიტიკა ხორციელდება არასტაბილური ვალუტის გაყიდვით და უფრო მდგრადი ვალუტის შეძენით.

სახელმწიფოს სპეციალური ღონისძიებები, რომლებშიც შედის: ექსპორტის სტიმულირებისთვის სახელმწიფოს მიერ მიზნბრივი საექსპორტო სუბსიდიების გამოყოფა, დაზღვევა პოლიტიკური და ეკონომიკური რისკებისგან, ქვეყნიდან ტურისტების მიერ ვალუტის გატანის შეზღუდვა(ნორმის დაწესება), სახელმწიფოს პირდაპირ ან ირიბად მონაწილეობა ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნაში უცხოელი ტურისტების მოზიდვის მიზნით.

**დასკვნა**

დღეისათვის გავრცელებულია საგადასახდელო ბალანსის სტრუქტურის კლასიფიკაციის შემდეგი სახე: მიმდინარე ოპერაციების ბალანსი და კაპიტალისა და კრედიტების ბალანსი. მიმდინარე ოპერაციების ბალანსი მოიცავს სავაჭრო ბალანსს და მომსახურებისა და არაკომერციული გადახდების ბალანსს. კაპიტალის მოძრაობის ბალანსი მოიცავს გრძელვადიანი პირდაპირი, პორტფელური ინვესტიციებისა და მოკლევადიანი კაპიტალის მოძრაობას. ამ ორი ბალანის საფუძველზე დგება და ქვეყნდება ერთიანი საგადასახდელო ბალანსი.

მიმდინარე ოპერაციების ბალანსი აისახება საგადასახდელო ბალანსში და არანაირ გავლენას არ ახდენს მასზე მომდევნო პერიოდებში. ამ ოპერაციებს მიმდინარეს უწოდებენ იმის გამო, რომ განაცალკევონ ერთმანეთისაგან საქონლით და მომსახურებით მსოფლიო ვაჭრობა და კაპიტალითა და კრედიტის ფორმით ფინანსური რესურსების საერთაშორისო მოძრაობა.

კაპიტალისა და კრედიტების მოძრაობის ბალანსი ასახავს სახელმწიფო და კერძო შეტანის და გატანის, მიწოდებული და მიღებული საერთაშორისო კრედიტების თანაფარდობას.

სახელმწიფოს საგადასახდელო ბალანსზე მოქმედ ფაქტო-

რებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს შემდეგი: ინფლაციის ტემპი, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა, საპროცენტო განაკვეთების ზრდა, სავალუტო კურსი.

საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის ანალიზისათვის გამოიყენება შემდეგი ელემენტები: მიმდინარე გადახდების ბალანსი, საბაზო ბალანსი, ოფიციალური ანგარიშსწორების ბალანსი.

**References:**


1. I. Meskhia. International Finance, Tbilisi, 2012.
2. L. Bakhtadze. Financial Market, Tbilisi, 2007.
3. R. Kakulia. General Theory of Finance, Tbilisi, 2007.


## BALANCE OF PAYMENTS


**Nino Grigalashvili**
Doctor of Business Administration


### Resume


The Balance of payments represents a statistical report, which includes the total summarized data of a given country's foreign economic transactions with other world countries in a particular period.

The case, when the country budget provides international payments, called the balance of payments equilibrium. For the analysis of the balance of payments equilibrium, are used the balance of payments, base balance, official settlements balance.

Among the active factors which have an influence on the state balance of payments especially there must be pointed out the following: the Rate of inflation, the real increase of gross domestic product (GDP), the increase of interest rates, the rate of exchange.

For the analysis of the balance of payments equilibrium, are used the following elements: The current balance of payments, the base balance, the official settlements balance.

The reasons for disequilibrium of balance of payments may be: Seasonal or accidental imbalance - seasonal fluctuation of export and import, structural imbalance – the country insufficiently quickly adapts the requirements, changes on export and import. Other causes of imbalance can be: The technological changes in the global economy, exchange control measures, etc.

In practice for the public regulation of the Balance of payments there are in use the following methods: Direct control, deflation policy, the basic rate change of central bank.

# ეკოპოლისური ურბსოციუმი: წარსული, აწმყო, მომავალი

**გურამ ჯოლია**
სტუ პროფესორი

**რეზიუმე**

ქალაქად ადამიანთა ცხოვრება და მასთან დაკავშირებული მრავალი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური პრობლემა საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოველთვის იყო. ვითარება მსოფლიოში განსაკუთრებით მას შემდეგ გამწვავდა, როცა მოსახლეობის უმეტესობა საცხოვრებლად ქალაქად გადავიდა და ამ პროცესის დაჩქარების ტემპმა მეტად საყურადღებო ნიშნულს მიაღწია. თანდათან ჩამოყალიბდა პარადოქსული ვითარება: მეგაპოლისი – ადამიანთა განსახლების ყველაზე უსაფრთხო ადგილი, რომელმაც დედა-ბუნება განადგურებისაგან გადაარჩინა, თვით გახდა, ერთი მხრივ, ბუნების აშკარა მტერი, რომელმაც გაანადგურა საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი კულტურული ფასეულობები, ხოლო მეორე მხრივ, ცხოვრების ყველაზე მიმზიდველი ადგილი, სადაც დღენიადაგ იბადება კულტურისა და ხელოვნების ახალ-ახალი შედევრები, რეალიზდება ადამიანთა შემოქმედებითი ოცნებები და პროგრესული იდეები.

ქალაქად მოსახლეობის მასობრივად ცხოვრებამ, ბუნებისადმი ადამიანთა დაუდევრობამ და მომხმარებლურმა დამოკიდებულებამ ეკოლოგიური მდგომარეობა ძალზე გაართულა და მეტად საგანგაშო ვითარება შეიქმნა. დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დადგა ეკოპოლისური განაშენიანების პროგრესული იდეა. შემუშავდა ქალაქგანაშენიანების მრავალი საყურადღებო პროექტი (მაგ., "გაერო-ჰაბიტატი"), განისაზღვრა გლობალური ეკოლოგი-

ური პრობლემების დაძლევის გზები (მაგ., გაეროს მდგრადი განვითარების კონცეფცია), შეფასდა ქალაქების უზრუნველყოფის რესურსული პოტენციალი, რეგიონულმა გაერთიანებებმა განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაში გაამკაცრეს ეკოლოგიური მოთხოვნები და სხვა მრავალი.

მიუხედავად ამისა, მსოფლიოში ქალაქების ზრდა-განვითარების ზრდის ტემპები და არსებული ვითარება მეტად საგანგაშოა და საყოველთაო ყურადღების გამახვილებას გადაუდებლად მოითხოვს.

**საკვანძო სიტყვები:** ურბანიზაცია, სოციუმი, ეკოპოლისი, ნოოსფერო, არკოლოგია, რეტროსპექტივა.

### შესავალი

ადამიანის ფიზიკური და სულიერი ცხოვრება უშუალოდ დაკავშირებულია ბუნებასთან, რადგან ადამიანი „ბუნების შვილია“, მისი ორგანული ნაწილია.

ადამიანთა განსახლების კომპაქტური ფორმა თვით ადამიანის წარმოშობის დროიდან გაჩნდა. ამისათვის იგი ყველაზე კომფორტულ, ყველაზე უსაფრთხო და ყველაზე ლამაზ ადგილს გამუდმებით ირჩევდა, ბინადრობის გარემოს თანდათან ცვლიდა და მასში კომფორტის ელემენტებიც უხვად შეჰქონდა. ამიტომ განსახლების ევოლუცია ათასწლეულობით გრძელდებოდა.

2003 წლიდან ჩვენი პლანეტის მოსახლეობის უმეტესობა ქალაქის მკვიდრი გახდა.[1] თანდათან ჩამოყალიბდა პარადოქსული ვითარება: მეგაპოლისი[2] – ადგილი, სადაც ადამიანთა სიცოცხლისათვის ნაკლებად ვარგისი, და იმავდროულად, მათი განსახლების ყველაზე უსაფრთხო ფორმა, რომელმაც დედაბუნება ველურთა შეტევებისა და ტოტალური განადგურებისაგან

**1 1800 წელს ქალაქის მოსახლეობა დედამიწის მოსახლეობის 3% იყო, 1900 წელს – 13,6%, 1990 წელს – 43%.**

**2 ძვ. ბერძნული μέγας – დიდი და ძვ. ბერძნული πόλις, ლათ. civitas – პოლისი; დიდი ქალაქი. სამოქალაქო საზოგადოება; ანტიკურ ხანაში დამახასიათებელი საზოგადოების ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმა, ზოგჯერ, „ქალაქ-სახელმწიფო“.**

გადაარჩინა, თვით გახდა, ერთი მხრივ, ბუნების აშკარა მტერი, რომელმაც გაანადგურა საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი ტრადიციული კულტურული ფასეულობები, ხოლო მეორე მხრივ, ცხოვრების ყველაზე მიმზიდველი ადგილი, სადაც დღენიადაგ იბადება კულტურისა და ხელოვნების შედევრები, რეალიზდება ადამიანთა ოცნებები და იფურჩქნება შემოქმედებითი ტალანტები.

## 1. ქალაქი – თანამედროვე ურბანიზებული სოციუმი

კაცობრიობას დღემდე რომ მხოლოდ სოფლად ეცხოვრა, დღესაც აგრარულ ეპოქაში ვიქნებოდით ჩარჩენილები და არ შეიქმნებოდა დიდი კულტურები, რელიგიები და მეცნიერებები, გიგანტური საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობები, ფანტასტიკური რელიგიური, არქიტექტურული, ისტორიულ-კულტურული ძეგლები.

თვით ქალაქია კაცობრიობის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევა. შემთხვევით არ უწოდა გამოჩენილმა გერმანელმა ფილოსოფოსმა და ფსიქოლოგმა, ექსისტენციალიზმის[1] ცნობილმა წარმომადგენელმა **კარლ იასპერსმა** (1883-1969) ქალაქების საყოველთაო აღმოცენების ეპოქას (ძვ.წ. 500 წ.) **„ღერძული დრო“.** ფაქტობრივად ამ პერიოდიდან არსებობს „თანამედროვე“ ადამიანი.

კაცობრიობის ისტორიაში სწორედ ეს პერიოდია მიჩნეული უწყვეტი განვითარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპად.

სოფლისაგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ იმეორებს შექმნილ იდეებს, ტექნოლოგიებსა და კულტურებს, ქალაქს ახლის შექმნა შეუძლია. ქალაქების წარმოშობა ცივილიზაციას არნახულ დინამიკას ანიჭებს. უძველესი და თანამედროვე ყველა უდიდესი ცივილიზაცია, მხოლოდ ქალაქური ცივილიზაციებია: რომი და იერუსალიმი, ათენი და ტროა, ლონდონი და პარიზი,

**1 ლათ. existentia არსებობა. XX საუკუნის ფილოსოფიის ერთ-ერთი მიმართულება. გულისხმობს ადამიანის ინდივიდუალურ არსებობას სამყაროში. კარლ იასპერსთან ერთად,Eექსისტენციალიზმის გამოჩენილი წარმომადგენლები არიან ფრანგი ჟან პოლ სარტრი, გერმანელი მარტინ ჰაიდეგერი, ფრანგი ალბერ კამიუ და სხვები.**

ბაღდადი და კონსტანტინოპოლი, სამარყანდი, კართაგენი, სინგაპური, ნიუ-იორკი, სანკტ-პეტერბურგი და სხვა მრავალი, აზროვნებისა და სულიერების დიდი კერები იყო. ყველა დროსა და კონტინენტზე უდიდესი ზოგადსაკაცობრიო მიღწევები მხოლოდ ქალაქებში განხორციელდა. ქალაქის კრეატიულ-კოგნიტურობა (შემოქმედებით-შემეცნებითობა) კავშირშია იმასთან, რომ მასში ჩაქსოვილია ინტელექტუალურ-შემეცნებითი სისტემა. სოფელს მხოლოდ ქალაქში შექმნილი შემოქმედებითი აზრის მოხმარება და/ან გადაცემა შეუძლია.

მართალია ცხოვრების სოფლური წყობაც საშუალებას იძლევა ცალკეული ადამიანი შემოქმედებით-შემეცნებითი საქმიანობით დაკავდეს, მაგრამ თუ ასეთი ინდივიდი მრავალია და ისინი ერთობლივად მოქმედებენ, ეს უკვე სოფელი კი არა, ქალაქური გარემოა.

ქალაქის ცივილიზაციური ეფექტურობა, ცხოვრების სულიერი კომფორტი უცილობელ კავშირშია კრეატიულ შემადგენელთან, ანუ იმ მთავართან, რის გამოც, საკუთრივ ადამიანი დაშორდა ბუნებას, გამოვიდა სოფლის ტიპის არეალიდან, მთლიანად მისთვის სასურველი ხელოვნური გარემო შექმნა და ახალი აზრებითა და შესაძლებლობებით დატვირთა იგი.

ქალაქი სოფლისაგან არა მარტო იმით განსხვავდება, რომ მისი მცხოვრებლები არ შრომობენ სოფლის მეურნეობაში, არამედ, და რაც მთავარია, იმით, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არამატერიალურ შრომას ეწევა, ასეთია მაგალითად, შემეცნება, სწავლება, კვლევა, მართვა... ამიტომ ქალაქი აუცილებლად არსებობს არა მარტო მატერიალურ (ფიზიკურ) სივრცეში, არამედ აზრობრივ, ანუ ინტელექტუალურ-სულიერ სამყაროშიც.

თუ ქალაქში, როგორც ურბანიზებულ სოციუმში, კრეატიული (შემოქმედებითი) სფერო არაა განვითარებული და ცხოვრება მხოლოდ წარმოებაშია ჩაკეტილი, იგი დიდი „ინდუსტრიული სოფელია“.

მეტად საყურადღებოა ისიც, რომ ბუნებისადმი ადამიანთა დაუდევრობისა და მიზანმიმართული მომხმარებლური დამოკიდებულების გამო, დედამიწაზე ეკოლოგიური კრიზისი თანდათან ღრმავდება და უაღრესად მწვავდება, რასაც ვერ

აჩერებს, ეკოლოგიური თვალსაზრისით, რიგი სახელმწიფოების ისეთი დაქსაქსულ-შეუთანხმებელი პრევენციულ-აღდგენითი ღონისძიებები, როგორიცაა სამრეწველო საწარმოებში ფილ-ტრების დამონტაჟება, დამატებითი ნაკრძალების ორგანიზაცია, ზოგიერთი საწარმოს დახურვა, მკაცრი ეკონომიკური სანქციების დაწესება და სხვა მრავალი.

საჭიროა ბუნების გამოყენების ოპტიმიზაციის უფრო რადი-კალური და რაციონალური მიდგომების დღენიადაგ ძიება: ბიოს-ფეროდან[1] ნოოსფეროში[2] გადასვლის რთული გლობალური და რეგიონული პროცესების მართვის მოდელებიდან დაწყებული, რესურსდამზოგავი ტექნოლოგიისა და თანამედროვე ქალაქმ-შენებლობით დამთავრებული.

კონკრეტულ ტერიტორიულ სტრუქტურებთან და პროცე-სებთან ახალი ეკოლოგიური მიდგომების გატარებისას დიდი სირ-თულეები წარმოიშობა. ამასთან, ეს სირთულეები უფრო სწრაფად დიდდება, ვიდრე ტერიტორიების მასშტაბები და მეურნეობები იზრდება (რთული სისტემის საერთო თვისება).

პირდაპირ თუ ირიბად მრავალი ეკოლოგიური პრობლემა ქა-ლაქების, ანუ წარმოებისა და მოსახლეობის კონცენტრაციის გა-მოა შექმნილი. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ ქალაქების როგორც საკვანძო რგოლების მიმართ საზოგადოების მომ-თხოვნელობა ძალიან მკაცრია. თუმცა, თავის მხრივ, სოციუმი ქალაქის განვითარებას ყოველთვის უფრო მეტ ყურადღებასაც აქცევდა (ამუშავებდა განვითარების კონცეფციებსა და დაგეგ-მარების მოდელებს, ადგენდა სამშენებლო ნორმებსა და სტანდ-არტებს და ა.შ.), ხოლო სოფელი, მცირე გამონაკლისების გარდა,[3] გერი შვილივით, მიტოვებულად ჰყავდა.

დღევანდელ კაცობრიობას არა აქვს არანაირი სურვილი და შესაძლებლობა „დაბრუნდეს უკან, გამოქვაბულში“ – პირვე-

---

**1 ბერძ. bios სიცოცხლე sphain სფერო. დედამიწის თხელი ფენა, სადაც არსებობს და ვითარდება სიცოცხლე.**

**2 ბერძ. nous გონება და sphain სფერო ანუ გონიერების სფერო.**

**3 კომუნისტების მმართველობის პერიოდში არსებობდა ე. წ. „სოციალ-ისტური დასახლებები“.**

ლყოფილი ადამიანის დისპერსიულ[1] განსახლებაში.

დღის წესრიგში მთელი აქტუალურობით დგას ქალაქდაგეგმარებისა და ქალაქგანაშენიანების ოპტიმალური ვარიანტების ძიება.

საზოგადოების განვითარების პროცესში მუდმივად არსებობს ადამიანთა მზარდ მოთხოვნებსა და არსებულ რესურსებს შორის შეუსაბამობა. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია გარემომცველი გარემოს სოციალურ-ეკონომიკური ამოცანებისა და პრობლემების გადასაწყვეტად დაბალანსებული მეთოდების შემუშავება და გამოყენება.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-ან წლებში რამდენიმე ქვეყანაში დაიბადა ეკოლოგიური ქალაქის, იგივე ეკოქალაქის, შექმნის პროგრესული იდეა, სადაც სოციალურ-ეკოლოგიური პარამეტრების ოპტიმალური მენეჯმენტი იქნებოდა შესაძლებელი. ამის შემდეგ ეკოლოგიური მიდგომა მრავალი განვითარებული ქვეყნისა თუ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი გახდა, კერძოდ:

- დამუშავდა გაეროს მდგრადი განვითარების კონცეფცია (1992 წ., რიო-დე-ჟანეირო);
- უმაღლესი დონის 2002 წლის შეხვედრაზე იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკა) სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა მდგრადი განვითარების პრინციპებისადმი თავიანთი ერთგულება მკაფიოდ დაადასტურეს;
- 1978 წლიდან ამოქმედდა პროგრამა „გაერო-ჰაბიტატი“[2], რომლის მიზანია დასახლებულ პუნქტებში მდგრადი განვითარების საკითხებზე ყურადღების გამახვილება, კერძოდ, ქალაქებისა და დასახლებების სოციალურ-ეკოლოგიური მდგრადობის მხარდაჭერა.

სტიქიური უბედურების რისკების მართვის პროგრამა „ჰაბიტატი“ არის კოორდინაციული სტრუქტურა, რომელიც შექმნილია ქვეყნების ცენტრალური და ადგილობრივი მმართვის ორგანოების დასახმარებლად ომის ან სტიქიური უბედურების

**1 ლათ. dispersio დაშლა, დაყოფა, დაქუცმაცება.**

**2 ლათ. Habitabilis — საცხოვრებლად ვარგისი, დასახლებული.**

გამო მიყენებული ზიანის აღსადგენად. საერთაშორისო ორგანიზაციებთან (წითელი ჯვარი, წითელი ნახევარმთვარე და ა.შ.) აქტიური თანამშრომლობით, პროგრამის მიზანია ქალაქები გახადოს უფრო მდგრადი, კარგად დაგეგმილი და გარემომცველ გარემოზე მინიმალურად ზემოქმედნი[1];

• ევროკავშირმა თავისი განვითარების გრძელვადიან სტრატეგიაში ეკოლოგიური მოთხოვნები მნიშვნელოვნად გაამკაცრა, მდგრადი ეკოლოგიური უზრუნველყოფა მიმდინარე ათასწლეულის განვითარების ერთ-ერთ ძირითად მიზნად მიიჩნია [2] და სხვა მრავალი.

მიუხედავად ამისა, თანამედროვე ეკოლოგიური ვითარება საგანგაშოა.

## 2. ეკოპოლისის ადგილი ნოოსფეროში

ეკოპოლისის განვითარების კონცეფცია გასული საუკუნის 90-ან წლებში პირველად გააჟღერა ინგლისელმა მეცნიერმა **პოლ დაუნტონმა** (დ. 1950 წ.) მან ეკოპოლისი დაახასიათა როგორც ურბანიზებული[1] სისტემა, რომლის მოსახლეობა განზრახ ინტეგრირებულია ბიოსფეროს პროცესებში მისი ფუნქციონირების ოპტიმიზაციისათვის ადამიანთა საკეთილდღეოდ. მეცნიერის აზრით, ეკოპოლისი ქალაქური გარემოს ევოლუციის მნიშვნელოვანი ნაბიჯია: „უნდა ვაშენოთ ისე, რომ ჩავეწეროთ ბუნებასთან ჰარმონიულ თანამშრომლობაში და არა კონფრონტაციაში" [3, გვ. 22] – აღნიშნავს იგი.

ტერმინი „ეკოპოლისი" შედგება სიტყვათწყობისაგან: „ეკო" (ძვ. ბერძნული Oikos სახლი, თუმცა, ტრადიციულად, გაგებულია როგორც „ეკოლოგიური") და „პოლისი"-საგან (ქალაქ-სახელმწიფო), რომელიც ეფუძნება ადამიანთა ერთად ცხოვრების საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რაც განსაზღვრულია არა მათი დაბადების უფლებით ან რაიმე წესით, არამედ უკეთესი ცხოვრებისათვის

1 **ქალაქის ფორმირებისა და განვითარების პროცესი. ქალაქის მოსახლეობის წილის გადიდება ქვეყანაში, რეგიონში, მსოფლიოში. საზოგადოების განვითარებაში ქალაქების როლის ზრდის პროცესი, საქალაქო ცხოვრების წესის გავრცელება და მისი თანმხლები საზოგადოებრივი პროცესები.**

საერთო მიზნების მისაღწევად [3, გვ. 22]. ამ სიტყვათწყობაში თუ „ეკო“ ეკოლოგიური კონტექსტისაკენ მიგვანიშნებს, „პოლისი“ ქალაქური საზოგადოების მართვის იდეალებისაკენ მიგვითითებს.

თუმცა, ესოდენ გავრცელებული და მოდური ტერმინი „ეკოპოლისი“ ლოგიკურად წინააღმდეგობრივია, რადგან ქალაქი აბსოლუტურად ეკოლოგიური თითქმის შეუძლებელია იყოს. იგი ხომ ადამიანმა ბუნებისაგან ეფექტური დაშორების, საკუთარი სოციალური კომფორტის უზრუნველყოფისა და დაცვის მიზნით „გამოიგონა“?

ბიოსფერო თავისი განვითარების ახალ ეტაპზე, „ნოოსფეროზე“ გადავიდა, წინა პლანზე ადამიანის გონივრულმა მოქმედებამ წამოიწია.

ტერმინი „ნოოსფერო“ საზოგადოებას პირველად შესთავაზა სორბონის (საფრანგეთი) უნივერსიტეტის მათემატიკის პროფესორმა **ედუარდ ლერუამ** (1870-1954), რომელიც შემდეგ განავითარეს ფრანგმა გეოლოგ-პალეონტოლოგმა **პიერ ტეიარ დე შარდენმა** (1881-1955) და რუსმა მეცნიერმა **ვლადიმერ ვერნადსკიმ** (1863-1945). ამ უკანასკნელმა „ნოოსფეროს“ ცნებაში მატერიალური შინაარსი შეიტანა და მას ბიოსფეროს ახალი, უმაღლესი საფეხური უწოდა [4].

ქალაქების, როგორც ადამიანთა დასახლების ოპტიმალური დაგეგმარებისა და სივრცითი განვითარების შესახებ მრავალმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ გამოთქვა თავისი კომპეტენტური აზრი და საზოგადოების განვითარების თეორია მნიშვნელოვნად განავითარა და გაამდიდრა.

აი ზოგიერთი მათგანი:

ჯერ კიდევ VI საუკუნეში **რომის იმპერატორ იუსტინიანეს** კოდექსში აღნიშნული იყო მოქალაქეთა კანონიერი უფლებები მზის სხივების მისაწვდომობის შესახებ (თანამედროვე გაგებით, ინსოლაცია[1]).

ეკოლოგიური შინაარსის ცნობები გვხვდება ძველი ელადის

**1 ლათ. insolo მზეზე გამომაქვს, გამოვამზეურებ. მზის შუქით დედამიწის ზედაპირის შემოსხივება.**

დიდი მოაზროვნეების **პლატონისა**[1] და **არისტოტელეს**[2] შრომებში.

რომაელი არქიტექტორი და მეცნიერი **მარკ ვიტრუვი პოლიონი** (ძვ.წ. I ს.), ირწმუნებოდა, რომ ყოველი შენობა-ნაგებობა მოცემული რეგიონის კლიმატურ პირობებთან სრულ შესაბამისობაში ყოფილიყო აშენებულიყო.[3]

ინგლისელი ფილოსოფოსი და სოციალისტ-უტოპისტი **ებენეზერ ჰოვარდი** (1850-1928) საზოგადოებას ეკონომიკური დამოუკიდებლობის მქონე „მწვანე“ ქალაქის უტოპიურ[4] იდეას სთავაზობდა [5, გვ. 80].

ქალაქგანაშენიანების ჰოვარდისეული სქემა საცხოვრებელი სახლების, სამუშაო ადგილებისა და მომსახურების ობიექტების განლაგებას ფეხით მავალთა მიმართ გონივრულ მანძილზე ითვალისწინებდა, ხოლო მათ შორის არსებულ სივრცეს მწვანე ავენიუებით,[5] პარკებითა და ბულვარებით ავსებდა (ჰოვარდის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი).

ამერიკელი არქიტექტორ-ნოვატორი **ფრენკ ლოიდ რაიტი** (1867-1959) თავის თეორიულ კონცეფციებში ქალაქს „ავადმყოფ გარემოდ“ თვლიდა და მას ახალი სახეობის სოფლის დასახლებით ცვლიდა [6, გვ. 87].

თუმცა, მისი იდეები XX საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი ნოვატორ-არქიტექტორის, შვეიცარიული წარმომავლობის ფრანგი დიზაინერის **ლე კორბუზიეს** (1887-1965) შეხედულებებზე ნაკ-

---

1 ბრძენი იდეალისტ-ფილოსოფოსი პლატონი მიიჩნევდა, რომ კარგი ქალაქი 5 040 მიწათმფლო-ბელისაგან, ანუ სრულუფლებიანი მოქალაქისაგან უნდა ყოფილიყო დასახლებული.

2 მაღალი აზროვნების მატერიალისტ-ფილოსოფოსი არისტოტელე თვლიდა, რომ ათი ადამიანი ვერ შექმნიდა ქალაქს, ხოლო 100 ათასიანი დასახლება, უკვე აღარ იქნებოდა ქალაქი.

3 ავტორი ათი წიგნისა ხუროთმოძღვრების შესახებ, რაც დღემდე გადარჩენილი ერთადერთი რომაული ტრაქტატია მშენებლობაზე. წყარო: ბერიძე ვ. უძველესი საქართველო: ანტიკური ხანა//ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბ., „ხელოვნება“, 1974, გვ. 12-15.

4 არარეალური, განუხორციელებელი.

5 დიდი სიგანის ქუჩა, ორივე მხარეს დარგული ხეებით, მაგ., პარიზის ელისეს (შარლზ-ელიზეს) მინდვრები (ყველაზე დიდი და ცნობილი გამზირი).

ლებად რადიკალური იყო და პროფესიონალთა მოწონებას იმსახურებდა. ისინი რამდენადმე წააგავდა ჰოვარდის კონცეფციას ქალაქისა და სოფლის ჰარმონიული შერწყმის შესახებ.

რაიტი უზარმაზარ ქალაქებს ხედავდა ინდივიდუალური ერთბინიანი სახლებით განაშენიანებულს ერთი აკრის (405 კვ. მ.) ფართობზე, სადაც ოჯახს შეეძლო სუბურბანულ სტილში ეცხოვრა. ასეთ ქალაქებში ინდუსტრიული ზონა მარადმწვანე ნარგავებით იქნებოდა იზოლირებული, ხოლო კომერციული ფირმები – საცხოვრებელი რაიონების ცენტრებში განლაგებული.

რაიტი XX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი არქიტექტორ-ნოვატორია დასავლეთის არქიტექტურაში. იგი, როგორც ორგანული არქიტექტურის[1] ფუძემდებელი, 700-ზე მეტი ნაგებობის პროექტისა და რამდენიმე თეორიული ნაშრომის ავტორია.

ეკოლოგიური ქალაქების განვითარების თეორიაში მნიშვნელოვანია იტალიური წარმომავლობის ამერიკელი არქიტექტორისა და ფანტასტიკოს-უტოპისტის, ფრენკ რაიტის მოწაფის **პაოლო სოლერის** (1919-2013) წვლილი. მან განავრცო და გააღრმავა ქალაქდაგეგმარებისა და დიზაინის ექსპერიმენტული კვლევა და წამოაყენა **არკოლოგიის** (ჰიბრიდი სიტყვებისა: „არქიტექტურა“ და „ეკოლოგია“) კონცეფცია, რომელშიც სამგანზომილებიანი ურბანიზებული ჰიპერსტრუქტურა ჩამოაყალიბა.

სოლერის რთული სოციოლოგიური ფილოსოფია და ქალაქდაგეგმარების პროექტები ისეთ იდეალურ და დამოუკიდებელ საზოგადოებას ასახავენ, რომლებიც ყოველთვის ცხადი ოცნებების მასალა იყო. მისი საკამათო მეგაგეგმებისა და ექსპერიმენტული საზოგადოების განხორციელება შესაძლებელია მაშინ, როცა ადამიანი ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრებას გადაწყვეტს [7].

ქალაქის მდგრადი განვითარების შესახებ განსხვავებული

**1 ფილოსოფია, რომელიც პოპულარიზაციას უწევს ადამიანთა საცხოვრებელ გარემოსა და ბუნებას შორის ჰარმონიას დიზაინის კონცეფციებით, რომლებიც იმდენად ინტეგრირებულია ადგილთან, რომ შენობა-ნაგებობები და გარემო ერთი მთლიანი ურთიერთდაკავშირებული კომპოზიცია ხდება.**

შეხედულება აქვს თანამედროვე ბრიტანელ არქიტექტორს **რიჩარდ როჯერსს** (დ. 1933). იგი გვთავაზობს შენობების დემატერიალიზაციის იდეას [3, გვ. 69] და თვლის, რომ მომავლის შენობა საზოგადოებას უფრო ნაკლებად მოაგონებს წარსულის უცვლელ კლასიკურ ძეგლებს, იქნება „მოძრავი, მოაზროვნე და ორგანული რობოტი". ამასთან, მეცნიერების განვითარება ბიონიკის (ბიომიმიკრიის)[1] პრინციპების გამოყენების შესაძლებლობას შექმნის და უფრო მეტად ცოცხალი ბუნების თვისებებისა და ფუნქციების მქონე დასახლებები აშენდება.

როჯერსი, როგორც თანამედროვე და პროგრესული მაღალი ტექნოლოგიების[2] (hi-tech) სტილის შემქმნელი, მოდერნიზმისა და ფუნქციონალიზმის მიმდევარია. მისი პროექტებით აგებულია ჟორჟ პომპიდუს ცენტრი პარიზში, კომპანია ლოიდსის შტაბ-ბინა ლონდონში (იხილეთ სურათი), ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლო, ათასწლეულის თაღი ლონდონში, მადრიდის აეროპორტი, როიტერის საინფორმაციო ცენტრი ლონდონში და სხვა.

XX საუკუნის ამერიკელი არქიტექტორი **ჯეიმს ჯაკობსი** თა-

1 მეცნიერება, რომელიც ცოცხალი ორგანიზმების აგებულებისა და ფუნქციების შესწავლის საფუძველზე წყვეტს საინჟინრო პრობლემებს. იგი სინთეზური მეცნიერებაა და მჭიდროდ უკავშირდება ანატომიას, ქიმიას, ფიზიკას, მათემატიკას, ელექტრონიკას, კიბერნეტიკასა და სხვა დარგებს. ცოცხალი ბუნების შესახებ არსებული ცოდნის საინჟინრო ამოცანათა გადასაწყვეტად გამოყენების იდეა ეკუთვნის მაღალი რენესანსის თვალსაჩინო წარმომადგენელს, დიდ იტალიელ მოაზროვნეს, არქიტექტორს, გამომგონებელს, ინჟინერსა და მხატვარს, ლეონარდო და ვინჩს (1452-1519), რომელიც ცდილობდა ფრინველთა ფრენის მექანიზმის შესწავლის საფუძველზე შეექმნა საფრენი აპარატი. ბიონიკა, რომელიც სწავლობს ბიოლოგიურ სისტემებს და მათში მიმდინარე პროცესებს, არ მიდის ცოცხალი ბუნების ბრმა მიბაძვის, მისი გადმოღების გზით. ცოცხალი ბუნებიდან იგი „სესხულობს" მხოლოდ ყველაზე უფრო სრულყოფილ კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ გადაწყვეტას, პრინციპებს, იდეებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიოლოგიურ სისტემათა დიდ მოქნილობას მათი არსებობის რთულ პირობებში.

2 მაღალ ტექნოლოგიებს მიეკუთვნება არა მარტო სამრეწველო ტექნოლოგიები, არამედ სოციალური ტექნოლოგიებიც, მაგ., ახალი ამბების გავრცელების სისტემები, კოლექტიური მუშაობისა და სწავლების სისტემები და სხვა. საზოგადოდ, რაც უფრო მცირეა ადამიანის ჩარევა ტექნოლოგიურ პროცესში, მით მაღალია თვით ეს ტექნოლოგია.

ვის წიგნში, „ამერიკული ქალაქების სიცოცხლე და სიკვდილი“ [8, გვ. 11], ქალაქს აღწერს როგორც ეკოსისტემას, რომელიც ფიზიკურ-ეკონომიკური პროცესებისგან შედგება. ორ ეკოსისტემას – ბუნებისაგან შობილსა და ადამიანებისაგან შექმნილს – საერთო ფუნდამენტური თვისებები აქვთ. თუმცა, ამ ეკოსისტემებს ერთობლივი ჰარმონიული არსებობისათვის დიდი ძალისხმევა სჭირდებათ.

### 3. ეკოლოგიური ფაზების რეტროსპექტივა

ავსტრალიელმა ანთროპოლოგმა **სტივენ ბოიდენმა** კაცობრიობის არსებობის ხანგრძლივი ისტორია ხუთ ეკოლოგიურ ფაზად განსაზღვრა [9]:

**1. პირველყოფილი საზოგადოების ფაზა,** რომელიც 60-70 ათასი წელი გრძელდებოდა და ამ ვადაში 2500 თაობა შეიცვალა. ამ პერიოდის ადამიანები მომთაბარე ჯოგებად (ტომებად) ცხოვრობდნენ, იყენებდნენ ცეცხლსა და ცხოველთა ცოცხალ ძალას. პირადი საკუთრება არ არსებობდა, მთელი ქონება ტომს ეკუთვნოდა. ცხოვრების პირობები მხოლოდ გარემომცველი გარემოთი განისაზღვრებოდა.

**2. ადრეული მიწათმოქმედების ფაზა,** რომელიც 12 ათასი წლის წინათ წარმოიშვა. ადამიანები, რომლებმაც ცხოველები და ფრინველები მოიშინაურეს, ჯერ კიდევ ტომებად ცხოვრობდნენ, იყენებდნენ წყლისა და ქარის წისქვილებს, ნავებს. მთელი ქონება საერთო გამოყენებაში ჰქონდათ. დროის ამ ფაზაში ადამიანთა 480 თაობა შეიცვალა. გაიზარდა გარემოზე მათი ზემოქმედება. ადამიანებმა ისწავლეს ტყეებისა და ჭაობების გამოსადეგ მიწებად გადაქცევა.

**3. პირველი ქალაქების გამოჩენის ფაზა,** დაახლოებით, 5 ათასი წლის წინათ დაიწყო და ადამიანთა 200 თაობას მოიცავს. ისინი დიდ ჯგუფებად ცხოვრობდნენ, იყოფოდნენ „თავისიანებად“ და „სხვისიანებად“, საზოგადოება კი პროფესიებად. გამოჩნდა ინდივიდუალური და/ან ოჯახური საკუთრების ფორმები. პლანეტის მოსახლეობა, საშუალოდ, 1500 წელიწადში ორმაგდე-

ბოდა. შეიქმნა შედარებით დიდი ქალაქური ტიპის სტაციონალური დასახლებები, რომლებმაც ბიოსფეროზე არათანაზომიერი ზემოქმედება მოახდინეს, თუმცა, ბუნებრივი ბიოქიმიური ციკლი კვლავ უცვლელი დარჩა.

**4. თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების ფაზა.** იგი 200 წლის წინათ დაიწყო. ამ პერიოდიდან დღემდე 8 თაობა შეიცვალა. დედამიწის მოსახლეობის 1 მილიარდით მომატების ხანგრძლივობა 107 წლიდან 12 წლამდე შემცირდა.[1] ადამიანების უმეტესობა საცხოვრებლად დიდ აგლომერაციებსა[2] და კონურბაციებში[3] გადავიდა.

შრომისათვის გამოიყენება წიაღისეულ მინერალებზე მომუშავე მანქანები. შეიქმნა ახალი ქიმიური შენაერთები. მედიცინის განვითარების შედეგად სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გადიდდა.[4] გაბატონდა კერძო საკუთრება. გაიზარდა განსხვავება მდიდრებსა და ღარიბებს შორის.[5]

აღნიშნული თანამიმდევრობიდან ნათლად ჩანს, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის განვითარებისა და ბიოსფეროს პრო-

1 დედამიწაზე 1 მილიარდი ადამიანი ცხოვრობდა 1820 წელს, 2 მილიარდი – 1927 წელს, 3 მილიარდი – 1960 წელს, 4 მილიარდი – 1974 წელს, 5 მილიარდი – 1987 წელს, 6 მილიარდი – 1999 წელს, ხოლო 7 მილიარდი – 2011 წელს.

2 ლათ. agglomero დაგროვება, მიერთება; ერთი დიდი ქალაქის მიერ სხვათა მიერთება.

3 ლათ. con ერთად და urbs ქალაქი; რამდენიმე დიდი ქალაქის გაერთიანება.

4 სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ყველაზე მაღალია იაპონიაში, 83 წელი.

5 აღნიშნულის საილუსტრაციოდ რამდენიმე ფაქტი მოვიხმოთ: მოსახლეობის 1% ფლობს მსოფლიო აქტივების (ქონება, ფული, ფასიანი ქაღალდები) 40%-ს; მდიდართა 10%-ის ხელშია აქტივების 85%; მსოფლიო მოსახლეობის თითქმის ნახევარს დღეში 2,5 აშშ დოლარის შემოსავალი აქვს, ხოლო მოსახლეობის 80%-ს დღეში 10 დოლარზე ნაკლები; სასკოლო ასაკის 113 მილიონი ბავშვი სკოლაში არ დადის, 130 მილიონი ადამიანი წერა-კითხვის უცოდინარია და ა.შ. სიმდიდრის განაწილების უთანაბრობა ღრმავდება. თუ 1820 წელს უმდიდრეს და უღარიბეს მოსახლეობას შორის განსხვავება შემოსავლების მხრივ იყო 1:3, ახლა – 1:72-ია. წყარო: მალაშხია გ. გლობალური გამოწვევები და ცხოვრების მოდერნი-ზაცია. ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, თბ., 2012, №1, გვ. 124.

ცესებში მისი ჩარევის ხარისხი და ტემპები ძალიან სწრაფად გაიზარდა. თითქმის მივუახლოვდით კრიტიკულ ზღვარს. უნდა გავაცნობიეროთ თანამედროვე ურბანიზაცია[1] და ადამიანთა საქმიანობა, როგორც მთავარი ძალები ბიოსფეროს ფორმირებაში და გააზრებულად გამოვიყენოთ ისინი. ცივილიზაციის არსებულ განმარტებას სასურველია დაემატოს ახალი, უფრო ფასეული გაგება ხელოვნური გარემოს ფორმირებისა და ბიოსფეროსთან ურთიერთკავშირის შესახებ. ამიტომ ავსტრალიელი მეცნიერი სტივენ ბოიდენი სრულიად მართებულად დამატებით გამოყოფს კიდევ ერთ, ეკოლოგიურ ფაზას, რომელიც კავშირშია „ეკოპოლისის“ წამოყენებულ კონცეფციასთან, კერძოდ:

**4. ფაზა, რომელშიც კაცობრიობა უნდა გადავიდეს, რომ უზრუნველყოს როგორც ბიოლოგიურმა სახეობამ გადარჩენა.** იგი მოიცავს: ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას ადამიანთა საზოგადოებასა და ბიოსფეროს შორის; ადამიანის საქმიანობით გამოწვეული კლიმატის ცვლილებების შედეგების მინიმიზაციას; ბუნებრივ ბიოქიმიურ ციკლებში მინიმალურად ჩარევას; ემპირიულ მრავალფეროვნებას; ადამიანების მიმართ ესთეტიკური თვისებების გაძლიერებას; პასუხისმგებლობისა და კუთვნილების გრძნობის განვითარებას.

მოცემული ვითარების უკეთ გასაგებად, აუცილებელია თანამედროვე, მდგრადი და „მწვანე“ ქალაქებისა და ეკოპოლისის კონცეფციების შედარებითი ანალიზი:

1 ლათ. urbs ქალაქი. მრეწველობისა და მოსახლეობის მსხვილ ქალაქებში თავმოყრის პროცესი. მიიჩნევენ, რომ ეს ტერმინი არასაკმარისად კონკრეტიზებულია. ევროკომისია და მსოფლიო ბანკი გვთავაზობენ ახალ განსაზღვრას სახელწოდებით – „აგლომერაციის ინდექსი“, რასაც შემდეგი არგუმენტებით ხსნიან: 1) პლანეტის მოსახლეობის თითქმის ნახევარი დიდი ქალაქებიდან 2 საათის სავალ მანძილზე სახლობს, მაგრამ, იმავდროულად, არსებობს სერიოზული დანაწევრებაც: მათ შორის, 85% განვითარებულ, ხოლო 15% განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს; 2) დედამიწის მოსახლეობის 95% პლანეტის ზედაპირის 10%-ზეა კონცენტრირებული; 3) დედამიწის ზედაპირის მხოლოდ 10% ითვლება „დაშორებულად“ და დიდი ქალაქიდან 48 საათის სავალ მანძილზე იმყოფება.

წყარო: http://nnm.me/blogs/migat/novaya_karta_urbanizacii/

• **თანამედროვე ქალაქი** ბიოსფეროსთან (ბიორეგიონთან) მძაფრ კონფლიქტშია, ამჟღავნებს მომხმარებლურ და მომპოვებით ხასიათს, ანაგვიანებს გარემომცველ გარემოს, ეკოსისტემის კომპონენტებთან უარყოფით კავშირშია, მოითხოვს ენერგიის დიდ დანახარჯებს, ძირითადად ავტომობილზეა დამოკიდებული, მისი სატრანსპორტო ქსელი ქაოსურია, ენერგოქსელი კი – არაეფექტური.

ასეთი ქალაქის არქიტექტურა მოდის კანონებს ან შემკვეთის მოთხოვნებს მთლიანად ემორჩილება. ენერგიის ხარჯვა მფლანგველობითია, რომელიც წიაღისეულ ნედლეულზე და ენერგიის არაგანახლებად წყაროებზეა ორიენტირებული. ბუნებრივი რესურსების გამოყენება ერთჯერადია, ანუ მათი განახლება არ ხდება. ნარჩენების უტილიზაცია (გამეორებით გამოყენება) სიმბოლურია. მომხმარებელთა საზოგადოება არსებული პრობლემებისაგან გაუცხოებულია. ადამიანთა საქმიანობის ძირითადი პრინციპები პრაგმატული (პრაქტიკული) და კომერციულია, ხოლო სამართლიანობისა და სოციალური თანასწორობის საკითხები სხვა პრობლემებით გადაფარული.

ასეთი ქალაქების არსებობა დედამიწის ამჟამინდელი რესურსების 3-ჯერ მეტ რესურსს მოითხოვს.

• **მდგრადი ქალაქი,** ძირითადად, ბიოსფეროსათვის არაა მავნე. იგი შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს ბიორეგიონის სოციალურ-ეკოლოგიურ პრობლემებს. ქალაქთმშენებლობითი სტრუქტურა კომპაქტური ბირთვისაგან შედგება, რომელსაც გარსს ეკვრის ქალაქური ტიპის დასახლებები. შეინიშნება სოციალური საჭიროებების შესაბამისი შენობები. ორიენტაცია კეთდება სხვადასხვა საზოგადოებრივ ტრანსპორტზე. გამოიყენება ენერგიის განახლებადი წყაროები, რითაც ენერგიის დაგროვება უფრო შეიძლება. რესურსების გამეორებადი გადამუშავება და ექსპლუატაცია წახალისდება. საქმიანობის ძირითადი პრინციპები პოლიტიკურ რეალიებს ექვემდებარება. სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის საკითხები სხვა პრობლემებით იფარება.

ასეთი ქალაქების არსებობა პლანეტის ამჟამინდელი

რესურსების 2-2,5-ჯერ მეტ რესურსს საჭიროებს.

- **„მწვანე“ ქალაქი** ბიოსფეროსთან ბალანსშია, ხშირად, ბიორეგიონის ფუნქციებით განისაზღვრება და იცავს კიდევაც მას. არ ვნებს გარემომცველ ბიოზონას, აღადგენს ქალაქის განაპირა მიწებსა და მდინარეთა ნაკადებს. გარემოს მნიშვნელოვან ელემენტებთან მჭიდრო კავშირშია. ქალაქთმშენებლობის სტრუქტურა კომპაქტურია, ცენტრში ქალაქური ტიპის, ხოლო პერიფერიებში ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიის თავისებურებებით შესაბამისი დასახლებებით. ქალაქის ცენტრი ფეხით მოსიარულეთათვის მისაწვდომ მანძილზეა. ქალაქის განაშენიანებასა და ეკოსისტემის სოციალურ ფუნქციებს შორის კარგი ურთიერთკავშირი არსებობს.

სატრანსპორტო სისტემა ტრანზიტულია, არქიტექტურა კი ადგილობრივ გარემოზე ორიენტირებული, გამოიყენება მოცემული ბიორეგიონის სამშენებლო მასალები. ენერგიის შენახვის დონე ძალიან მაღალია, ხოლო მისი მიღების წყაროები – განახლებადი. საზოგადოება მთლიანად დაკავშირებულია ეკოსისტემის ცხოველქმედებით პროცესებთან. საქმიანობის მთავარი პრინციპებია სამართლიანობა და თანასწორობა.

ასეთი ქალაქების არსებობა ჩვენი პლანეტის ახლანდელი რესურსების ეკვივალენტის 1,5-2 რესურსს მოითხოვს.

- **ეკოპოლისი,** რომლის მიზანია ბიოსფეროში ოპტიმალური ჩართვა და კაცობრიობის საჭიროებების სასარგებლოდ ფუნქციონირება, მზრუნველობს და განსაზღვრავს ბიორეგიონში პროცესების ფუნქციონირებას, დარღვევის სანაცვლოდ აღადგენს ეკოსისტემებს და გარემომცველი გარემოს ყველა ელემენტთან მჭიდრო კავშირშია. ქალაქთმშენებლობის სტრუქტურა კომპაქტურია, რომლის ცენტრშია ქალაქური ტიპის დასახლება, პერიფერიული ცენტრები კი ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიის შესაბამისად განსაზღვრული. ფეხით მოსიარულეთა პირობები გარემოსთან სრულად ადაპტირებულია. სატრანსპორტო მიმოსვლის ქსელი კარგია.

ასეთი ქალაქის ენერგოეფექტურ სატრანსპორტო სისტემას ქმნის სატრანზიტო კორიდორები და გზათა ქსელი, რომელიც

ქვეითად მოსიარულეთა მისაწვდომობაზეა ორიენტირებული. ენერგიის შენახვის დონეა მაღალია, ხოლო მისი ენერგიის წყაროები სრულად განახლებადი. განაშენიანება ითვალისწინებს ეკოსისტემის ფუნქციონირებასა და სოციალურ საჭიროებებს. ორგანული არქიტექტურა ადგილობრივ კლიმატურ პირობებზეა ორიენტირებული. იყენებენ ბიონიკის (ბიომიმიკრიის) მიდგომებს. საზოგადოება ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებას ცდილობს.

ასეთ ქალაქებს უზრუნველყოფს ჩვენი პლანეტა თავისი ამჟამინდელი რესურსებით.

ამგვარად, ეკოპოლისის მთავარი განმასხვავებელი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი გაცნობიერებულად ინტეგრირებულია ბიოსფეროს პროცესებში და, იმავდროულად, სხვა ეკოსისტემების მიმართაც მეგობრულად განწყობილი. ეკოპოლისი ბიოსფეროს, ბიორეგიონისა და გარემომცველი ეკოსისტემების ბიოქიმიურ პროცესებს არა თუ უშლის ხელს, არამედ ადრე დარღვეულ ეკოსისტემებსაც სრულად აღადგენს. Eმისი განვითარების კონცეფცია მთლიანად შეესაბამება ბიოლოგიური სტრუქტურალიზმის ახალ სტრატეგიას, რომლის მთავარი იდეებია მთლიანობა, ცოცხალი და არაცოცხალი სამყაროს ორგანული ერთიანობა.

### 5. ადამიანთა ეკოლოგიური დასახლებების ევოლუცია

ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში ადამიანთა მრავალი დასახლება ძლიერი დანაგვიანების გამო რეგულარულად იღუპებოდა. დასახლებისათვის საჭირო ტერიტორიები დედამიწაზე ჯერ კიდევ საკმარისი იყო, ამიტომ ლოკალური ეკოლოგიური კრიზისები მარტივად გვარდებოდა: დასახლება ოპერატიულად იცვლიდა ადგილს და ახლო მანძილზე გადაადგილდებოდა. ასეთი მოძრავი, ე.წ. „დრეიფული“ ეკოლოგიური სტრატეგია (მოცემულ ტერიტორიაზე თავისუფალი დრეიფი) დედამიწაზე კაცობრიობის დასახლების ძირითადი მექანიზმი იყო.

მოგვიანებით, ნეოლითის ხანაში, მოცემულ რეგიონში მოსახლეობის სიმჭიდროვისა და დასახლების გადაადგილების

დიდი შრომატევადობის გამო, ხმელთაშუა ზღვის მრავალი ცივილიზაციისათვის ხალხთა თავისუფალი დრეიფი შეიზღუდა და ახალი, „სტაციონალური" ეკოლოგიური სტრატეგიის რეალური მოთხოვნილება წარმოიშვა: დასახლების ხანგრძლივი ეკოლოგიური მდგრადობისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლება, მათ შორის ბუნებიდან მათ მიერვე ადრე განდევნილი რაიმე ფაქტორის (მაგ., გამწვანება ან სხვა) თუნდაც ნაწილობრივ დაბრუნება.

აღნიშნულმა გარემოებამ, მოსახლეობის მჭიდროდ დასახლებულ სივრცეში რამდენიმე ვარიანტი წარმოაჩინა, კერძოდ:

**1) „ᲑᲐᲦᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ",** რომელიც იყო ერთ-ერთი ყველაზე ადრეული იდეა, ბაბილონიდან (ძვ. წ. VI ს. ნაბუქონოდონოსორ II-ის მიერ აშენებული სემირამიდას ცნობილი დაკიდებული ბაღები, მსოფლიოს მე-2 საოცრება,) დაწყებული, ჩვენი დროის ქალაქის პარკებით დამთავრებული.

ამ იდეის მთავარი შინაარსი იყო: ქალაქის გარკვეულ უბნებში ლამაზი და/ან ბიოლოგიურად სასარგებლო ფიტოცენოზების[1] ხელოვნურად აღდგენა მისი მოსახლეობის განსაზღვრული კონტიგენტისათვის (მდიდარი, ძალაუფლების მქონე). დღემდე ეს „გამწვანებითი" სტრატეგია დომინირებს ქალაქთა ეკოლოგიზაციის სტრატეგიის განსაზღვრისას, რაც იმ წინააღმდეგობების შერბილებას ცდილობს, რომლებიც ნეოლითის ხანიდან წარმოიშვა ბუნებისაგან საზოგადოების მკვეთრი პოლარიზაციის გამო.

მაგრამ გამწვანების თაობაზე მრავალსაუკუნოვანმა მასობრივმა ექსპერიმენტებმა ბუნებისაგან მათი გაუცხოების დაძლევის შეუძლებლობა აჩვენა, რადგან: ა) გამწვანების ფართობის დამატება ქალაქის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური პროცესების კონცენტრატორის (ქალაქის მთავარი დანიშნულება), როლს მკვეთრად ამცირებს; ბ) ხელოვნური გამწვანების მოვლა-შენახვას გაცილებით მეტი ფინანსები სჭირდება, ვიდრე ბუნებრივი ტყეებისა და მდელოების შენარჩუნებას.

**2) „ᲑᲐᲦᲘ-ᲥᲐᲚᲐᲥᲘ".** ეს იდეა წინა იდეის გაფართოებული ვარიანტია და ნიშნავს: „ბაღი ყოველთვის, ყველასთვის და ყველგან", ანუ კულტურული მცენარეების საერთო მასის გადიდებას

1 ერთი სახეობის მცენარეთა ერთობლიობა.

ქალაქში. ცხოვრების ასეთი წესი ჯერ კიდევ შუა საუკუნეების უტოპისტ-ფილოსოფოსებმა ჩამოაყალიბეს, რომლის სანიმუშო მაგალითებია: ინგლისელი ტომას მორის „უტოპია“ (1516 წ.), იტალიელი ტომაზო კამპანელას „მზის ქალაქი“ (1602 წ.), ინგლისელი ფრენსის ბეკონის „ახალი ატლანტიდა“ (1627 წ.) და სხვა.

ცნობილმა რუსმა პოეტმა ალექსანდრე ბლოკმა XIX საუკუნეს „რკინის საუკუნე“ უწოდა, რაც შეიძლება ყველაზე სხარტი, მაგრამ ყველაზე ტევადია იმ განსაზღვრებათა შორის, რაც ამ საუკუნეზე თქმულა. კაცობრიობამ სწორედ ყველაზე მეტად XIX საუკუნეში იგრძნო სამრეწველო რევოლუციის უარყოფითი შედეგები. ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ინდუსტრიული წარმოების საყოველთაო და სწრაფმა განვითარებამ სოფლებიდან ქალაქებში მოსახლეობის უდიდესი მასის გადაადგილება გამოიწვია. რამდენიმე ათწლეულში დიდი და მცირე ქალაქების მოსახლეობა 3-ჯერ და მეტად გაიზარდა.

რკინიგზის ქსელმა ქალაქები ერთმანეთს დააკავშირა (ალბათ აქედანაა ბლოკის ეპიტეტიც). რკინიგზა ხომ ინდუსტრიული წარმოების „სისხლძარღვთა“ ქსელია. XIX საუკუნის ბოლოს ქალაქების უმრავლესობა ჩამოყალიბდა როგორც „სამრეწველო სარტყელი“, ანუ მჭიდრო წრიული ზონა თავისი ინფრასტრუქტურითა და ხალხთა დასახლებებით. შეიცვალა საქალაქო ტრანსპორტიც – ჯერ ცხენის კონკამ, შემდეგ კი ელექტრონულმა ტრამვაიმ ადგილი დაუთმო მასობრივ ავტომობილს, რომელმაც, თანდათან, ქალაქის საგზაო არტერიები სრულად დაიმორჩილა, ფეხით მოსიარულეთა ნაკადები შეავიწროვა და თავისი გამონაბოლქვით ატმოსფეროც გვარიანად დააბინძურა.

ერთი სიტყვით, XIX საუკუნის სამრეწველო ქალაქი, რომელმაც დაარღვია ცხოვრების ადრინდელი წესი, გაავრცელა ანტისანიტარია და ანტიჰუმანურობა, დაწყევლილი გახდა. ყველაზე ადრე ასეთმა ქალაქმა თავისი ნამდვილი სახე ძლევამოსილ სამრეწველო სახელმწიფოში, ინგლისში და მის დედაქალაქ ლონდონში წარმოაჩინა. ამიტომ არის რაღაც ობიექტური კანონზომიერება იმაში, რომ ლონდონის ნესტიან-აშმორებულ და ჭვარტლიან ბურუსში დაიბადა „იდეალური ქალაქის“, იგივე „ბაღი-ქალაქის“ უტოპი-

ური იდეა, რომელიც ინგლისელმა ფილოსოფოსმა და სოციოლოგ-უტოპისტმა, **ებენეზერ ჰოვარდმა** თავის წიგნში „მომავლის ბაღი-ქალაქები" (1898 წ.) აღწერა. აქ ადამიანები ბუნებასთან ჰარმონიაში ერთად „ცხოვრობენ". მეცნიერის ამ შეხედულებამ საფუძველი ჩაუყარა „ბაღი-ქალაქის" მოძრაობას დიდ ბრიტანეთში XX საუკუნეში.

ჰოვარდმა საზოგადოებას შესთავაზა ქალაქისა და სოფლის ახლებური სინთეზი. მისი აზრით, XIX საუკუნის ბოლოს მსოფლიოს ყველა დიდი ქალაქი ქაოსურად გადიდდა, რის გამოც ეპიდემიის, კრიმინალისა და ანტიჰუმანურობის დონე ძალიან გაიზარდა. ამიტომ, დიდი ქალაქების ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მან მომავლის იდეალური ქალაქი დააპროექტა და ინდუსტრიისგან „დაავადებულ" ლონდონს საკუთარი „წამალიც" გამოუწერა.

ჰოვარდის შეხედულებით ქალაქის ტერიტორიული ზომები და მოსახლეობის რიცხოვნობა რადიკალურად უნდა შემცირებულიყო, მაქსიმუმ, 25 ათასამდე. წრიული ფორმის ასეთი „ბაღი-ქალაქები" თავისებურ „თანავარსკვლავედს" შექმნიდნენ, ცენტრში მთავარი „ბაღი-ქალაქით". „თანავარსკვლავედში" მცხოვრებლების საერთო რაოდენობა 250 ათასზე მეტი არ იქნებოდა.

მაგრამ როგორ უნდა აუკრძალო ქალაქს გაზრდა და შეაჩერო სოფლის მოსახლეობის უწყვეტი მიგრაცია?

ამისათვის ჰოვარდი საზოგადოებას ქალაქისა და სოფლის საუკეთესო პირობების სინთეზს სთავაზობდა: მსხვილი სამრეწველო ქალაქის სიახლოვეს მცირე „ბაღი-ქალაქების" მშენებლობას, სადაც განვითარებული იქნებოდა ადგილობრივი, ეკოლოგიური მრეწველობა და სოფლის მეურნეობა ისე, რომ ადამიანებს შეეძლებოდათ სამუშაო ადგილის სიახლოვეს ცხოვრება და, იმავდროულად, ბუნებრივ გარემოსაც არ იქნებოდნენ დიდად მოწყვეტილები.

ჰოვარდის იდეებით ლონდონიდან 50 კმ-ის დაშორებით დაიწყეს ქალაქების **ლეჩვორტისა** და **ველვინის** მშენებლობა. მაგრამ, სამწუხაროდ, მოსახლეობა ამ „ბაღი-ქალაქებით" ნაკლებად დაინტერესდა: 1908 წლისათვის ლეჩვორტში ცხოვრობდა 5 ათასი, 20-ანი წლების ბოლოს კი, – 14 ათასი კაცი. ამავე პერიოდში ველვინში

სახლობდა მხოლოდ 7 ათასი კაცი.

„ბაღი-ქალაქის" მშენებლობის მცდელობა სხვაგანაც მრავლად იყო, მაგ., გერმანიაში – **ჰამბურგი**, ესპანეთში – ბარსელონას მიკრორაიონი, ელ-კარმელის მთაზე გაშენებული **გუელის პარკი,** რომელიც 1900-1914 წლებში შეიქმნა კატალონიელი მრეწველისა და მეცენატის ეუსები გუელის დაკვეთით (პარკის ავტორია ცნობილი კატალონიელი არქიტექტორი ანტონიო გაუდი). თუმცა, ამ ქალაქებზეც მოსახლეობის მოთხოვნა არ იყო ინტენსიური.

რატომ აღმოჩნდა ერთი შეხედვით „ბაღი-ქალაქის" შექმნის ჰოვარდის პროგრესული იდეა არამიმზიდველი? უმთავრესი მიზეზი გახლდათ ლონდონის ცენტრიდან სამრეწველო საწარმოთა გატანის ფინანსური მხარე. მსხვილ ქალაქთან, როგორც საქონლის გასაღების პოტენციურ ბაზართან, ისე მართვის ცენტრთან და სამუშაო ძალის წყაროსთან, საწარმოები მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

„ბაღი-ქალაქის" მთავარი შეუსაბამობა მდგომარეობდა იმაშიც, რომ ქალაქი, როგორც ურბანიზაციის „კონცენტრატი", უშუალოდ ანადგურებდა არა მარტო მის ლანდშაფტს, არამედ მისგან საკმაოდ დაშორებულ ტერიტორიებსაც თავისი ანტიეკოლოგიური საწარმოებებითა და მეურნეობრიობის მეთოდებით.

**3) „ქალაქი ბუნებაში".** ესაა „ბაღი-ქალაქის" თანამედროვე ვარიანტი, ერთი შეხედვით უფრო მიმზიდველი და მოწესრიგებული, კერძოდ, სამეცნიერო-სასწავლო ცენტრები ან ქალაქი-კურორტები (მაგ., ოქსფორდი, კემბრიჯი, ზელენოგრადი, პუშჩინო, დუბნა . . .). ასეთ ქალაქებში წარმოება პრაქტიკულად არაა, საქალაქო მეურნეობისა და მშენებლობის გარდა. მათ, ხშირად, „რეკრეაციულ ეკოპოლისებსაც" უწოდებენ. ამ მიმართებით მოსალოდნელია რიგი წარმატებები, თუ:

ა) ბუნებრივი ბიოგეოცენოზები ქალაქის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე შენარჩუნდება[1];

---

**1 სხვადასხვა სახეობის ორგანიზმების რთული ერთობლიობა, ნივთიერებათა და ენერგიათა გაცვლით ურთიერთდაკავშირებული ერთმანეთთან და არაცოცხალ გარემოსთან. მაგ., მზის ენერგია, რომელიც ფოტოსინთეზის გზით მცენარეებს გადაეცემათ, ხოლო მათი საკვებად მიღების შემდეგ ადამიანს, ცხოველს.**

ბ) დიდი ოდენობის ფინანსები დაიხარჯება;

გ) მოსახლეობის სიმჭიდროვე შემცირდება.

თუმცა, ასეთ ქალაქებსაც პერსპექტივაში არ ძალუძთ ეკოლოგიური განვითარების გენერალური ორიენტირის შეთავაზება, რადგან ქალაქებიდან არაეკოლოგიური სამრეწველო საწარმოებისა და ატომური ელსადგურების გატანა ადრე თუ გვიან ეკოსისტემას დაარღვევს (გავიხსენოთ ჩერნობილისა და ფუკუსიმას ცნობილი ტრაგედიები) და საერთო ეკოლოგიურ ვითარებას რეგიონში გაამწვავებს.

## 6. თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობა

თუ მსოფლიო ეკოლოგიურ ვითარებას კრიტიკულად გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ ადამიანი დედამიწაზე შემთხვევით არ გაჩენილა. იგი ბუნებამ შეგნებულად, მის დასახმარებლად შექმნა.

საზოგადოდ, ევოლუციას მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს: ბუნების არსებობის ფორმები სულ უფრო რთულდება და მრავალფეროვანი ხდება. თუ ადრე ეს პროცესები ძალიან ნელა მიმდინარეობდა, ადამიანის გამოჩენით ყველაფერი შეიცვალა. ბუნებრივ პროცესებში ჩარევით მან ამ პროცესს არნახული სისწრაფე მიანიჭა. ძალიან მოკლე ვადაში შექმნა ახალი ჯიშის მცენარეები და ცხოველები, რომელთა შორის მრავალი შესაძლოა არც წარმოშობილიყო ადამიანი რომ არ გაჩენილიყო. და ეს ყველაფერი ბუნების სასარგებლოდ მოხდა, რადგან სწრაფ განვითარებას დიდად შეუწყო ხელი.

მაგრამ, რაღაც მომენტიდან ადამიანი ზედმეტად „გაერთო“, ბუნებასთან „შეთანხმება“ უხეშად დაარღვია. იგი ბუნების დამხმარე პერსონადან მის აქტიურ მოწინააღმდეგედ გადაიქცა. აღნიშნულს ფაქტებიც ადასტურებს.

კაცობრიობის მთელი ისტორია ესაა ეკონომიკური ზრდისა და ბიოსფეროს თანამიმდევრული რღვევის ისტორია. მხოლოდ პალეოლითის ეპოქაში არ არღვევდა ადამიანი ბუნებრივ ეკოსისტემებს, რადგან მისი ცხოვრების წესი (შემგროვებლობა, მონადირეობა, მეთევზეობა) თითქმის ცხოველთა წესის ანალოგიური იყო. ცივილიზაციის განვითარებამ კატასტროფული შედეგები მოიტა-

ნა. ამ მხრივ მეტად სავალალო ვითარება XX საუკუნეში შეიქმნა, რაც უმთავრესად ორმა ფაქტორმა განაპირობა: მატერიალური დოვლათის წარმოების მოცულობის ზრდამ და თვით მოსახლეობის მაღალი ტემპებით მატებამ. კერძოდ, თუ საუკუნის დასაწყისში მსოფლიო შიდა პროდუქტი 20 მილიარდი აშშ დოლარი იყო, დღეისათვის მარტო ერთ დღეში 10-ჯერ მეტი ღირებულების დოვლათი იწარმოება. მოსახლეობის რაოდენობა ბოლო ერთ საუკუნეში თითქმის 5,5 მილიარდით გაიზარდა და 7 მილიარდს გადააჭარბა.

2000-2013 წლებში ყოველწლიურად მსოფლიოში იჩეხებოდა 13 მილიონი ჰექტარი ტყე, რისი მთავარი მიზეზი ურბანიზაცია და მსხვილმასშტაბიანი კომერციული სოფლის მეურნეობა იყო [2, გვ. 40].

ნახშირორჟანგის გამონაბოლქვმა 2011 წელს 32,2 მილიარდი მეტრული ტონა შეადგინა და 1990 წლის დონეს, თითქმის, 50%-ით გადააჭარბა [2, გვ. 40].

ჩვენი პლანეტა, ჩვენი საერთო სახლია და ეკოლოგიური პრობლემები მხოლოდ ერთობლივად უნდა გადაწყდეს. ტექნოგენური კატასტროფის ან სხვა მიზეზის გამო, თუ სადღაც კრიტიკული ეკოლოგიური სიტუაცია შეიქმნება, ნეგატიური შედეგებისაგან მისგან შორეული რეგიონებიც არაა დაცული.

ასეთი გლობალური პრობლემა მრავალია, მაგალითად:

- რადიაქტიური ნარჩენების დამარხვა;
- ნავთობპროდუქტების ნარჩენებით ოკეანეთა დაბინძურება-დაძაბუნება;
- მცენარეებსა და ცოცხალ ორგანიზმებზე აირის, ნავთობისა და ქვანახშირის დაწვის შედეგად წარმოშობილი აზოტმჟავისა და ნახშირორჟანგის უარყოფითი ზემოქმედება;
- ტყეების მასობრივი გაჩეხვა;
- სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვი;
- ბირთვული საცდელი აფეთქებები;
- მრავალი სახეობის მცენარისა და ცხოველის გაქრობა;
- სასარგებლო წიაღისეულის მარაგების კატასტროფული შემცირება;

- გლობალური დათბობა;
- ლიტოსფეროს, ატმოსფეროსა და ჰიდროსფეროს დაბინძურება;
- ოზონის შრის რღვევა და სხვა მრავალი.

საყურადღებოა ისიც, რომ მსოფლიო სიმდიდრე და მისი მოხმარების ოდენობა ძალიან არათანაბარია. დათვლილია, რომ მსოფლიოს ყველაზე მდიდარი მოსახლეობის 20%-ზე მოდის: პირადი მოხმარების საერთო თანხის 86%, ენერგიის მსოფლიო მოხმარების 58%, ხორცისა და თევზის 45%, ქაღალდის 84% და პირადი ავტომობილების 87%. მეორე მხრივ, პლანეტის უღარიბესი მოსახლეობა მოიხმარს მხოლოდ 5%-ს ან მასზე ნაკლებ საქონელსა და მომსახურებას ჩამოთვლილი კატეგორიების მიხედვით [10].

უმოკლეს დროში ადამიანმა შექმნა დიდი „არაცოცხალი" სამყარო, უპირველესად, ათასობით ქიმიური ნივთიერება. პესტიციდები და დიოქსიდები ცოცხალ გარემოს უდიდეს ზიანს აყენებს, რის გამოც გენეტიკური გადახრების მქონე ბავშვების რიცხვი მკვეთრად იზრდება. მსოფლიოს რიგ რეგიონებში ჩვილბავშვიან დედებს ბავშვების ბუნებრივ კვებას არ ურჩევენ, – მათი რძე შხამი გახდა. მრავალი მამაკაცის სპერმატოზოიდების რაოდენობა ორჯერ შემცირდა. შესაძლოა „ძლიერმა" სქესმა განაყოფიერების უნარი დაკარგოს. გამძლეობის იმ მარაგმა, რომელიც ბუნებამ „ადამიანში ჩადო", შეიძლება გადატვირთვას ვერ გაუძლოს და homo sapiens-მა, როგორც სახეობამ, გაქრობა დაიწყოს.

ეს საშიში ტენდენციები აქტიურად განიხილება საერთაშორისო ფორუმებზე, კონფერენციებსა და კონგრესებზე, მძიმე ეკოლოგიური ვითარების შესარბილებლად იქმნება ერთობლივი პროგრამები, მუშავდება კონკრეტული ღონისძიებები, სახელმწიფოები სხვადასხვა სახის ვალდებულებებს იღებენ და ა.შ. გამოსავალი მხოლოდ ერთია – ეკონომიკა უნდა იყოს ეკოლოგიური. ეს აუცილებელია, მაგრამ არაა საკმარისი.

ბიოსფერო იმის საფუძველზე არსებობს, რომ მას შეუძლია თავისი პარამეტრების მილიონი წლებით შენარჩუნება. და მიუხედავად იმისა, რომ ბუნება ძლიერ გარე ზემოქმედებას განიცდიდა (მაგ., მზის აქტიურობის მნიშვნელოვანი რყევები), იგი მაინც

ახერხებდა მათ კომპენსირებასა და წონასწორობის შენარჩუნებას.

არავინ იცის ის ზღვარი, რომელიც შესაძლოა დაიკარგოს. მრისხანე სიმპტომები რეალურად იგრძნობა. ბიოსფერო არ რეაგირებს ატმოსფეროში ნახშირორჟანგის მნიშვნელოვან კონცენტრაციაზე. არაა გამორიცხული ბუნებას კომპენსაციური უნარები დაკარგული ან ძლიერ დასუსტებული ჰქონდეს.

ეკოლოგიური სტაბილურობის აღსადგენად მნიშვნელოვანია ქალაქების ეკოლოგიზაცია. ქალაქი კაცობრიობის ბედისწერაა. კოსმოსიდან გადაღებულ სურათებში ქალაქები თავიანთი მცოცავი ინფრასტრუქტურებით, მეტასტაზების მსგავსად, ავთვისებიან სიმსივნეებს ჰგვანან. ეკოლოგები მათ ბიოსფეროს პარაზიტებს უწოდებენ. რაც უფრო ცივილურია საზოგადოება, მით მეტია ქალაქის მოსახლეობის პროცენტული წილი, მით მეტია თვით ქალაქები, დიდია მათი ზომები და დამღუპველია ბიოსფეროზე ზემოქმედება. ქალაქები ამცირებენ ეკოსისტემის ფართობს, უკავიათ დედამიწის ზედაპირის 2% და მსოფლიო რესურსების 75%-ს მოიხმარებენ. მხოლოდ კვების პროდუქტებითა და ხე-ტყის მასალებით ლონდონის უზრუნველსაყოფად ის ფართობია საჭირო, რომელიც ქალაქის ფართობს 58-ჯერ აღემატება. ყველა ქალაქი ასეთი ოდენობის რესურსს რომ მოიხმარდეს, დედამიწის ზედაპირზე 3-ჯერ მეტი ფართობი იქნებოდა აუცილებელი.

ურბანიზაცია ყოველდღიურად ძლიერდება. იგი საზოგადოების ცხოვრებაში ქალაქების როლის ამაღლების ისტორიული პროცესია, რომელიც დაკავშირებულია არასასოფლო-სამეურნეო ფუნქციების კონცენტრაციასა და ინტენსიფიკაციასთან, ქალაქური ცხოვრების სტილის გავრცელებასთან, განსახლების სოციალურად მიმართული ფორმების ჩამოყალიბებასთან.

განსახლების ქალაქური ფორმის სოციალურ-ეკონომიკური უპირატესობა დავას არ იწვევს. ურბანიზაცია მრავალ სფეროში შრომის მწარმოებლურობას ამაღლებს და, იმავდროულად, საზოგადოების სოციალურ-კულტურულ და საგანმანათლებლო პრობლემებსაც უკეთესად წყვეტს. ქალაქი სამეურნეო განვითარების მნიშვნელოვან პოტენციალს ფლობს. მის მცხოვრებ-

ლებს განათლების მიღების, პროფესიის არჩევის, კულტურული ღირებულებების გაცნობისა და სხვათა ფართო შესაძლებლობები აძლევს. მაგ., 1990-2013 წლებში მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტი 22,3 ტრილიონი დოლარიდან, 74,3 ტრილიონ დოლარამდე, ანუ 3,33-ჯერ გაიზარდა, საქონლითა და მომსახურებით ექსპორტი 4,1 ტრილიონი დოლარიდან, 23,1 ტრილიონ დოლარამდე, ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვება 5,1 ტრილიონი დოლარიდან, 17,7 ტრილიონ დოლარამდე [11, გვ. 10], ხოლო სასოფლო-სამეურნეო წარმოება მხოლოდ 2-ჯერ გადიდდა. ასეთი შედეგები ურბანიზაციის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

### 7. ეკოლოგიური მდგომარეობის გამოსწორების გზები

ეკოლოგიური სიძნელე ჩვენს ეპოქაში უდავოა. მაგრამ საზოგადოება და ბუნება უნდა ვითარდებოდეს ერთობლივად, ჰარმონიულად, რაც საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა [12, გვ. 262].

ეკოლოგები ურბანიზაციის არსებული პრობლემების გადაწყვეტის 2 გზას გვთავაზობენ: მეგაპოლისების ეკოლოგიზაცია და ეკოპოლისების შექმნა. ჩვენთვის უფრო საინტერესოა მეორე გზა.

ზოგადად, „იდეალური ქალაქის" დაარსებას ადამიანები უძველესი დროიდან ცდილობდნენ. საკმარისია გავიხსენოთ ბაბილონის, ალექსანდრიის, კონსტანტინოპოლის, სანკ-პეტერბურგისა და სხვათა განაშენიანებები, ასევე XX საუკუნეში იდეალური ქალაქის კონცეპტუალური კონცეფცია, რომელიც ეკოპოლისის ელემენტებს შეიცავდა პონდიშერის (ინდოეთი), ბრაზილიის (ბრაზილიის დედაქალაქი), კანბერას (ავსტრალია), ვანკუვერის (კანადა), შანხაის (ჩინეთი), ლონდონის (დიდი ბრიტანეთი), დუბაისა (არაბთა გაერთიანებული საამიროები) და სხვა მეგაპოლისების ცალკეულ რაიონებში.

ეკოპოლისების შექმნის საერთო იდეოლოგია ეფუძნება იმ მიდგომას, რომ ადამიანის საცხოვრისი გარემო შეიძლება გაუმჯობესდეს, თუ გავაცნობიერებთ ადამიანისა და ბუნების ჰარ-

მონიული თანაარსებობის აუცილებლობას, ავამაღლებთ მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების დონეს და გამოვიყენებთ თანამედროვე ტექნოლოგიებს (ნარჩენების კონვერსია, ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის გენერირება, ეკოლოგიური ტრანსპორტი და ა.შ.).

უპირველესად აუცილებელია საზოგადოებაში ანთროპოეგოიზმის[1] დაძლევა, რომლის გარეშე ეკოლოგიური მიზნების მიღწევა შეუძლებელია.

**ეკოლოგიური ურბანიზმის ძირითადი პრინციპებია:**

**1. ფეხით მოსიარულეთა მისაწვდომობა (მისადგომობა)**

• უმრავლესი ობიექტების 10 წუთიან სავალზე განლაგება;

• ქუჩების მოხერხებული დაპროექტება.

**2. ურთიერთდაკავშირებულობა**

➢ ქუჩების ფართო ქსელით ქვეითად გადაადგილების შემსუბუქება;

➢ ფეხით სეირნობისათვის დიდი საზოგადოებრივი სივრცის გამოყოფა.

**3. მრავალფეროვანი განაშენიანება**

❖ მაღაზიების, ოფისების, ინდივიდუალური საცხოვრებლებისა და აპარტამენტების მრავალფუნქციურობა;

❖ სახლების არქიტექტურული მრავალფეროვნება.

**4. ქალაქდაგეგმარება**

• აქცენტის გადატანა სილამაზეზე, ესთეტიკასა და კომფორტზე;

• საზოგადოებრივი გამოყენების ადგილების სიმრავლე.

**5. „მწვანე ტრანსპორტი“**

➢ ეკოტრანსპორტის (ელექტრომობილის) განვითარებული ქსელი;

1 **ეგოისტური შეხედულება: „ადამიანი ბუნების ღმერთია“.**

➢ ქვეითად მოსიარულეთათვის სასიამოვნო დიზაინი, ველოსიპედების ფართოდ გამოყენების შესაძლებლობა.

**6. მდგრადი ეკოლოგიური პრიორიტეტები**

❖ გარემომცველ გარემოზე განაშენიანების მინიმალური ზემოქმედება;

❖ ეკოლოგიური ტექნოლოგიები, გარემომცველი გარემოს პატივისცემა და ბუნებრივი სისტემის ფასეულობათა გაცნობიერება-დაფასება;

❖ ენერგიის ერთჯერადი წყაროების გამოყენების შემცირება;

❖ მეტი სიარული, მეტი მოძრაობა, ნაკლები მგზავრობა.

თანამედროვე ეკოპოლისის კონცეფციაზე ახალი ურბანიზმის მრავალი იდეოლოგი და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მუშაობს. რიგ ქვეყანებში უკვე აშენებულია ან აქტიურად შენდება ეკოპოლისები, როგორც ინდუსტრიული ტიპის ქალაქის ალტერნატივები. ამ მიმართებით ლიდერობენ კანადა, ავსტრალია, სამხრეთ კორეა, დიდი ბრიტანეთი, ბრაზილია, ინდოეთი, ჩინეთი. ეკოპოლისების მშენებლობისას სხვადასხვა ქვეყნის სპეციალისტები აქტიურად ცდილობენ განსაზღვრონ „ეკოლოგიურობის" ერთიანი კრიტერიუმები და ამ მიზნით ხშირად საერთაშორისო კონფერენციებსაც ატარებენ და მოწინავე გამოცდილებას ერთმანეთს უზიარებენ.

2012 წელს ჟურნალ The Forbes-ის ამერიკულმა გამომცემლობამ გამოაქვეყნა ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ქვეყნების რეიტინგი, რომელიც გაანგარიშებულია იელისა და კოლუმბიის (აშშ) უნივერსიტეტების მიერ შედგენილი მეთოდიკის The Environmental Performance Index-ის მიხედვით. ამ რეიტინგის პირველ ათეულში შევიდნენ: შვეიცარია, შვედეთი, ნორვეგია, კოსტა-რიკა, კოლუმბია, ახალი ზელანდია, იაპონია, ხორვატია, ალბანეთი და ისრაელი [13].

ურბანიზაციის ზრდის კვალობაზე დიდ ქალაქებში ახალი პრობლემები წარმოიშობა. შეინიშნება „მწვანე ტექნოლოგიების" ბუმი, ელექტრონული კომუნიკაციების პროგრესი და სიცოცხლის უზრუნველყოფის სისტემების ავტონომიურობა. მოსახლეო-

ბის ზრდისა და ბუნებრივი რესურსების შემცირების პირობებში, როგორი იქნება მათი მომავალი? ამ საკითხზე კამათი ყოველწლიურად ძლიერდება.

ყველაზე ფანტასტიკური პროექტები მრავლად აღწერენ მობილურ დასახლებებს, მცურავ ხელოვნურ კუნძულებს და ა.შ.

ეკოპოლისური განაშენიანებისათვის ნიშანდობლივია დაბალსართულიანი სახლების ექსპერიმენტული დასახლება, რომელიც ეკოლოგიური სტანდარტებით შენდება, მცხოვრებ-ლები იცავენ ეკოლოგიური ცხოვრების წესს და თვითმმართველობის ეფექტურ ორგანი-ზაციას, ანუ იყენებენ ენერგიის ეკოლოგიურად სუფთა წყაროებს, აკეთებენ ნარჩენების უტილიზაციას, თავს იკავებენ საქონლის (ენერგიის) ზედმეტ მოხმარებაზე და ა.შ.

თავისი ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ეკოლოგიურმა დასახლებამ ნათლად დაამტკიცა, რომ ბუნებასთან ჰარმონიული ცხოვრება არაა უტოპია, იგი რეალურია.

მსოფლიოში სულ უფრო მეტად ჩნდება „ინტელექტუალური ქალაქების" პროექტები, რომლებიც თავიანთ მოსახლეობას ცხოვრების მაღალ სტანდარტებსა და ეკოლოგიურ გარემოს სთავაზობენ.

აი ზოგიერთი მათგანი:

1. დიდი ბრიტანეთი გეგმავს პრინც ჩარლზის იდეის პრაქტიკულ რეალიზაციას, – 2020 წლისათვის ააშენოს ეკოპოლისი **შერფორდი**, რომელიც გააერთიანებს ძველი ინგლისის ისტორიულ სულსა (XVII-XVIII საუკუნეების არქიტექტურა) და მომავლის ტექნოლოგიის უკანასკნელ მიღწევებს (ქარის ტურბინები, მზის ბატარეები და სხვა). ქალაქში, რომლის მოსახლეობა 12 ათას კაცზეა გათვლილი, აკრძალული იქნება შიდაწვის ძრავიანი ავტომობილის ექსპლუატაცია. ეკოლოგიურად სუფთა სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დამუშავების ტექნოლოგიების გამოყენებით იგი ინგლისის ყველაზე ეკოლოგიური ქალაქი იქნება.

2. იაპონია ტოკიოს უბეში გეგმავს ააშენოს **„ქალაქი-პირამიდა",** განვითარებული განსაკუთრებული ინფრასტრუქტურით, წყალზე მდგომ პლატფორმაზე, გათვალისწინებული 750 ათას ადამიანზე. „პირამიდა" დედამიწაზე ხელოვნურად აგებული

ყველაზე მაღალი რელიეფი იქნება – 2004 მეტრი, ანუ ეგვიპტის ხეოფსის პირამიდაზე, თითქმის, 14-ჯერ უფრო მაღალი.

ამ გრანდიოზულ ანთროპოგენურ[1] სტრუქტურულ ნაგებობას შეავსებს საცხოვრებელი კომპლექსები, საოფისე და ადმინისტრაციული შენობები, კულტურულ-გასართობი ცენტრები და სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო ქალაქის ინფრასტრუქტურა. პირამიდას ააგებს ობობა-რობოტი მსუბუქი, ზემტკიცე ნახშირბადის ნანომილებისაგან. ნაგებობა წყალზე ილივლივებს და წყლის გრუნტში ღრმად ჩარჭობილ განსაკუთრებული ბეტონის 36 ბოძს დაეყრდნობა.

პირამიდის საერთო ფართობი იქნება 88 კმ$^2$. პირველ ოთხ დონეზე განლაგდება საცხოვრებელი ნაგებობები და კომპანიების ოფისები, ხოლო დანარჩენ მომდევნო ოთხ დონეზე – კვლევითი ლაბორატორიები და გასართობი ცენტრები. ნაგებობის შიგნით 106-110 მეტრი სიმაღლის 56 მცირე პირამიდული კონსტრუქცია მოთავსდება.

3. სამხრეთ კორეაში, დედაქალაქ სეულიდან 50 კმ-ის დაცილებით, ონჩხონის საერთაშორისო ეკონომიკურ ზონაში, ხელოვნური კუნძულის 607 ჰექტარზე (6 კმ$^2$) 2002 წლიდან შენდება ახალი ქალაქი, **ნიუ-სონგდო,** რომელსაც ანალოგი არა აქვს მსოფლიოში.

ქალაქის მშენებლობა ნულიდან დაიწყო. მას აშენებენ მსოფლიო ქალაქმშენებლობაში საუკეთესო საპროექტო, არქიტექტურული, სამშენებლო და ტექნოლოგიური კომპანიები. 2016 წლისათვის აშენდება 400 ნაგებობა, მათ შორის, სამხრეთ კორეაში ყველაზე მაღალი ცათამბრჯენი (ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის სავაჭრო ცენტრი, სიმაღლე 330 მ). ქალაქის ყველა ნაგებობა აღიჭურვება უკანასკნელი ტექნოლოგიით, ინფრასტრუქტურა, რომელიც დაეფუძნება თანამედროვე ქსელურ ტექნოლოგიებს, მსოფლიო ქალაქმშენებლობის საუკეთესო ნიმუში იქნება.

ქალაქი ნიუ-სონგდო, რომელსაც უკვე მსოფლიოს მე-8 საოცრებას უწოდებენ, ყველაზე მსხვილი კერძო დეველოპერული პროექტია ჩვენს პლანეტაზე. მისი სახარჯთაღრიცხვო ღირე-

1 **ადამიანის მოქმედების, მოღვაწეობის შედეგად შექმნილი.**

ბულება 35 მილიარდი დოლარია, აქედან 10 მილიარდი ინფრასტრუქტურის განვითარებას მოხმარდება. ქალაქს ექნება ფანტასტიკური სანახაობა: მასში განთავსდება კაცობრიობის ყველა მოწინავე მიღწევა არქიტექტურისა და ლანდშაფტური დიზაინის სფეროში [14].

თავიდანვე იგი დააპროექტეს, როგორც „ციფრული, „ინტელექტუალური ქალაქი", რომლის მართვის ცენტრში, ანუ რესურსების რაციონალური განაწილებისა და აღდგენის კვანძში, ყველაფერი ოპერატიულად ფიქსირდება და ანალიზდება, დაწყებული ავტომობილების ნაკად-მოძრაობებით, განათებით, წყალმომარაგებით . . . , წყალბადის ძრავებიანი ელექტრომობილები ქალაქის ერთიან ქსელშია ჩართული; საყოფაცხოვრებო ნარჩენებს პნევმატური ტრანსპორტი მეთანის ქარხანას პირდაპირ აწოდებს, სადაც სათბობი გამომუშავდება; ინტელექტუალური ელექტროსაგზაო ნიშნები ავტომობილების სიმჭიდ-როვისა და სამგზავრო ნაკადების დატვირთვის შესაბამისად ავტომატურად იცვლება [15].

ქალაქში ინერგება მაღალი ეკოლოგიური სტანდარტები, ტექნოლოგიები კი ერთიანდება საერთო საექსპლუატაციო სისტემებში, რის გამოც საქალაქო მეურნეობის ექსპლუატაციისა და ტექნიკური მხარდაჭერის ღირებულება არსებითად მცირდება.

ნიუ-სონგდოს 40 ჰექტარზე ექნება დასასვენებელი პარკი და ველოსიპედისათვის 25 კმ-ანი ბილიკი. ქალაქი 65 ათას მცხოვრებზე და 300 ათას მომუშავეზეა გათვლილი.

ქალაქიდან სამი საათის ფრენის რადიუსით 2 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს (პლანეტის 28%). ამიტომ იგი ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთი გამორჩეული საქმიანი ცენტრი იქნება.

ქალაქ ნიუ-სონგდოში დაინერგება „ყველგან მსუფევი", „ყველგან მყოფი" გამოთვლის (ubiquities computing, შემოკლებით u-computing) ტექნოლოგია.

4. ჩინეთის ერთ-ერთ მჭიდროდ დასახლებულ რაიონში, ქ. შანხაის სიახლოვეს ეტაპობრივად შენდება (პირველი ეტაპი 2010 წელს დამთავრდა) მისი სატელიტი, ენერგოავტონომიური „გონიერი" ეკოქალაქი **დონგტანი** (86 კმ$^2$), რომლის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 1,3 მილიარდი დოლარია (მშენებლო-

ბა მთლიანად 2030 წლისათვის დასრულდება). ნარჩენების (მათ შორის, ჩამდინარე წყლების) 90%-ს ენერგიის წყაროდ, ხოლო 10%-ს მიწის განოყიერება-მელიორაციისათვის გამოიყენებენ.

ქალაქი ბიოენერგიით (მზე, ქარი, ბიოსათბობი) იქნება მთლიანად უზრუნველყოფილი, ტრანსპორტი ეკოლოგიური, ანუ „მწვანე“ (ველოსიპედები, ელექტრომობილები და საზღვაო-სამდინარო).

ქალაქის დაპროექტებაში გამოყენებულია ახლებური მიდგომები: წვიმის წყლის დაგროვების სისტემა, წყლის გაწმენდა და გამეორებით გამოყენება, მზის ბატარეები, ქარისა და წყლის წისქვილები, Zero Energy Building-ის ტექნოლოგია, რითაც სითბო ხელმეორედ ექსპლუატაციისათვის ჩაკეტილ ციკლში „კონსერვდება“. აღნიშნული ვითარება განსაზღვრული სამშენებლო მასალების გამოყენებით მიიღწევა. მაგ., ნაგებობის დაგეგმვა მზის ყოველდღიურ და სეზონურ მდებარეობასთან შეთანხმდება; გაითვალისწინება შვერილის სიღრმე, მხარის დაჩრდილვა, მინის ზედაპირის გამჭვირვალობა, ჟალუზები, იზოლაცია და ა. შ. და ა.შ. დაინერგება ჰერმეტიზაციისა და ჰაერის ნაკად-მიმართულებების შეცვლის ტექნოლოგიები, ჩატარდება ადგილობრივი კლიმატის საინჟინრო კომპიუტერული სიმულაციის სპეციალური კვლევები და მათი შედეგები გამოიყენება გათბობის, გაგრილებისა და ვენტილაციის ენერგიაზე მოთხოვნა-მიწოდების დასაბალანსებლად. სამშენებლო მასალები იქნება ქვა, ხე, ლითონი და მინა.

5. ნავთობი ის ძირითადი სათბობ-ენერგეტიკული რესურსია, რომელსაც მთელი მსოფლიო იყენებს. მისი მარაგები, ინტენსიური მოხმარების გამო, ყოველდღიურად მცირდება, ხოლო ექსპლუატაციის პრაქტიკა მდგრად განვითარებას ეწინააღმდეგება.

არაბთა გაერთიანებული საამიროები ამ ძვირადღირებული რესურსის მსოფლიო მარაგების თითქმის 10%-ის მფლობელია. და, მიუხედავად ამისა, აქტიურად ეძებს გადარჩენის ისეთ ახალ სტრატეგიებს, როცა საჭირო აღარ იქნება ნავთობი. ერთ-ერთი ასეთი სტრატეგიაა მზის სხივების ელექტროსადგურისა და უნარჩენო წარმოების ქალაქების მშენებლობა.

დედაქალაქ აბუ-დაბიდან 17 კმ-ის დაშორებით, რუბ ელ ხალის უდაბნოში, სადაც დღეს „მკვდარი" ქვიშაა, 6 კმ$^2$ ფართობზე შენდება მსოფლიოში ერთი-ერთი ეკოლოგიურად სუფთა ქალაქ-ოაზისი – **მასდარი** [16] (არაბულად „წყარო", „გასაღები"). ქალაქი, რომლის გარშემო აიგება ქარის დამცავი კედელი, მთლიანად უზრუნველყოფილი იქნება ალტერნატიული ენერგიის (მზის, ქარის) საკუთარი გამომუშავებითა და გამოყენებით.

შეუდარებელია ქალაქ მასდარის ორიგინალურობით ფუტურისტული[1] დიზაინი, ხელოვნური მიკროკლიმატი. მისი სახარჯთაღიცხვო ღირებულება 22 მილიარდი დოლარია. მშენებლობა მთლიანად 2025 წლისათვის დამთავრება.

მასდარში, სადაც 50 ათასამდე ადამიანი იცხოვრებს, განთავსდება ენერგეტიკის კვლევის თანამედროვე ცენტრი, 1500-მდე წარმატებული კომპანიის ოფის-ლაბორატორია, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სასწავლო ცენტრი. კომპანიებისათვის დადგენილი იქნება ნულოვანი გადასახადი, შეუზღუდავი ოდენობის კაპიტალი და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მკაცრი პირობები.

ქალაქში არ იქნება სამრეწველო საწარმო. იმოძრავებს მხოლოდ „მწვანე" ტრანსპორტი – უპილოტო პერსონალური ჩქაროსნული ტაქსი-რობოტები.

ქალაქი გაყიდის „მწვანე" ტექნოლოგიებს ზოგადად, და განსაკუთრებით ენერგეტიკის სფეროში.

თანამედროვე სამშენებლო ინდუსტრიაში ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია მსხვილი ქალაქების განვითარება არა მისი ცენტრის გაფართოებით, არამედ ქალაქ-თანამგზავრების შექმნით, რაც კომპლექსურად გადაწყვეტს ურბანისტულ მიდგომებს საკუთარი რესურსებითა და ეკონომიკით.

ამ მიდგომას „გონიერი" ქალაქის (Smart city) კონცეფციას უწოდებენ, რომლის კლასიკური ნიმუშია ქალაქ მასდარის პროექტი.

---

**1 ფუტურიზმი (ლათ. futurum მომავალი) — XX საუკუნის დასაწყისის ავანგარდისტული მოძრაობის საერთო დასახელება, ძირითადად, იტალიასა და რუსეთში. მის მიმდევრებს აინტერესებდათ არა იმდენად შინაარსი, არამედ ფორმა.**

**„გონიერი“ (ინტელექტუალური) ქალაქის ზოგადი პრინციპებია:**

**თანამედროვე ინფრასტრუქტურა და საინფორმაციო ტექნოლოგიები**

განსაკუთრებული ლანდშაფტური დიზაინი: სპეციალური კონსტრუქციები, რომლებიც დღისით ღია მდგომარეობაშია და ჩრდილს ქმნის, ხოლო ღამით იხურება და ქუჩებში სიგრილეს უშვებს. მცხოვრებთა დასვენებისა და ფეხით მოსიარულეთათვის გამწვანებული ზონები, მრავალრიცხოვანი შადრევნები, არხები, ჩანჩქერები, რესტორნები, თეატრები, სკოლები და მაღაზიები, მისასვლელი გზები, ხიდები და გვირაბები. საინფორმაციო-საკომუნიკაციო სფეროში: ქალაქის მდგრადი მართვა; ელექტრონული გადახდის კომპლექსური სისტემა; „გონიერი“ სახლი/ოფისი და დისტანციური მართვის ტექნოლოგია; მიკროკლიმატის შენარჩუნების მოწინავე სისტემები; ტელეკომუნიკაციური ინფრასტრუქტურა (ხმის, ვიდეო და სხვა მონაცემების გადაცემა) და მონაცემთა დამუშავების ცენტრი.

**ყველგან „მწვანე“ (ეკოლოგიურად სუფთა) სტანდარტები**

- „მწვანე“ მშენებლობის კონცეფციის შესაბამისად, ქალაქის ყველა შენობა-ნაგებობის აგება;
- ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი ტრანსპორტი;
- რეზიდენციები და საოფისე ცენტრები;
- სავაჭრო მოედნები და დასასვენებელი პარკები.

**ენერგიის განახლებადი ტექნოლოგიები**

- ➢ მზის ენერგიის ელექტროსადგურები;
- ➢ შენობების სახურავებზე მზის ბატარეები;
- ➢ ქალაქის პერიმეტრზე ქარის გენერატორები;
- ➢ წყალბადის სათბობის ელექტროსადგურები;
- ➢ გეოთერმული ენერგიის მიღების ელექტროსადგურები;
- ➢ მზის ენერგიაზე მომუშავე წყლის გამტკნარების სადგურები;
- ➢ ნიადაგის გამდიდრებისათვის ორგანული ნარჩენების გამოყენება;

➢ ინდუსტრიული ნარჩენების (ლითონი, პლასტიკატი) გადამუშავება და განმეორებით გამოყენება.

**ეკოლოგიური ტრანსპორტი**

❖ ქალაქგარეთ – მონორელსური ტრანსპორტი;

❖ ქალაქის შიგნით – პერსონალური ჩქაროსნული ტრანსპორტი (Personal Rapid Transit ანუ PRT).

**მეცნიერება და განათლება**

• მსოფლიო დონის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები;

• მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სასწავლო ინსტიტუტები.

**საზოგადოება**

➢ სავაჭრო ქსელში – მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა საქონელი;

➢ შრომის პირობები – საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი.

**დასკვნა**

ეკოლოგიური პრობლემების მოსაგვარებლად აუცილებელია:

1. თანამედროვე ტექნოლოგიების ეკოლოგიური და უნარჩენო წარმოებით შეცვლა;

2. ბუნებრივი რესურსების გონივრულად ხარჯვა;

3. თითოეულ ადამიანში ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება.

**გამოყენებული ლიტერატურა**

1. Программа ООН по населенным пунктам (ООН-Хабитат): www.unhabitat.org

2. ООН. Цели развития тысячелетия: доклад за 2014 год.

3. Даунтон П. Экополис:Архитектура и города против изменения климата. Аделаида, 2009.

4. Вернадский Вл. Биосфера. Т. 1-2. Ленинград, 1926.

5. Глазычев В. Л. Урбанистика. М.: Европа. 2008.

6. Брюс Б. Фрэнк Ллойд Райт 1867-1959. Архитектура демократии. М.: ART-РОДНИК, 2006.

7. http://www.archdaily.com/159763/paolo-soleris-arcosanti-the-city-in-the-image-of-man/image-30-2/

8. Джакобс Д. Смерть и жизнь больших американских городов. М.: Вашингтон: Island Press, 1996.

9. Бойден С., Миллар С., О'Нил Б. Экология городов и его люди: Гонконг. Канберра: Australian National University Press, 1981.

10. Усиление антропогенного воздействия на природу и его последствия. http://www.grandars.ru/shkola/geografiya/antropogennoe-vozdeystvie.html

11. ЮНКТАД. Доклад о мировых инвестициях, 2014.

12. ლემონჯავა პ. ბუნების გამოყენების ეკონომიკა. თბ., „მერიდიანი". 2014.

13. http://world-eco.org/publ/ehkologija/ehkologicheski_chistye_strany_i_goroda_v_nikh/3-1-0-40

14. ქალაქის ვიდეოსიუჟეტი შეგიძლიათ იხილოთ:

http://www.youtube.com/watch?v=fHO_zkHPTaI&feature=player_embedded

http://newsroom.cisco.com/feature-content?type=webcontent&articleId=677530

15. http://ecpol.ru/2012-04-05-13-41-25/2012-04-05-13-42-08/947-umnyj-gorod-dlya-biznesa-na-primere- yuzhnokorejskogo-goroda-songdo.html

16. ქალაქის მშენებლობის მიმდინარეობის ვიდეოსიუჟეტები შეგიძლიათ იხილოთ:

http://theoryandpractice.ru/posts/8038-masdar ან http://www.travellers.ru/youtube_video-krutaya-ehnergetika-gorod-masdar

**References**

1. UN Program on habitation by points (UN habitat): (In Russian Language) www.unhabitat.org

2. UN. MIllennium Development Goals: report 2014.(In Russian Language)

3. Downton P. Ecopolis: Architecture and Cities for a Changing Climate. Adelaide, 2009. (In Russian Language)

4. Vernadski Vl. Biosphere. B. 1-2. Leningrad, 1926. (In Russian Language)

5. Glazichev V.L. Urbanization. Moscow, Europe. 2008. (In Russian Language)

6. Bruce B. Frank Lloyd Payt 1867-1959. Architecture of Democracy. Moscow. Art-Rodnik. 2006. (In Russian Language)

7. http://www.archdaily.com/159763/paolo-soleris-arcosanti-the-city-in-the-image-of-man/image-30-2/

8. Jacobs D. The death and life of great American cities. M. Washington. Island Press, 1996. (In Russian Language)

9. Boyden C., Millar C., O'nelle B. The ecology of cities and its human population. Hong-Kong.

10. Canberra: Australian National University Press, 1981. (In Russian Language)

11. Strengthening of human impact on nature and its effects. (In Russian Language) http://www.grandars.ru/shkola/geografiya/antropogennoe-vozdeystvie.html

12. UNCTAD. Report on world investments. 2014. (In Russian Language)

13. Lemonjava P. Ecnomics of nature application. Tbilisi, Meridiani. 2014. (In Georgian Language)

14. http://world-eco.org/publ/ehkologija/ehkologicheski_chistye_strany_i_goroda_v_nikh/3-1-0-40

15. video on cities can be seen:

http://www.youtube.com/watch?v=fHO_zkHPTaI&feature=player_embedded

http://newsroom.cisco.com/feature-content?type=webcontent&articleId=677530

16. http://ecpol.ru/2012-04-05-13-41-25/2012-04-05-13-42-08/947-umnyj-gorod-dlya-biznesa-na-primere- yuzhnokorejskogo-goroda-songdo.html

videos on city construction can be seen:

http://theoryandpractice.ru/posts/8038-masdar or http://www.travellers.ru/youtube_video-krutaya-ehnergetika-gorod-masdar

## ECOPOLIS URBSOCIUM: PAST, PRESENT & FUTURE

**Guram Jolia**
GTU, Professor

**Resume**

People always paid attention to the city life and related social-economic and ecologic problems. The situation worsened after the population's movement to the cities and the process became more important. The paradoxic situation has been formed gradually: megapolice – the most safe place for people inhabitation, that saved the mother-nature from destroying, while became a vital enemy of the nature on the one hand, that destroyed a cultural heritage gathered during the centuries, and on the other hand, the most attractive place for living, identifying new ideas of culture and art, creative and progressive ideas.

The massive inhabitation of population in the cities and negligent attitude towards nature made the ecological situation very critical. Many projects for city constructions have been collaborated (e.g. "UN-Habitat"), the solving ways for many global ecological problems have been determined (e.g. UN concept of sustainable development), resources for cities have been evaluated, regional unions have been strengthened the ecological requirements for the long-term stategy, etc.

Despite this fact, the growth and development of cities in the modern world and the current situation is very alarming and requires an universal attention.

**Key words:** Urbanization, Socium, Ecopolis, Noosphere, Arcology, Retroperspective.

# MODELLING OF ELECTROMAGNETIC FIELDS OF POLARIZED STRUCTURE OF RADAR SIGNALS OF SHIPBOARD RADAR

**A.I. Knyaz**
**(ONMA)**

The model of polarized structure of radar signals used for off-shore finding and identification has been considered. The peculiar significance of circular polarization under shipboard radar operating has been revealed.

***Key words:*** *Circular polarization, identification, finding, off-shore facilities, functional operator.*

The usage of data about the object parameter link with radar signals makes it possible to carry out shipboard radar functioning under the interference or noise conditions. The main task of shipboard radar corresponds to functions upgrading of off-shore facility radar data acquisition by means of finding and acquisition of coordinates about object motion and discrimination identification. If the shipboard radar, when solving radar tasks, did not need the prior information about the object scattering properties, propagation medium of an electromagnetic wave and an object would be an external medium. The problem solution of radar determination and discrimination can be based on usage of non-coordinate objects information, which is connected with data about the type of the radar object, its affiliation to definite class, geometry, dimensions, area electrophysical parameters and other. The non-coordinate object information is directly connected with the change of echo signal polarized condition. The non-coordinate information is a strong factor, which can determine the structure of modern shipboard radar and algorithm of processing radar polarized object information.

Thus, this paper analyzes the spatiotemporal vectors structure of orthogonal components of electromagnetic wave of circular polarization, that is reflected from off-shore facilities.

In accordance with [1], radio wave polarization represents the feature of electromagnetic field that corresponds to radio waves, which is determined by spatiotemporal structure of vectors that make up the fields, and is invariant to field propagation dynamic and time law of its resources. Let us analyze the polarized signals structure of circular polarization,

which we will use when solving the problems of objects finding and identification by means of shipboard radar.

Let us write down a flat-topped electromagnetic wave in homogeneous medium in two-component denotation:

$$E(r, t) = x\,E_x(z\text{-}c\,t) + y\,E_y(z\text{-}c\,t)\ , \quad (1)$$

where $E_x$ and $E_y$ - component waves according to coordinate axes, $x,\ y,\ z = r$ - unit vectors of Cartesian coordinate system.

Components $E_x(z\text{-}c\,t)$ и $E_y(z\text{-}c\,t)$ can be totally independent and arbitrary. With the help of postulation between components of functional connection, let us impose definite restrictions on the type of polarized components, which are considered simultaneously, i.e.

$$E_y(z\text{-}c\,t) = P\,E_x(z\text{-}c\,t)\ . \quad (2)$$

Though, functional connection does not depend on temporal structure $E_x(z\text{-}c\,t)$. Condition (2) determines the class of polarized waves. Functional operator $P$ meets the following conditions:

1. Class of functions, which describes polarized components, must present continuity, reversibility and closure of functional operator $P$, otherwise components $E_x(z\text{-}c\,t)$ and $E_y(z\text{-}c\,t)$ will be disparate.

2. Propagation operator *P* forms a spaciotemporal structure of waves from certain field source system and should be linear, bounded and regular, i.e.

$$P\left(\Sigma\,C_n(z\text{-}c\,t)\right) = \Sigma\,C_n\,P\left(E_{xп}(z\text{-}c\,n)\right) = \Sigma\,C_п\,E_{yп}(z\text{-}c\,t),\ (3)$$

where $E_{xп}(z\text{-}c\,n)$ and $E_{yп}(z\text{-}c\,t)$ - are polarization components of the n-th signal component,

$C$ - are complex numbers fields, $\forall\, c_1 \ldots c_n \in C$.

3. Operator $P$, defined on functions that depends on the argument $(z\text{-}c\,t)$, coincides with the operator $P_t(z\text{-}c\,t)$, specified for time

functions at an observation point and with the operator $P_z(z\text{-}ct)$, specified along propagation direction at a fixed timepoint:

$$P(z\text{-}ct) = P_t(z\text{-}ct) = P_z(z\text{-}ct). \quad (4)$$

4. Transformation $P(z\text{-}ct)$ shouldn't change monochromatic oscillation $E_x(t) = E_x\cos(\omega t + f)$, it is allowed to change the amplitude and additional phase change $\Phi$ could appear

$$E_y(t) = P(E_x\cos(\omega t + f)) = E_y\cos(\omega t + f + \Phi). \quad (5)$$

The given condition provides an inclusion of the elliptically polarized monochromatic waves into certain polarized waves class (3.2).

5. If $E_x(t)$ is changed into $E_x(t\text{-}\tau)$, then $E_y(t)$ undergoes delay $E_y(t\text{-}\tau)$. This condition is an equivalent of commutativity of operator $P(z\text{-}ct)$ with differentiation operator $\frac{d}{dt}$, i.e.

$$\frac{d}{dt}P(z\text{-}ct) = P\left(\frac{d(z\text{-}ct)}{dt}\right) \quad (6)$$

We shall consider a class of circularly polarized waves, requiring invariance of the operator $P(z\text{-}ct)$ when rotating the used coordinate system around the propagation direction Z=r, and we shall use another notation of functional operator $K(z\text{-}ct)$, i.e. $K(z\text{-}ct)\,\hat{I}\,P(z\text{-}ct)$.

6. Inverse isomorphic functional operator $K^{-1}(z\text{-}ct)$ for circularly polarized wave is defined by the rule:

$$E_x(z\text{-}ct) = K^{-1}(E_y(z\text{-}ct)) = -K(E_y(z\text{-}ct)). \quad (7)$$

Equality (7) is set up in view of polarized component transformation when rotating the coordinate system around z about an angle $\beta$ :

$$\left.\begin{aligned} E_x^{н}\left(z\text{-}ct\right) &= \cos\beta\, E_x^{c}\left(z\text{-}ct\right) + \sin\beta\, E_y^{c}\left(z\text{-}ct\right) \\ E_y^{н}\left(z\text{-}ct\right) &= -\sin\beta\, E_x^{c}\left(z\text{-}ct\right) + \cos\beta\, E_y^{c}\left(z\text{-}ct\right) \end{aligned}\right\}, \quad (8)$$

where $E_x^{н}$ and $E_y^{н}$ - are field vectors components in new (turned over about an angle $\beta$ ) coordinate system,

$E_x^{c}$ , $E_y^{c}$ - are components in old coordinate system.

Then:

$$E_y^{н}\left(z\text{-}ct\right) = K\left(E_x^{н}(z\text{-}ct)\right) = K\left[\cos\beta\, E_x^{c}(z\text{-}ct) + \sin\beta\, E_y^{c}(z\text{-}ct)\right], \quad (9)$$

which is according to the superposition principle (condition 2) is transferred into:

$$E_y^{н}\left(z\text{-}ct\right) = \cos\beta\, K\left[E_x^{н}(z\text{-}ct)\right] + \sin\beta\, K\left[E_y^{c}(z\text{-}ct)\right] =$$
$$= \cos\beta\, E_y^{c}\left(z\text{-}ct\right) + \sin\beta\, E_y^{c}\left(z\text{-}ct\right). \quad (10)$$

Here the invariance from $\beta$ is provided only in case the condition (6) is met. The Hilbert transform satisfies all listed conditions for circularly polarized waves :

$$E_y(\xi) = K\left[E_x(\xi)\right] = \Gamma\left[E_x(\xi)\right] = \frac{1}{\pi}\int_{-\infty}^{+\infty}\frac{E_x(n)}{\eta-\xi}\,d\eta, \quad (11)$$

where $\xi = z\text{-}c\,t$ .

equality $K\left(z\text{-}c\,t\right) = \Gamma\left(z\text{-}c\,t\right)$ reduces to the fact that in (4) phase angle $\Phi$ for circularly polarized monochromatic wave is found to be equal $-\frac{\pi}{2}$, and the component $E_y(t)$ is as follows:

$$E_y(t) = E_x \sin(\omega t + n). \quad (12)$$

7. If polarized component $E_x(t)$ can be factorized $E_x(t) = E_x^s(t)\,E_x^f(t)$, where a slow multiplier spectrum $E_x^s(t)$ does not reverse with a fast multiplier spectrum $E_x^f(t)$, then existence of circularly modulated waves is true:

$$E_y(z\text{-}c\,t) = \Gamma\left[E_x^s(z\text{-}c\,t)\,E_x^f(z\text{-}c\,t)\right] = E_x^s(z\text{-}c\,t)\,E_y^f(z\text{-}c\,t). \quad (13)$$

The signal spectrum $E(r, \omega)$ can be divided into positive and negative frequency harmonics, and set out it as a sum of right- and left-hand circularly polarized oscillations:

$$E(z, t) = E_{пк}(r, t) + E_{лк}(r, t), \quad (14)$$

polarized structure of which is orthogonal, i.e.

$$\left[E_{пк}(r, t), E_{лк}(r, t)\right] = 0. \quad (15)$$

The preceding analysis of polarized structure of electromagnetic wave revealed a significant role of circularly polarization signals, which will be used while finding and identification of objects against the background of natural disturbance.

We introduce the diverging operator or diverging matrix C for the characteristics of diverging features of the object, which changes polarization of illuminating wave. Transmitting and receiving circular polarization will be specified with the Stokes parameter. Then the connection between transmitting and diverging wave and object diverging operator is as follows:

$$\begin{bmatrix} I_{рас} \\ Q_{рас} \\ U_{рас} \\ V_{рас} \end{bmatrix} = \begin{bmatrix} C_{11} & C_{12} & C_{13} & C_{14} \\ C_{21} & C_{22} & C_{23} & C_{24} \\ C_{31} & C_{32} & C_{33} & C_{34} \\ C_{41} & C_{42} & C_{43} & C_{44} \end{bmatrix} \times \begin{bmatrix} I_{изл} \\ 0 \\ 0 \\ V_{изл} \end{bmatrix} \quad (16)$$

**Conclusions**

1. Functional connection between orthogonal components of electromagnetic wave reflected from off-shore facilities.
2. The class of circularly polarized electromagnetic waves with positive and negative harmonics spectrum.
3. Radiolocation signal spectrum is set out as a sum of right- and left-hand circularly polarized electromagnetic oscillations.

**Bibliography**

1. Polarization of signals in complicated transport and radioelectronic complexes.

/ Red. A. I. Kozlov and V. A. Saricheva. – Saint – Petersburg: “Chronograph”, 1994. – 460p.

**Моделирование электромагнитных полей поляризационной структуры радиолокационных сигналов судовых РЛС.**

**Князь А.И.**
Морская Академия Одесы

**РЕЗЮМЕ**

В работе проведен анализ пространственно-временной структуры векторов ортогональных компонент электромагнитной волны круговой поляризации, которая может излучаться антенной судовой РЛС, или поступать на ее вход при отражении от объектов. Излучение и прием электромагнитной волны может осуществляться поляризованной как по правому, так и по левому кругу. Анализ поляризационной структуры электромагнитной волны выявил особую роль круговой поляризации при ее использовании для измерения некоординатной информации навигационных объектов, которая связана со сведениями о типе объекта, его размерах, геометрии и электрических параметрах поверхности.

При дальнейшем исследовании, рассмотренный анализ пространственно-временной структуры векторов ортогональных компонент электромагнитной волны круговой поляризации предполагается применить для обнаружения и распознавания объектов судовыми РЛС.

# УПРАВЛЕНИЕ СЛОЖНЫМИ СИСТЕМАМИ

**Кавтарадзе Дмитрий Николаевич**
Доктор биологических наук, профессор
Международного университета, заведующий лабораторией
управленческого моделирования факультета государственного
управления МГУ имени М.В. Ломоносова.

**Введение**

Многообразие понятий «управления» обусловлено расширением способов организации, критериев эффективности, определение места и характера использования информационных технологий (IT), соотношения алгоритмического подхода и «ручного» управления.

Подготовка государственных служащих, очевидно, должна брать в учет высоковероятные изменения в структуре государственных муниципальных, региональных и федеральных структур.

В статье рассматривается проблема разработки современных инструментов для подготовки управленцев в университетах и обучения их умению применять полученные знания. Одним из результатов поиска новых методов управления стало обращение к неформальным, часто интуитивным способам решения управленческих проблем. Книга Маргарет Тэтчер обозначила это предельно ясно как «Искусство управления государством». Итоговая формула работы крупнейшего государственного деятеля современности побуждает нас перейти к целенаправленной работе по изучению методов управления.

**Ключевые слова:** управление, модель, имитационная модель, компетенция, сложная система, риск, интуиция, образование.

Современная цивилизация создала техногенные устройства, представляющие собой сложнейшие системы, которые требуют новых отношений между человеком и этими системами.

Создание наиболее эффективных систем - как технических, так и социальных - приводит к их усложнению и, как правило, разделению функций разработки систем и управления системами. Новые структуры обладают новыми внутренними качествами, вначале скрытыми и от создателя, и от управленца. В этой связи, широко обсуждается взаимное проникновение различных научных дисциплин, методов исследования мира и путей его преобразования.

Высокая скорость разработки новых технологий, техники, управленческих схем делают незаменимыми имитационные игровые модели, поскольку анализ удач и ошибок возможен «здесь и теперь» - и этот анализ обладает высокой доказательностью. Динамика управленческих задач, изменяющихся условий работы и участников вызывают необходимость особого внимания к слабым сигналам, зачастую являющимися предвестником дальнейшего развития событий. Для специалиста слабые сигналы оказываются достаточно информативными (врач, финансист, юрист, педагог и др.) для своевременной преднастройки и принятия решения.

Задача подготовки современных управленцев имеет педагогический компонент – освоение интеллектуальных инструментов для принятия решений. Преодолению психологических барьеров служит предлагаемый нами образовательный модуль, основанный на сравнительно новом инструменте – имитационных игровых моделях, включающих взаимодействия участников (лиц, принимающих решения). Компьютер играет лишь подсобную роль сложного калькулятора. Воспринимать сигналы системы, оценивать риск, вести переговоры, принимать решения, научить себя думать – все это крайне необходимо управленцу.

Общеизвестно, что подготовка студентов для получения степени *Master of Public Administration* необходима для открытия каналов мобильного продвижения выпускников наверх в государственных структурах, реализации интеллектуального задела в контексте име-

ющихся стартовых реалий с учетом стандартов мировой практики.

